

რევაზ ლორთქიფანიძე
Revaz Lordkipanidze
Реваз Лордкипанидзе

კონკურენციის თეორიის „სენსაციური“ ფარული ხარვეზები
და გადაუდებელი რეგულაციები

Competition theory's "sensational" implicit defects and
urgent regulations

"Сенсационные" скрытые недостатки теории конкуренции и
неотложные регуляции

თბილისი

2018

პოსტსაბჭოთა სივრციდან ნიუ-იორკის პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის ინიციატორი წევრის, მსოფლიო მეურნეობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალიზაციით ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის (საკვალიფიკაციო შრომის დაცვა სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ნოსტრიფიკაცია - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში), თსუ ალ. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის მრჩევლის, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მანქანთმშენებლობის მენეჯმენტის საკითხების მკვლევარის, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პუბლიცისტის, უნივერსიტეტ გეომედის პროფესორის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის – რევაზ ლორთქიფანიძის მონოგრაფიული შრომა „კონკურენციის თეორიის „სენსაციური“ ფარული ხარვეზები და გადაუდებელი რეგულაციები“ წარმოადგენს წმინდა ქაშვეთის ტაძარში მოღვაწე ახალშესვენებული არქიმანდრიტ საბას (ღვთისო შალიკაშვილი) კურთხევით დაწყებული კვლევების გაგრძელებას და განკუთვნილია სპეციალისტების, სტუდენტებისა და დაინტერესებული მკითხველისათვის.

მეცნიერ-რედაქტორი – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკადემიკოს ავთანდილ

გუნიას სახელობის ბიზნესის აკადემიის საპატიო წევრი დ. ჩლაიძე.

რეცენზენტები:

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, საქართველოს კონკურენციის

სააგენტოს ეკონომიკური კონკურენციის დაცვის დეპარტამენტის უროსი ს.

ფეტელავა;

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის

მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ლ. ქარჩავა.

შესავალი

ემდგნება ჩემთვის დაუვიწყარი უვაჟკაცის მოძღვრის
- მამა საბას (ღვთისო შალიკაშვილი) მარადიულ ხსოვნას.
იმ ქვეყნიდან, დარწმუნებული ვარ, მეტად დაგვეხმარება.

Dedicated to the Eternal Memory of the unforgettable for me
the bravest Spiritual Father - Archimandrite Saba (Gvtiso Shalikashvili).

From That Light, I'm sure, He will help us more.

Посвящается вечной памяти незабываемого для меня отважнейшего

Духовного Отца - Архимандрита Сабы (Гвтисо Шаликашвили).

С Того Света, уверен, Он нам больше поможет.

როგორც ეკონომისტი, საზოგადოების წინაშე, თავს მოვალედ ვთვლიდი კონცეფტუალურად დასაბუთებული აზრი გამომეტყვა, თუ როგორ უნდა დაძლიოს გონიერმა ადამიანმა სიღარიბის ჯერ კიდევ ძალზე მაღალი 80%-იანი დონე [დანართი, ნახატი N1] სულ უფრო მდიდარ მსოფლიოში, როგორი გამდიდრებაა ადამიანისთვის მორალურად გამართლებული (ეფექტიანი) და, შესაბამისად, როგორი კონკურენცია ეფუძნება ჭეშმარიტი სულიერების საწყისებს [1-23].

დიდი დეპრესიის ეპოქიდან (მე-20 საუკუნის 30-იანი წლები), განსაკუთრებით გამწვავდა დებატები ადამ სმითის კონკურენციის ე.წ. „უხილავი ხელის“ [დანართი, ნახატი N2] მომხრე ნეოკლასიკოსებსა და რეგულირების მომხრე ქეინზიანელებს შორის [25; 29; 85; 87]. ზოგი საერთოდ სათუოს ხდის „უხილავი ხელის“ მოქმედებას [88; 89; 90], ახალი ნეოკლასიკური სინთეზი კი ერთგვარი შემრიგებლის როლში მოგვევლინა [79].

ჩემი მიზანი არ არის სმითის კრიტიკა - მიმაჩნია, რომ ის მისი ეპოქისთვის ნამდვილად გენიოსი იყო, მაგრამ, ბუნებრივია, ადამიანური შეცდომებით. ჩემი მიზანია აღმოვფხრა სმითის ეპოქიდან დაწყებული და ჰერფინდალ-ჰირშმანის თანამედროვე მეთოდშიც დამკვიდრებული გაგება [63; 64; 65; 66], რომ ბაზარზე არაგავლენიან კონკურენტთა დიდი რაოდენობა განაპირობებს მეტად სრულყოფილ

კონკურენციას. ასეთი მიდგომით, შეიძლება დავანაწევროთ ეფექტიანი ადგილობრივი მსხვილი ბიზნესები ან ხელი შევუშალოთ ბიზნესების წესიერი გზით საჭირო გაერთიანების მცდელობას, დავარღვიოთ მათი უდანაშაულობის პრეზუმფცია და უკეთესი პირობები შევუქმნათ არაკეთილსინდისიერ საგარეო ფარულ შეთანხმებებს.

კონკურენციას დაცვა უნდა აუცილებელი რეგულაციებით, მაგრამ არა რაოდენობის ზრდის გაგებით (რაც ე.წ. „მოკლე ჩართვის“ ეფექტს იწვევს და შრომაში დეტალურად განვიხილავთ). ფარული მონოპოლიების მიერ დაზარალებული ეკონომიკები ძალზე დიდი ხანია ვერ ახერხებენ კრიზისიდან გამოსვლას. 2017 წლის წინასწარი მონაცემებით, სასიხარულო ინფორმაცია შევიტყვე ინტერნეტიდან [82], რომ მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გათვალისწინებით, უმძიმესი სტატეგია კრიზისიდან გამოსული საქართველოს ეკონომიკის მთლიანმა შიდა პროდუქტმა ერთ სულ მოსახლეზე 10 ათას დოლარს გადააჭარბა, ანუ დღეში, დაახლოებით, 30-დოლარიან დონეს მიაღწია, რც 3-ჯერ აღემატება სიღარიბის ზედა ზღვარს. თუმცა კრიზისული გავლენის მემკვიდრეობა ჯერ კიდევ განსაკუთრებით საგანგაშოა საქართველოს მაღალმთიან და აგრარულ რეგიონებში, სადაც ფარული მონოპოლიებისაგან დაზარალებული მეწარმეების გამოცოცხლება ძალზე გართულდა.

მსოფლიოში უპრეცედენტოდ გაზრდილი მენეჯერული ხარჯებისა და გამწვავებული დემოგრაფიული პრობლემების ეპოქაში, ვფიქრობთ, კრიტიკულად გადაუდებელია კონკურენტული ქსელური დელეგირების მენეჯმენტის მექანიზმების დანერგვა, რასაც მკითხველს წარმოდგენილი შრომით ვთავაზობთ.

ზოგმა შეიძლება იფიქროს, რომ ქსელური დელეგირება ჩვეულებრივი ვერტიკალური მონოპოლიის მაგალითია, მაგრამ არამც და არამც - ქსელური დელეგირება მონოპოლიების ამბიციები არ და ვერც იქნება და ის ბაზრის მწვავე აუცილებლობებითა და დასავლეთის სამყაროში და მათ შორის საქართველოში გამწვავებული დემოგრაფიული პრობლემებითაა განპირობებული, რომელთა გადაჭრაში აქტიურად უნდა ჩაერთოს გონიერი სახელმწიფო სექტორი. რატომღაც ზოგიერთი ფიქრობს, რომ ბაზარზე მხოლოდ კერძო სუბიექტები ოპერირებენ.

სახელმწიფო ნამდვილად არ არის მონსტრი და ნორმალურ გარემოში ის მეტად გონიერი „მოთამაშის“ ფუნქციასაც უნდა ასრულებდეს ბაზარზე.

არავის მინდა ვაწყენინო ჩვენს ახალგაზრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოშიც, მაგრამ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველ წლებში, მნიშვნელოვანი ბუნებრივი ხარვეზები ჰქონდა როგორც ბიზნესის სწავლებას, ასევე მის პრაქტიკულ მხარდაჭერას სრულფასოვანი ბიზნესგარემოს შექმნის თვალთახედვით. კერძოდ, ბიზნესის მხარდაჭერა დაიყვანებოდა მისი რეგისტრირების გაიოლებამდე, ხოლო ბიზნესის სწავლებაში დიდი დრო ეთმობოდა ისეთ ელემენტარულ საკითხებს, როგორებიცაა განსხვავებები ბიზნესსა და მეწარმეობას, ადმინისტრირებასა და მენეჯმენტს, მენეჯერსა და ბიზნესმენს შორის. შესაბამისად, ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა ბიზნესის კონკურენტუნარიანობისა და ეფექტიანობის ამაღლების თეორიულად დასაბუთებული პრაქტიკული რეკომენდაციების სწავლებასა და დანერგვას.

ეფექტიანი ბიზნეს-გარემოს შექმნას სახელმწიფოებრივი მიდგომა უნდა - თუ ჩვენს მცირემიწიან და ნაკლებშემოსავლიან მიკრო ან მცირე მეწარმეს ბედის ანაბარა მივატოვებთ, ის, მისთვის ძალზე ძვირადღირებულ მანქანა-მოწყობილობებზე, საწვავზე, ქიმიკატებსა თუ მწვავედ საჭირო სამკურნალწამლო საშუალებებზე ფიქრში, ვერასდროს გახდება კონკურენტუნარიანი. თანამედროვე ეტაპზე, ვერც გიგანტურ ობიექტებზე მასობრივი ორიენტაცია (ჩვენი კრიტერიუმით, 1000-ზე მეტი დასაქმებულით) გვიშველის - ისინი მონოპოლიებად შეიძლება მოგვევლინონ ჯერ კიდევ არატევად ბაზრებზე. ჩვენი გაანგარიშებებით, ბიზნესის ოპტიმალური კონცენტრაცია დაბლობ რეგიონებში 250-500 დასაქმებულია ობიექტზე, მაღალ მთაში - მნიშვნელოვნად ნაკლები, რასაც, წარმოდგენილ შრომაში, შესაძლოდ მობილურად განვიხილავთ.

ძალზე ბედნიერ ახალ წელსაც დაგილოცავთ ჩემი ახალი შრომის გაცნობის წინ და ჩემს "სამაგალითო" საახალწლო "გმირობებზეც" უნდა მოგიტხოვროთ... წინასამობაო ბაზრობაზე გამყიდველმა ზედმეტი თანხა გადმომაცოლა და ცოტა ხნის შემდეგ, როცა ვნახე ზედმეტობა და დავბრუნდი და დავუბრუნე, ისე გულიანად დამლოცა, რომ, მგონი, აწი მართლა ძალიან მაგრა გავიხარებ. ასეთივე ამბავი განმეორდა ახლახან სუპერმარკეტშიც. სახლში ასულმა ქვითარს შემთხვევით დავხედე და ნაკლები

პროდუქტები იყო ამობეჭდილი. ჩავედი და დამატებით გადავიხადე. დარწმუნებული ვარ, ასე მოიქცეოდა ყველა ჩვენთაგანი და ასეთი ეკონომიკა ნამდვილად გაიხარებს.

1. კონკურენციის თეორიის „სენსაციური“ ფარული ხარვეზები

ვფიქრობ, მკითხველს ახსოვს ეკონომიკური კონკურენციის ჩემი განსაზღვრება, ფიზიკაში დენის ძალის განსაზღვრის ($I = U / R$) ბუნებრივი მსგავსებით [6, გვ. 53-55]. ასეთი სახით, ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ კონკურენციის ძალა და ოპტიმალური - კონკურენციის ყველაზე ეფექტიანი დონე ეკონომიკურად მდიდარი და ღარიბი ქვეყნებისათვის, საინფორმაციო-ტექნოლოგიურ კლასტერებსა და აგრარულ ბაზრებზე, მთასა და დაბლობში, შემცირებული ფასების დემპინგური თაღლითობისა თუ ფასების შემდგომი მონოპოლიური ნამატის შემთხვევებში. ეს განსაკუთრებით მაღელვებს. აღნიშნულ საქმეში, ცალკეულ ქვეყნებს დამოუკიდებლად არ ძალუძთ დაძლიონ ფარული საერთაშორისო მონოპოლიების მზაკვრობანი და აუცილებელი ხდება პროგრესული ძალების უფრო მჭიდრო საერთაშორისო კონსოლიდაცია. აღნიშნული მწვავედ აუცილებელია როგორც მსოფლიო ეკონომიკის ეფექტიანი გამდიდრებისთვის, ასევე, სიღარიბის დაძლევისთვის.

კონკურენციის შესახებ გამოვაქვეყნე მრავალი მონოგრაფია და სხვადასხვა სახის შრომა ათასზე მეტ გვერდზე და ახლა წარმოგიდგენთ განზოგადებულ შრომას - შესაძლოდ შემჭიდროებულ ვარიანტს, საკითხთან დაკავშირებით, თანამედროვე ეკონომიკის უმწვავესი პრობლემების წარმოჩენით.

ჯერ კიდევ სმითიდან და რიკარდოდან დაწყებული, დღემდე, რატომღაც, ჩამოყალიბდა ყალბი წარმოდგენა სრულყოფილი კონკურენციის შესახებ, რომ, თურმე, უნდა გვქონდეს ძალიან დიდი რაოდენობა კონკურენტებისა, რომლებსაც ბაზარზე არავითარი გავლენა არ უნდა ჰქონდეთ. აი სწორედ ეს მოსაზრებაა ჩემთვის ყველაზე მეტად სათუო. ეს უტოპიაა და, ამასთანავე, ხელოვნურადაც რომ მოვაწყოთ

ასეთი პირობები, ეს იქნება არაეფექტიანი ბაზარი. ვთვლი, რომ სრულყოფილ ვარიანტს უნდა ვეძიოთ არა გამოგონილ „პოზიციებში“, არამედ, რეალურ ბუნებაში.

უფალი და კონკურენციის „უხილავი ხელი“ არსებობენ, მაგრამ უფალი არ ითხოვს, რომ ადამიანი ხელეჩამოშვებული უნდა ცხოვრობდეს. სადღეისოდ, მწვავედ აუცილებელია გონივრული რეგულაციები.

ზოგიერთი თანამედროვე მეცნიერი, როგორც შესავალში აღვნიშნე, სათუოს ხდის ადამ სმითის „უხილავი ხელის“ თეორიის სამართლიანობას. არამც და არამც. „უხილავი ხელი“ მოქმედებს და, ამასთანავე, ძალზე ძლიერად, მაგრამ, ვთვლი, რომ მის გაგებას მნიშვნელოვანი ხარვეზები ახლავს და ფარული შეთანხმებებიც ხელს უშლიან ამ უხილავ მოქმედებას. გახანგრძლივებულმა კრიზისებმა გვაჩვენა, რომ საჭიროა თამამი რეგულაციები ხელისშემშლელთა წინააღმდეგ.

კონკურენციის საკითხებზე მრავალწლოვანი დებატების მიუხედავად, არავინ შეხება, ჩემი აზრით მთავარ პოზიციას, რომ კონკურენციის კლასიკური ხედვა გულისხმობს სრულყოფილი კონკურენციის განსაზღვრას მონაწილეთა ძალზე დიდი რაოდენობით, როცა მონაწილეებს არ შეუძლიათ საბაზრო პროცესებზე გავლენის მოხდენა (უფრო დეტალურად განიხილება ჩემი წარმოდგენილი კვლევის შესაბამის ნაწილებში). მიმდინარე რეფორმებამდეც, აშშ-სა და საერთოდ მსოფლიო პრაქტიკაშიც, ბაზრების კონკურენტულობის შეფასების ყველაზე გავრცელებული მაჩვენებელი „ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი“ (Herfindahl-Hirschman index HHI – [63-66]) საუკეთესო მინიმალურ დონეებს სწორედ მცირე მეწარმეთა ძალზე დიდი რაოდენობის შემთხვევაში აღწევს. ეკონომიკური მეცნიერების კლასიკოსებისა და ზოგიერთი თანამედროვე პრაქტიკოსის დიდი პატივისცემის მიუხედავად, ყურადღების მოსაზიდად, უნდა გავაკეთო „სენსაციური“ განცხადება, რომელსაც, ვფიქრობ, გაითვალისწინებენ აშშ-სა და მთლიანად გაეროს საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების თანამედროვე ბრძენი რეფორმატორები. ჰერფინდალის ინდექსის შენარჩუნება შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ ამ მაჩვენებლის გამოყენება - უკიდურესად არასაკმარისი.

გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისები და უკიდურესი სიღარიბის არსებობა უჩვეულოდ შემოსავლიანი თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესის

მიუხედავად, თვალსაჩინოდ განაპირობებს საერთაშორისო რეგულირების უფრო ეფექტიანი ეკონომიკური მექანიზმების გადაუდებელი შემუშავების აუცილებლობას, მათ შორის გაეროს ეკონომიკური სტრუქტურების მონაწილეობით, ეფექტიან საერთაშორისო ბიზნესთან ურთიერთხელსაყრელობის საფუძველზე.

თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესს უკვე კრიტიკულად არ შეესაბამება არამთლად „მწიფე“ წარსული - სხვა დიდი ეკონომისტების - მ.შ. დ. რიკარდოს, უ. პეტის, ე. ჩემბერლინის, ჯ. რობინსონის, კ. სამუელსონის "კლასიკური" ხედვები კონკურენციის შესახებ [27; 28; 30; 36; 50; 51]. ჩვენ არ გვჭირდება უსასრულოდ დიდი რაოდენობის "ჭიანჭველების" კონკურენცია ეკონომიკაში. ჩვენ გვჭირდება კეთილსინდისიერი კონკურენტების ბუნებრივი კონკურენცია, სადაც კონკურენციის ყველა მონაწილე (არა მხოლოდ მცირე, არამედ დიდი) აკეთებს თავის საჭირო (ეფექტიან) საქმეს.

ბაზრის მონაწილეების ძალზე დიდმა რაოდენობამ, ჩემი აზრით, შეიძლება გამოიწვიოს "მოკლე ჩართვა" და ეკონომიკის "გადახურება", შესაბამისად, ჰიპერინფლაციური სიჭარბე და უმძიმესი კრიზისული შოკი.

ჩემი აზრით, კონკურენციის ძალასა და ბაზრის უმსხვილესი მიმწოდებლის ზომას შორის უკუპროპორციული დამოკიდებულების გრაფიკის გადაკვეთაზე [დანართი, ნახატი N3] საწარმოს ზომასა და ეფექტიანობას შორის დამოკიდებულების გრაფიკთან, მიიღება კონკურენციის ძალის ოპტიმალური დონე ყოველი კონკრეტული სინამდვილისთვის. ეს გრაფიკული ინტერპრეტაცია წარმოადგენს 2015 წლის შრომაში წარმოდგენილი ჩემი ადრინდელი შესაბამისი მიდგომის განვითარებას [18].

მადლიერი ვარ, რომ მეცნიერულ კვლევაში, ამერიკელი და ინგლისელი მეცნიერების აღიარების შემდეგ, საწყისი მხარდაჭერა პეტერბურგის უნივერსიტეტში (სპბსუ) მივიღე, სადაც სხვადასხვა დროს სწავლობდნენ (ან თანამშრომლობდნენ კვლევებში) შემდეგში ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის პრეზიდენტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ვასილი ლეონტიევი, ეკონომიკური ზრდის ემპირიული დასაბუთების ავტორი, ნობელის პრემიის ლაურეატი საიმონ კუზნეცი, ჩვენი დიდი მოაზროვნენი - ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, ნიკო მარი და სხვა ღირსეული მოღვაწეები.

კონკურენციის საკითხების კვლევაში ჩემთვის დაუვიწყარია ამერიკელი კოლეგების როლი, მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს - ნიუ-იორკის პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი დ. ქარალეი, ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი, ნობელის პრემიის ლაურეატი რ. ფოგელი, უშუალო ბიზნეს-რჩევები და გრანტები პრაქტიკოსი ბიზნესმენ-სპეციალისტებისაგან - ჯ. საფია, დ. ფეზერლინი, ს. პაუელი, ქ. რებერი, ვ. პორტერი, ბ. სმიტი და სხვ. კონკურენციის თეორიის ფუნდამენტალური საკითხების განვითარებაში, აღსანიშნავია, არსებითი წვლილი და უშუალო თანამშრომლობა ყოფილი საბჭოთა კავშირის გამოჩენილ მეცნიერებთან - ლ. აბალკინთან, დ. სოროკინთან, ე. ჟუკოვთან, ვ. ლოგინოვთან, ა. არხიპოვთან, ნ. კუზნეცოვასთან, ს. სუტირინთან, ვ. რიაზანოვთან და სხვ. სასიკეთო პერსპექტივები დასახეს საქართველოში მიმდინარე კონკურენციის სააგენტოს რეფორმის ინიცირების, მართვისა და ორგანიზების ზოგადი თეორიისა და პრაქტიკის, ქრისტიანული საფუძვლებისა და მეცნიერების დარგობრივი დისციპლინების თვალთახედვით მნიშვნელოვან შრომებში - ბ. ივანიშვილმა, რ. ასათიანმა, ნ. ჭითანავამ, გ. კვირიკაშვილმა, ნ. ხადურმა, დ. ჭიჭინაძემ, ს. ფეტელავამ, მ. ჯიბუტმა, ე. ხარაიშვილმა, გ. ბედიანაშვილმა, გ. კვესიტაძემ, რ. მეტრეველმა, გ. ქაშაყაშვილმა, მ. ხაზარაძემ, ს. პავლიაშვილმა, გ. შარვაშიძემ, დ. კორძაიამ, ს. დალაქიშვილმა, მ. კაკაბაძემ, ა. ფრანგიშვილმა, ო. გელაშვილმა, გ. ტყეშელაშვილმა, რ. ქუთათელაძემ, ე. ბარათაშვილმა, ა. აბრალავამ, თ. ყანდაშვილმა, მ. ფირცხალავამ, მ. მესხმა, ქ. ბენიძემ, ს. ბოლოკაძემ, ლ. აფციაურმა, გ. ძაგანიამ, ლ. ჟვანიამ, ვ. ბოცვაძემ, გ. მდივნიშვილმა, ს. ვარდოსანიძემ, ვ. სართანიამ, ი. ანანიაშვილმა, ვ. პაპავამ, ვ. ჭარაიამ, პ. გუგუშვილმა, ა. გუნიამ, ვ. ჩანტლაძემ, ლ. ჩიქავამ, გ. ადეიშვილმა, ი. მესხიამ, ვ. ადვაძემ, რ. სარჩიმელიამ, ლ. ქარჩავამ, გ. ხასიამ, გ. ამყოლაძემ, ა. ცერცვაძემ, დ. ჩლაიძემ, ნ. ბაკაშვილმა, გ. შიხაშვილმა, გ. გრიგოლაშვილმა, ლ. დგებუაძემ, ა. სილაგაძემ, რ. აბესაძემ, რ. გოგოხიამ, ე. მექვაბიშვილმა, რ. ხარბედიამ, შ. ვეშაპიძემ, ლ. ყორღანაშვილმა, ბ. ცაავამ, ლ. მგელაძემ, ნ. პაიჭაძემ, თ. კანდელაკმა, კ. ლურჯაიამ, რ. აბულაძემ, პ. კოლუაშვილმა, თ. ბერიძემ, რ. კაკულიამ, ზ. ლიპარტიამ, თ. თალაკვაძემ და სხვ.

მწვავედ საჭირო ცვლილებები კონკურენციის თეორიაში თანამედროვე რეგულირების ადეკვატურ მექანიზმებს განაპირობებს. სახელმწიფო, როგორც სამართლიანი პარტნიორი, გლობალური კონტაქტების ზრდასთან ერთად, აუცილებლად უნდა ახერხებდეს ფარული შეთანხმებებით გამოწვეული ბაზრის დეფორმაციების კვალიფიციურ შეფასებას და, აუცილებლობის შემთხვევაში, აქტიურად (და არა ფორმალურად, დაახლოებით 50%-იანი თანამონაწილეობის ფარგლებში) უნდა ერთვებოდეს კერძო მეწარმეობაში, მათ შორის: 1) წილობრივი პარტნიორობის მექანიზმებით; 2) მეცნიერულ-ტექნიკურ უზრუნველყოფის მხარდამჭერი სუბსიდირებით; 3) უპროცენტო კრედიტებით მონოპოლიებისგან დაზარალებულ მეწარმეთათვის; 4) განსაკუთრებით კრიზისული რეგიონების (როგორც განაპირა, მ.შ. მაღალმთიანი, აგრეთვე საკვანძო) განვითარების პროგრამებში თანამონაწილეობითა და ე.წ. "სასათბურე" ზონალური გარემოს ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფით; 5) ამასთანავე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო, როგორც მზრუნველი მშობელი, აუცილებლად უნდა ზრუნავდეს როგორც კრიზისულ ობიექტებზე, ასევე, წარმატებულებზეც - პოტენციურ ექსპორტიორებზე, რომლებსაც არაკეთილსინდისიერი "საერთაშორისო" კონკურენცია შეიძლება ელოდებოდეს.

სახელმწიფო მონოპოლიების რეაქციული რეპრესიებისა და კერძო საკუთრების იგნორირების საბჭოთა კავშირისეული გამოცდილების შემდეგ, განსაკუთრებით უნდა გამოირიცხოს ამგვარი სახელმწიფო მონოპოლიის განმეორებითი ჰიპერტროფიის შესაძლებლობა, მაგრამ არ დავინახოთ მზრუნველი და კერძო სექტორის მხარდამჭერი ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოს როლის შესაძლოდ არსებითი ზრდის ტენდენცია - არაშორსმხედველურია.

მაგალითად, დაზარალებულ მაღალმთიან რეგიონებს დამოუკიდებლად არ ძალუძთ დაძლიონ უმწვავესი ეკონომიკური და დემოგრაფიული გამოწვევები, ხოლო სახელმწიფო, თავის მხრივ, არ უნდა ელოდეს, როგორ ქრება ქვეყნის ესა თუ ის რესურსული პოტენციალი. ზოგს მიაჩნია, რომ სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს საბაზრო პროცესებში, თუმცა მათ ავიწყდებათ, რომ სახელმწიფოსაც უნდა ჰქონდეს თავისი უფლებები და ეს უფლებებიც გასათვალისწინებელია.

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მართვა და კერძო ბიზნესის მენეჯმენტი სხვადასხვა ცნებებია, მაგრამ მენეჯმენტის მომავალი - წარმატებულ სახელმწიფო მართვასთან გონივრულ კომბინირებაშია.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული კომბინირებულ-ქსელურის მსგავსი რეგულაციის პირველი შედეგები განსაკუთრებით შთამბეჭდავია ამერიკაში დაწყებულ საგადახადო დათბობასა და ტექნოლოგიური კლასტერის სუბსიდირებაში (სილიკონის ველი, აშშ), ევროკავშირის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების სოციალურ ბაზარზე (გერმანია, შვედეთი, ბენელუქსის ქვეყნები), ე.წ. გეგმური ბაზრის მექანიზმების ეფექტიანი რეალიზებისას (იაპონია), თავისუფალ რეგიონულ ზონებში (ჩინეთი), «მეცნიერების ქალაქების» მაგალითზე (აკადემქალაქი და მსხვილი სახელმწიფო უნივერსიტეტების გამოცდილება, რუსეთი), დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვა და ა.შ.

ვცდილობდი, რომ ჩემი კვლევის შედეგები, პირველ რიგში, გამომქვეყნებინა სოციალურ ქსელებში, საიდანაც ვიღებდი განსაკუთრებით გამამხნეველ გამოხმაურებებს კონკურენციის საკითხზე ჩემი მწვავედ საჭირო „სენსაციური“ ხედვების შესახებ. ჩვენ უკვე აღარ გვჭირდება გაჭიანურებული კამათი ეკონომიკური სისტემების სხვადასხვა „იზმებზე“ - ჩვენ გვჭირდება ეფექტიანი სისტემა დროისა და სხვა რესურსების მინიმალური დანაკარგებით ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში.

ანტიმონოპოლიური ორგანოების ხელოვნურმა "რბოლამ" დიდი რაოდენობის კონკურენტებისთვის ადგილობრივ ბაზარზე, შეიძლება მიგვიყვანოს მხოლოდ არარეალიზებული (ძირითად არახარისხიანი) პროდუქციის სიჭარბესა და ფარული მსხვილი საგარეო მონოპოლიების გაძლიერებამდე, მათ შორის ინოვაციურ ტექნოლოგიებზე.

გონივრული "რბოლა" დასაშვებია მხოლოდ ეფექტიანობის კრიტერიუმის გათვალისწინებით, როგორც თვალსაჩინოდაა გამოხატული გრაფიკზე. სხვადასხვა კონკრეტულ სიტუაციაში, კონკურენციის ძალა იქნება ოპტიმალური უმაღლესი ეფექტიანობის შემთხვევაში, რაც შესაძლებელია სხვადასხვა ზომის და რაოდენობის კონკურენტების შემთხვევაში - ერთიდან (ბუნებრივი მონოპოლია საშუალოსაბაზროზე დაბალი ხარჯებით) უსასრულობამდე.

საკითხთან დაკავშირებით, საჭიროდ ვთვლი აღნიშნო პარეტოს მიხედვით ეფექტიანობის შეფასება [43; 48; დანართი, ნახატი N4], რაც, ჩემი აზრით, მაქსიმალურად მარტივად წარმოდგენილი და იდეალურად საუკეთესო მეთოდია. პარეტოს ეფექტიანობა თეორიულად სრულად ავლენს ბაზრის პოტენციურ შესაძლებლობებს, რაც დადასტურდა ჩემს მიერ ეფექტიანობის მაჩვენებლების (მწარმოებლურობა, ROE, ევროკავშირის ფორმულირების ჩემი განვითარება) აბსოლუტურად ყველა პრაქტიკულ შემთხვევაში. მიმაჩნია, რომ პარეტოს ეფექტიანობის მეთოდი კონკურენციის ოპტიმალობის შეფასების დროსაც შეიძლება იქნეს გამოყენებული დუოპოლიის შემთხვევაში, საწარმოს ზომითი ეფექტიანობის შეფასებისას, დამატებით დამადასტურებელი გაანგარიშებების სახით.

კონკურენციის გააზრება კონკურენტების რაოდენობის კრიტერიუმით, ანტიმონოპოლიური სამსახურის მნიშვნელოვან დეზორიენტაციას იწვევს და, ფაქტობრივად, ძალზე მცირდებიან ბაზრის კეთილსინდისიერი სუბიექტები და მსხვილდება ფარული ბიზნესი (მათ შორის ტერორიზმის საფუძველზე), რაც, თავის მხრივ, სერიოზულ საფრთხეს უქმნის მსოფლიო წესრიგსაც. ბაზრის კონკურენტულობის შეფასებამ მხოლოდ ჰერფინდალ-ჰირშმანის მეთოდოლოგიით, შესაძლებელია, მცდარი წარმოდგენა შექმნას, რომ ბაზარზე ყველაფერი კარგადაა. ხოლო მცდარი წარმოდგენა ბაზარზე, მცდარ წარმოდგენას განაპირობებს უმნიშვნელოვანეს სამხედრო-პოლიტიკურ და დემოგრაფიულ პერსპექტივაზე.

1) ეფექტიანობა (ოპტიმალური დონის გაანგარიშება ზემოაღნიშნული ნახატის N3 საფუძველზე და, მნიშვნელოვანი სტრუქტურული ძვრების შემთხვევაში, სტრუქტურული ძვრების ეფექტიანობის ევროკავშირის მეთოდოლოგიის განვითარებით ჩემს მიერ შემოთავაზებული ფორმულირების დახმარებით, გამოყენებული წყაროების სიაში აღნიშნული ჩემი შრომების საფუძველზე); 2) კონკურენციის ძალის რაოდენობრივი დონე (ჩემს მიერ ფორმულირებული ზემოაღნიშნული კანონი $I = U / R$); 3) ხარისხი (ინტეგრალური კოეფიციენტით $K = N \cdot I_r \cdot I_o$) [6, გვ. 54] - აი „ბუნებრივი“ კონკურენციისადმი ჩემი მთავარი "მოთხოვნების" სამება და, სხვადასხვა სიტუაციაში, შეიძლება მნიშვნელოვნად იცვლებოდეს მათი ფაქტობრივი პრიორიტეტები და შეფასებები.

მარეგულირებელ მექანიზმსაც თანამედროვეობისათვის უმწვავესად საჭირო მიმართულებების სამება აქვს საფუძველში: 1) კვალიფიციური საერთაშორისო ანტიმონოპოლიური ორგანოს შექმნის უმწვავესი აუცილებლობა, მათ შორის სხვადასხვა რეაქციული რეჟიმებით მოსახლეობის მასობრივი გადატაკების აღმოფხვრის მიზნით; 2) მაკროეკონომიკურ დონეზე, მომხმარებელთა დაცვის მიზნით, ადგილობრივი ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირება (შესაძლოდ მინიმალური სახელმწიფო დანაკარგებით); 3) მხარდაჭერა და, ზოგიერთ შემთხვევაში, უშუალო მონაწილეობა კერძო ბიზნესის მიკროეკონომიკურ მენეჯმენტში, დაზარალებულ მეწარმეთა გადაუდებელი დაცვისა და კრიზისული რეგიონების სწრაფი ზრდის მიზნით.

კონკურენციის ობიექტური კანონი, რომლის შესახებაც ადრე გამოვაქვეყნე [40], მაქსიმალურ ეფექტიანობას მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკის შესაძლოდ ბუნებრივი ფუნქციონირებისას ავლენს, ანუ ფარული შეთანხმებებისა და არაკეთილსინდისიერი მონოპოლიების მინიმალური დონის შემთხვევაში. მაგრამ მსოფლიო დონეზეც კი, კონკურენციის ფაქტიური ძალა მნიშვნელოვნად განსხვავდება კონკურენციის მიზანშეწონილი (ოპტიმალური, მაქსიმალურად ეფექტიანი) დონისაგან, რაც სხვადასხვა საერთაშორისო ბაზარზე მუდმივი დამატებითი დაკვირვებების საჭიროებას განაპირობებს.

ბაზრის კონკურენტულობის შეფასების მნიშვნელოვან პარამეტრად შეიძლება გამოგვადგეს მენეჯერული ხარჯების ხვედრითი წონაც მთლიანად ხარჯებში, იმდენად, რამდენადაც, მონოპოლიურობისკენ მიდრეკილების დროს, ჩვენი დაკვირვებით, სწორედ აღნიშნული ტრანზაქციული ხარჯები იზრდება განსაკუთრებით სწრაფად.

ეკონომიკაში მნიშვნელოვანია გადასახადების ან სხვა ეკონომიკური მექანიზმების მიკროსკოპული ცვლილებაც კი. მაგალითად, ჩემმა გაანგარიშებებმა მოულოდნელად აჩვენა, რომ, ექსპორტზე გადასახადის, ერთი შეხედვით, პოზიტიურ ნულოვან განაკვეთს შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი შედეგები, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც განუვითარებელია წარმოების მეცნიერებატევადი დარგები და დომინირებს ნედლეულის ექსპორტი.

კონკურენცია მოქმედებს არა მხოლოდ მეწარმეებს შორის, არამედ ეკონომიკის დარგებსა და რეგიონებს შორისაც. ჩემმა კვლევებმა აჩვენა, რომ ეკონომიკის რეგიონალური სტრუქტურა უფრო მკაცრი კრიტერიუმია ეკონომიკის განვითარებულობის შესაფასებლად, ვიდრე დარგობრივი. ქვეყანას, რომელსაც განვითარებული დარგობრივი სტრუქტურა აქვს, შეიძლება ჩამორჩენილი რეგიონები ჰქონდეს. მაგრამ, თუ რეგიონალური სტრუქტურაა განვითარებული, დარგობრივი სტრუქტურაც შესაძლოდ განვითარებული იქნება. ამ მიზეზით, კონკურენციის მაჩვენებლების მონიტორინგი საფუძველზე ფინანსური და საერთოეკონომიკური ინდექსების კონტექსტში, გთავაზობთ ქსელური მენეჯმენტის სხვადასხვა მექანიზმს, განსაკუთრებით ჩამორჩენილთა მხარდაჭერისა და წარმატებულთა დამატებითი სტიმულირებისათვისაც.

რატომღაც, სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში ფესვი გაიდგა ბუნებრივი მონოპოლიების მარეგულირებელი კომისიების პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენების ტრადიციამ. საკითხის მნიშვნელობა არ ნიშნავს დაუმსახურებელი პრივილეგიების საჭიროების ძალზე ცუდ მაგალითს. საშუალო ხელფასი ასეთ კომისიურ სტრუქტურებში არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს საშუალოსახელმწიფო დონეს. სახელმწიფომ "სასათბურე" პირობები უნდა შეუქმნას არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან "სასიკვდილოდ" დაზარალებულ მეწარმეებსა და რეგიონებს და არა თანამდებობის პირებს. "სასათბურე" პირობების გარეშე, აღნიშნული დაზარალებულები ვერ შეძლებენ ადგილობრივი ბაზრის ისევ გამოცოცხლებას, ხოლო "სასათბურე" პირობები სხვადასხვა სახელმწიფო მოხელეებს - თავისთავად, კეთილსინდისიერი კონკურენციის წესების დარღვევას წარმოადგენს.

გარკვეული ნაკლოვანებები კონკურენციის თეორიის ისტორიიდან, ჩემთვის არ წარმოადგენდა "სენსაციურს" - ყველა მოაზროვნეს და გენიოსებსაც მათ შორის, შეიძლება ჰქონდეთ გარკვეული შეცდომები, რომელთა შესახებაც პერიოდულად ვაქვეყნებდი ჩემს "ორიგინალურ" ინოვაციებს. მაგრამ ფარული მონოპოლიზმისგან დაზარალებული ბიზნესის კრიზისმა მიიღო სენსაციური მასშტაბები ცალკეულ ქვეყნებსა და საერთოდ მსოფლიო ეკონომიკაში, რამაც მაიძულა მეფიქრა წარმოდგენილ გადაუდებელ რეგულაციებზე.

ჩემი თეორიული განზოგადებები კონკურენციის შესახებ მნიშვნელოვანწილად მიმართულია იმათ წინააღმდეგ, ვინც ფიქრობს ეფექტიანი მსხვილი ბიზნესისა და დიდი პროგრესული ქვეყნების განადგურებისა და დანაწევრების შესახებ. მათ უნდა გაიგონ, რომ პრობლემა ბიზნესისა და ქვეყნის ზომაში კი არ არის, არამედ გულწრფელობასა და პრაქტიკულობაში.

2. მართვის თანამედროვე პრობლემები და ქსელური დელეგირების აუცილებლობა

მართვის პრობლემებზე, ბუნებრივია, უძველესი ადამიანებიც ფიქრობდნენ და მათ შორის 3 ათასზე მეტი წლის სახელმწიფოებრიობის ქართველებიც. სახელმწიფოსა და ოჯახური მეურნეობის გაძლიერების საკითხების გაცნობიერების პირველი მცდელობები, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ უძველესი ეგვიპტის, საბერძნეთისა და ჩინეთის ცივილიზაციებში გვხვდება, რაც ევროპაში ინგლისის სამრეწველო რევოლუციის შემდეგ, სულ უფრო მეცნიერულ ხასიათს იძენს და, ამერიკული სკოლის ინიციატივითა და უშუალო ორგანიზებით, მე-20 სუკუნიდან, მენეჯმენტის თეორიულ საფუძვლებად გვევლინება.

მაგრამ გამოცდილება გამოცდილებად და, თანამედროვე პირობებში, ჯერ კიდევ მრავლადაა შემთხვევები, როცა მართის საკითხებში გაურკვევლობა ან მოძველებული ხედვების განუვითარებლობა იწვევს ცხოვრების დონის გაჭიანურებულ ჩამორჩენებსა და, ჩვენი კონკრეტიკის შემთხვევაში, უნიკალური ბუნებრივი პირობების სოფლებისა და მთის ადრე დასახლებული მასივების დაცარიელებას.

მორფოლოგიური მრავალფაქტორული განზოგადებებისა და დელფის მეთოდით შეფასებების გამოყენებით, გამოვლინდა [9, გვ. 6], რომ საქართველოს მაღალ მთაში (ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მეტი) მინიმუმ 4-ჯერ მცირე უნდა იყოს ბიზნეს-ობიექტის კონცენტრაცია, ვიდრე დაბლობში (ზღვის დონიდან 500 მეტრამდე), ხოლო დაახლოებით 2,7 ჯერ ნაკლები, ვიდრე შუა მთაში (500-დან 1000 მეტრამდე). აღნიშნული გაანგარიშებების საფუძველზე, გამოვთქვამთ რეკომენდაციას, რომ დაბლობში კონცენტრირებულ ბიზნესში შეიძლება დელეგირებულ იქნეს მაღალი და

შუა მთის ბიზნესის ისეთი ფუნქციები, როგორებიცაა - უშუალოდ მენეჯერული ოფისების მოწყობა ბიზნეს-გეგმების, ფინანსური ანალიზისა და მარკეტინგული კვლევის წარმოებისათვის, ასევე, ტექნიკით უზრუნველყოფის კოოპერირებით.

დელეგირება შეიძლება განხორციელდეს არამხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, არამედ, სულ უფრო მეცნიერებატევად აგროსამრეწველო და ჯანდაცვით ბიზნესშიც. როცა სტეფანწმინდაში ყაზბეგის საერთაშორისო მართონში მივიღე მონაწილეობა და ჩემს ასაკობრივ ჯგუფში გავიმარჯვე, გავიგე, რომ მაღალი მთის მრავალ მცირედდასახლებულ სოფელში საავადმყოფოების კი არა, მცირე ამბულატორიების მოწყობაც კი ვერ ხერხდება. ამას ემატება გარემოება, რომ მცირემიწიანი მეურნეობები, უნიკალური ქართული ბუნების მიუხედავად, ვერაფრით ვერ უწევენ კონკურენციას ტექნიკურად კარგად აღჭურვილ უცხოურ კომპანიებს.

შედეგად, ასეთ მაღლივ სოფლებში ღრმადმოხუცი მოსახლეობა თუ შემორჩა (ისიც აქა-იქ) და სასწრაფო ღონისძიებებია გასატარებელი საგანგაშო ეკონომიკური და დემოგრაფიული დეპრესიიდან გამოსასვლელად.

ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ შემოთავაზებული ქსელური დელეგირების მენეჯმენტი, მეტად კონკურენტული კოოპერირებით, მომენტალურად შეცვლის მდგომარეობას. ასეთი მენეჯმენტის სამაგალითო ელემენტარული სქემა შეიძლება გულისხმობდეს:

1) ყოველ მაღლივ სოფელში მინიმუმ 2-კაციანი ამბულატორიული პუნქტების მოწყობას, რომლებიც დაეხმარებიან მოსახლეობას (მ.შ. ახალგაზრდა ოჯახებს) სამედიცინო დახმარების (მ.შ. მშობიარობის) აუცილებლობის დროს. პირველ ეტაპზე, ასეთი პუნქტები, თავისუფალ დროს შეიძლება დაკავდნენ ადგილობრივი ნედლეულით უნიკალური სამკურნალწამლო პრეპარატების დამზადებაზეც;

2) ასეთი პუნქტების მენეჯერული ფუნქციები (მ.შ. ტექნიკით - ვერტმფრენებითა თუ სხვა აუცილებელი საშუალებებით უზრუნველყოფა) დელეგირებული უნდა იყოს კომპანიის სათაო ოფისზე თბილისსა თუ რეგიონალურ ცენტრებში;

3) ასეთი კოოპერირება შექმნის რეალური ბიზნესის საფუძველს და არსებითად გაზრდის ბიზნესის ეფექტიანობას ქვეყანაში, დააბრუნებს ახალგაზრდობას მთაში, შექმნის სამუშაო ადგილებს ეკონომიკის სხვადასხვა დარგში;

4) სახელმწიფო ჩართულობა ამ სქემაში უნდა მოვიაზროთ მინიმალური - სიმბოლური (ამასთანავე, აუცილებელი) ხარჯებით, რაც შეიძლება გამოიხატოს ამბულატორიული პუნქტების მოწყობაში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (ხშირ შემთხვევაში არასათანადოდ ათვისებული შენობა-ნაგებობების ფართებით) გადაცემასა და მცირე ტექნიკური პარკების აღჭურვაში. აღნიშნულის აუცილებლობა, გვალვებისა და გახშირებული ხანძრების პერიოდში, რთულად მისასვლელი ჩვენი მაღალი მთიანეთისათვის მწვავედ საჭირო ვერტიკალური ნაკლებობამაც დაადასტურა.

ბაზრის კონკურენტულობის დონისა და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად, ჩემს ადრინდელ შრომებში სხვადასხვა მაჩვენებელი და მეთოდი შემოთავაზებული, მ.შ. ევროკაშირის ექსპერტთა მიდგომის განვითარებით [6; 7; 8] და, ამჯერად, დავამატებ ქსელური დელეგირების მენეჯმენტის კონკურენტუნარიანობის (რაც თითქმის 3-ჯერ მეტად ეფექტიანი იქნება ადრინდელ მდგომარეობასთან შედარებით), საერთო-სახელმწიფო საზოგადოებრივი სექტორის ბიზნესში ჩართულობისა და საერთაშორისო ბაზრების კონკურენტულობის მაჩვენებლების შეფასების საჭიროებასაც.

მენეჯმენტის კონკურენტუნარიანობის შეფასების სამაგალითო მაჩვენებლად შეიძლება გამოვიყენოთ წმინდა მოგების ფარდობა მენეჯერული პერსონალის რაოდენობასთან, საზოგადოებრივი სექტორის ჩართულობა შესაძლებელია შევაფასოთ ბიზნესის მხარდასაჭერად დახარჯული სახსრების ხვედრიწონით, ხოლო საერთაშორისო ბაზრის კონკურენტულობის დონე - ბაზარზე მსხვილი კომპანიების (რომლებიც კონკრეტული ბაზრის მეხუთედზე მეტს აკონტროლებს) რაოდენობით.

წარმოდგენილი კვლევის შედეგად, შემოთავაზებული ქსელური დელეგირების მენეჯმენტის მთავარ პრიორიტეტებად განისაზღვრა: 1) ბაზრის კონკურენტულობის სისტემატური (ყოველდღიური) ანალიზი, მ.შ. მთავარი მიმწოდებლებისა და არარეალიზებული პროდუქციის დონის ჩვენს მიერ შემოთავაზებული მაჩვენებლებით; 2) გამომდინარე, ბიზნესის წარმატებისათვის აუცილებელი ახალი მოქმედებების შესახებ ორიგინალური (და არა ბრმად კოპირებული) გადაწყვეტილებების შემუშავება, გამოცდილი მენეჯერების მინიმუმ 3-5 კაციანი საბჭოს კომპრომისული დასკვნის საფუძველზე; 3) არა გამოუყენებელ ტექნიკას -

მხოლოდ კონკრეტულ მოთხოვნებთან ადეკვატური საჭირო მოწყობილობა; 4) მხოლოდ უნარჩენო ტექნოლოგია.

ბიზნესის სწავლების პროცესში, მომავალ მენეჯერ-ინტელექტუალებს უნდა განემარტოთ, რომ მოგებასა და ეფექტიანობაზე ზრუნვასთან ერთად, თანამედროვე წარმატებული ბიზნესის იმიჯი წარმოუდგენელია ბიზნეს-კულტურის გარეშე და ბიზნესმენს საზოგადოებრივი პრობლემებიც უნდა ადარდებდეს და ქველმოქმედებასაც ამრავლებდეს მათ გადასაჭრელად.

მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება ამაღლდეს ეკონომისტების პრესტიჟი და, საბოლოო ჯამში, ანაზღაურება. ეკონომისტი მხოლოდ მონაგარიშე მეორეხარისხოვანი პროფესია ჰგონია ზოგიერთს და ავიწყდება, რომ სწორედ ეკონომისტებმა - სმითმა, ქეინზმა, ფრიდმენმა და მათთანებმა ძალზე საჭიროდ შეცვალეს მსოფლიო ეკონომიკური მოწყობა და ევროკავშირიც კი სხვა არაფერია, თუ არა მაღალეფექტიანი ცხოვრების დონის ეკონომიკური კავშირი.

3. კონკურენციის მნიშვნელობა კონკურენტული დელეგირებისთვის

თანამედროვე კონკურენტული ქსელური მენეჯმენტის საფუძვლების სრულფასოვნად გასააზრებლად, ვფიქრობთ, პრიორიტეტული მნიშვნელობა კონკურენციის საკითხების სათანადო შესწავლას უნდა მიენიჭოს.

ხშირად ვაქვეყნებ შრომებს ბაზრის კონკურენტულობის შეფასების ჩემს მეთოდზე და მკითხველს, ბუნებრივია, დაებადება კითხვა - რატომ არის ჩემს მიერ შემოთავაზებული კონკურენციის ინდექსები ძალზე მნიშვნელოვანი ადამიანების არსებითად უკეთ ცხოვრებისათვის? მართლა ძალიან დიდ პატივს მივაგებ ყოველივე პროგრესულს აშშ-ში, მაგრამ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის მეთოდოლოგია, რომელსაც ამერიკელები იყენებენ, როგორც აღვნიშნეთ წინამდებარე შრომის შესავალსა და 1-ლ ნაწილში, განვითარებას საჭიროებს. ჩვენ მეტად უნდა გვანტერესებდეს უმსხვილესი მიმწოდებლების ქცევა ბაზარზე და არა უმცირესების მაჩვენებლების შეკრების ხანგრძლივი პროცესი. ამასთანავე, ჩვენი ინდექსებით

შეიძლება მომხმარებელთა ხარისხში მოტყუების, მონოპოლიური ფასებისა და სხვა მნიშვნელოვან პროცესებსაც დავაკვირდეთ კონკურენციის თვალსაზრისით.

ზღვრული ხარჯების საკითხებზეც ვმუშაობ კარგა ხანია, რაც, ბაზარზე კონკურენციის შედეგად, წონასწორული ფასების გააზრებისათვის არანაკლებ აქტუალურია და მათი, გარკვეული ზღვრის შემდეგ, კანონზომიერი ზრდის თეორია, რომელიც შვეიცარული, ავსტრიული, ფრანგული, ინგლისური და ახალი ამერიკული ეკონომიკური სკოლების სხვადასხვა დროის წარმომადგენლების კვლევების საბოლოო შედეგია, აბსოლუტური ჭეშმარიტებაა. ჩვენ ვაკრიტიკებთ, თუ რამ საკრიტიკებელია, მაგრამ აღნიშნულს წუნი ნამდვილად არ აქვს.

ფინანსური ანალიზის წარმოებისას, რაც ეფექტიანი მენეჯმენტის მიზნებს უნდა ემსახურებოდეს, უპირველესად, აუცილებლად უნდა ითვალისწინებდნენ რაციონალური კონკურენტულობის საზღვრების შეფასების შედეგებს, ვინაიდან, სწორედ ეს განაპირობებს რენტაბელობის რაციონალურ ინდექსებს, მ.შ. ინვესტორებისათვის განსაკუთრებით საინტერესო საკუთარი კაპიტალის ROE რენტაბელობას. ამ მიმართებით, ძალზე მოხერხებულ ინტერპრეტაციად მიმაჩნია კაპიტალის რენტაბელობაზე კომპლექსური დაკვირვება დიუპონის მეთოდით, რომელიც აღნიშნულ ინდექსს 3 შემადგენელ ფაქტორად ყოფს [8, გვ. 4].

ხანგრძლივი კვლევების საფუძველზე, მივედი დასკვნამდე, რომ საერთაშორისო კონკურენცია (პირდაპირი მნიშვნელობით - პაექრობა) ღვთისაგან [1; 2] ბოძებული და ადამიანისაგან დამოუკიდებლად მოქმედი ობიექტური ფენომენია. ის ნებისმიერი ორი ან მეტი სუბიექტის (სახელმწიფოები, რეგიონები, ფიზიკური ან იურიდიული პირები და სხვ.) ურთიერთობებში ვლინდება და სტიმულს აძლევს მოპაექრე სუბიექტების მეტ ეკონომიკურ ეფექტიანობას, ამდენად, სასიკეთო გავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე, თუ, რა თქმა უნდა, კეთილსინდისიერი კონკურენცია არ გადაგვარდება მისი არსებითად დამაზიანებელი ფარული შეთანხმებებით.

მაგალითისათვის, ბავშვები, რომლებიც საერთო ოჯახში იზრდებიან, თავიდანვე, ყოველგვარი სწავლების გარეშე, ინსტიქტურად ეპაექრებიან ერთმანეთს, რათა უკეთ წარმოჩინდნენ მშობლებისა თუ სხვა ახლობლების წინაშე, მაგრამ ეს მათ არ უშლის ხელს თავგამოდებით უყვარდეთ ერთმანეთი. თუმცა, თუ კეთილი ინსტიქტები

გადაამეტებენ დასაშვებ მორალურ საზღვრებს, ახლობლების ურთიერთობებიც კი შეიძლება არასასიკეთოდ შეიცვალოს. ანუ, თუ ადამიანს სულიერი საწყისები სუსტი აქვს, ის კონკურენციის კეთილ შედეგებს ვერ მოიმკის და, შეიძლება, საპირისპიროდ წაუვიდეს საქმე.

ფიზიკის დენის ძალის კანონის მსგავსად, ეკონომიკური კონკურენციის ძალის განსაზღვრის შემდეგ ჩატარებულმა კვლევებმა [3; 4; 5], მიმიყვანა კონკურენციის ობიექტური კანონზომიერების აღმოჩენასა და მის უმარტივეს ფორმულირებამდე: რაც უფრო ნაკლებია ყველაზე დიდი მიმწოდებლის ხვედრითი წონა (რაციონალურ ზღვრამდე) ბაზარზე, მით უფრო მეტია კონკურენცია მეწარმეთა შორის. ეს ისეთივე ობიექტური და უმნიშვნელოვანესი კანონზომიერებაა, როგორც პროდუქტიულობის (მწარმოებლურობის) ზრდის კანონზომიერება, რომელსაც შეცნობა და გონივრულად გამოყენება უნდა. დიქტატორული რეჟიმებისა და ციკლური რყევების მიუხედავად, პროდუქტიულობა, საბოლოო ჯამში, იზრდება და კაცობრიობის ცხოვრების დონე მატულობს, მაგრამ სიმდიდრის გადანაწილება, მონოპოლიების არსებობის გამო, არ აძლევს ადამიანს საშუალებას აამოქმედოს კონკურენციის კანონზომიერება და მასობრივად იცხოვროს უკეთ.

განსაკუთრებით არ მიყვარს პოპულისტები და ვიცი, თავის გამოჩენის ინტერესად არ ჩამითვლით ჩემს „აღმოჩენასა“ და კონკურენციის კვლევის ჩვენს წინამდებარე საკითხებში გენიოსი ეკონომისტების - დავით რიკარდოსა და ჯონ მენარდ ქეინზის მოსაზრებების განვითარებებს - ნამდვილად გულით მინდა სიტუაციის გაუმჯობესება საერთაშორისო კონკურენციაში, თქვენი (ჩვენი) არსებითად მეტად ბედნიერი ცხოვრებისათვის.

როგორც ცნობილია, რიკარდომ (1772-1823) შემოგვთავაზა სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ეკონომიკური მოგების შემცირების ცნობილი კანონზომიერების თავისი ხედვა ბაზრის ყოველი მიმწოდებლისთვის [3; 4; 27; 28], რასაც დავეთანხმები, ოღონდ სრულყოფილი კონკურენციის გაგების აუცილებელი კორექტირებით. ეკონომიკური თეორიის კლასიკოსები, სრულყოფილი კონკურენციის მახასიათებლებს შორის, უმთავრეს ნიშან-თვისებებად მიიჩნევდნენ - ბაზარზე გამყიდველთა და მყიდველთა ძალიან დიდ (უსასრულოდ მზარდ) რაოდენობას (როცა არცერთ მათგანს არ შეეძლო საბაზრო ფასზე გავლენის მოხდენა),

ბაზარზე შესვლისა და გამოსვლის ბარიერების არარსებობასა და თანაბარ და სრულ წვდომადობას ინფორმაციაზე (მ.შ. ფასებზე).

ბუნებრივია, სრულყოფილი კონკურენციის ასეთი მოდელი თითქმის იდეალიზებულია და უფრო მეტიც, სრულყოფილი კონკურენცია, ჩემი აზრით, უფრო ისაა, როცა თანაარსებობენ როგორც მსხვილი, ასევე მცირე მიმწოდებლები. ადამიანებს შორის და ცხოველთა თუ მცენარეულ სამყაროშიც ხომ დიდი განსხვავებებია ზომა-წონაში. წარმოუდგენელია ყველა თანაბარი შესაძლებლობის იყოს, მაშინ ხომ განსხვავებათა ბუნებრივ მიმზიდველობასა და მრავალფეროვნებას აზრი დაეკარგებოდა. კარგია, თუ ბაზარზე ძალიან ბევრი კონკურენცია, მაგრამ აღნიშნულსაც, როგორც შემდეგში ვნახავთ კონკურენციის ინდექსების დახასიათებისას, გარკვეული ზომიერება უნდა.

ე. წ. „დიდი დეპრესიის“ გამოცდილებით, ქეინზმა (1883-1946) მიიჩნია, რომ სრულყოფილი კონკურენცია საერთოდ წარუმატებელია და აუცილებელია გარე ჩარევები ბაზარზე [3; 4; 29; 87]. დავეთანხმები ბატონ ქეინზს, რომ ჩარევები საჭიროა, მაგრამ ეს ჩარევები, ჩემი გაგებით, სრულყოფილი კონკურენციის დაცვას უნდა გულისხმობდეს, ისევე, როგორც პოლიცია უნდა იცავდეს ადამიანებს კრიმინალისაგან, მაგრამ მხოლოდ იცავდეს და არა აზიანებდეს ტენდენციური ჩარევებით. ჩემი აზრით, სრულყოფილი კონკურენცია თავად გულისხმობს ჩარევის აუცილებლობას. სრულყოფილი (ანუ, ჩემი გაგებით, ბუნებრივი და არა ხელოვნურად ფორმირებული გარკვეული ნიშან-თვისებების მიხედვით) კონკურენცია აუცილებლად გვჭირდება და უნდა ვცდილობდეთ, რომ მაქსიმალურად დავიცვათ ის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, აქამდე, კონკურენციის მკვლევარებს მიაჩნდათ, რომ კონკურენციის საუკეთესო განვითარება მხოლოდ კონკურენტთა რაოდენობის მატებაშია. მათ მიაჩნდათ, რომ არ ვარგა მონოპოლია, ცოტათი უკეთესია ოლიგოპოლია და მთლად უკეთესია ე.წ. პოლიფონია. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევებში, მართალია, კონკურენციის ძალის ჩვენი ინდექსებიც მატულობს, მაგრამ კონკურენციის ეფექტიანობა ზოგჯერ შეიძლება

ეცემოდეს, ვინაიდან, აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ კონკურენციის რაციონალური საზღვრები.

საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენცია ცალკეული ქვეყნების ინოვაციური მართვის, შესაბამისად, ცხოვრების დონის ზრდისა და, შედეგად, კაცობრიობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ის დიდ და მცირე ერებსა და ადამიანებს აიძულებს მეტად მობილიზებულნი იყვნენ მოქმედებებში, რაც მათ პროდუქტიულობასაც არსებითად ამაღლებს. შესაბამისად, პრიორიტეტულად საერთაშორისო და, ამასთანავე, ადგილობრივი ბაზრების კონკურენტულობის დონის შეფასებასა და სისტემატურ აუდიტსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური კეთილდღეობის საჭირო მატებისათვის მსოფლიოში.

როგორც ცნობილია, საერთაშორისო ბიზნესში მომრავლებული სტრატეგიული ალიანსების შექმნის ერთ-ერთ მთავარ მიზანს საერთაშორისო კონკურენციის დაძლევა და ზოგიერთი სახელმწიფოს შიდა ბარიერიერების ალიანსების გზით დაძლევა წარმოადგენს. ალიანსების გარკვეული ნაწილი ამას არაკეთილსინდისიერად აკეთებს, რის სრულფასოვნად გაკონტროლებაც არცერთ სახელმწიფოს არ ძალუძს. გამომდინარე, საერთაშორისო კონკურენციის საერთაშორისო აუდიტი [41] განსაკუთრებით პრიორიტეტულ საქმედ გამოიკვეთა გლობალიზების თანამედროვე ეპოქაში.

საერთაშორისო კონკურენციას მთელი რიგი სირთულეებიც ახლავს, რაც, ასევე, გასათვალისწინებელია, რომ მცირე ერებს თვითმყოფადობის დაკარგვის საფრთხე არ შეექმნას.

მსოფლიოში მიმდინარე კონკურენტულ პროცესებთან დაკავშირებით, უნდა დავაწყნაროთ გლობალიზების მოშიშრები - გლობალიზების პროცესი უსასრულო არ იყო და მისი კონტურები უკვე შემოიხაზა ინტერნეტის შექმნასთან ერთად. მისი სივრცობრივი გავრცელების მასშტაბები ფაქტობრივად დასრულდა. მსოფლიო ერთი დიდი ოჯახია და ის ხომ ფართობით მეტად ვეღარ გაიზრდება. ვფიქრობ, აქ უპრიანი იქნება საქართველოს უშიშარი და უნიჭიერესი პატრიარქის - ილია II-ს მოსაზრების მოყვანა, რომელიც მასთან შეხვედრისას ბრძანა, რომ გლობალიზაციას არ უნდა

შევუშინდეთ და, პირიქით, მისი უხვი სიკეთეები შესაძლოდ უნდა გამოვიყენოთ და გავამრავლოთ [5].

აქ ერთ მნიშვნელოვან გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი. ზოგი თვლის, რომ საერთაშორისო კონკურენციის შედეგად სხვადასხვა კავშირებისა და ქვეყნების რღვევაც უსასრულო პროცესია. არამც და არამც. როგორც ბუნებაში თანაარსებობენ დიდი და მცირე არსებები, ასევეა სახელმწიფოებრივ მოწყობაში. უბრალოდ, შესაძლებელია, რომ ქვეყანა, რომელიც რეაქციული ბუნებითა და ეკონომიკური დაკაბალებით თავს აბეზრებს დანარჩენ მსოფლიოს, ის აუცილებლად გაქრება უფლის მფარველობის არეალიდან. აქ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ გაქრობის საფრთხე იმ მცირე ქვეყნებსაც ემუქრება, რომლებიც კეთილმეზობლურ თანამშრომლობაში ვერ გამოიჩენს შეკავშირების უნარებს.

ცდება ის, ვინც ცდილობს ნებისმიერი ორი სუბიექტის ურთიერთობაში ინსტიტურად დაწყებული კონკურენცია (მ.შ. საერთაშორისო ბიზნესშიც) ხელოვნურად (არაკეთილსინდისიერად) დათრგუნოს ან ვერ ხედავს მისი მოქმედების შედეგებს. უფრო მართებულია ის, ვინც შეიცნობს ადამიანების ნებისაგან დამოუკიდებლად მოქმედ ამ ობიექტურ რეალობას და ცდილობს სასარგებლოდ გამოიყენოს მისი უპირატესობები და უმკურნალოს შესაძლო გართულებებს.

როგორც განვიხილეთ, კონკურენცია მეტად სასარგებლო გავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრების დონეზე, მაგრამ, საერთაშორისო პრაქტიკაში, ხშირ შემთხვევაში, ვერ ხერხდება ამ სასარგებლო ფაქტორის სრულფასოვნად გამოყენება და, ოფიციალური სტატისტიკით [3], მსოფლიო ეკონომიკის ზრდის მიუხედავად, მზარდი სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილი ილექება ფარული არაკეთილსინდისიერი მონოპოლიების საცავებში, შედეგად, ვერ ხერხდება მასობრივი სიღარიბის პრობლემების ადეკვატური დაძლევა.

ადამიანი, გაჩენის დღიდან, ძალიან ბევრს ფიქრობს, როგორ იცხოვროს უკეთ, მაგრამ, ხშირად, ის, მაინც, მცდარ დასკვნებს აკეთებს. რელიგიურ და ინტელექტუალურ წრეებში, სულ უფრო მეტად იმართება დებატები, თუ როგორია მდიდარი ადამიანი - მეტწილად კეთილი თუ პირიქით. სამწუხაროდ, ზოგს მიაჩნია, რომ ღარიბი ადამიანი უფრო ახლოსაა უფალთან და სიმდიდრისათვის ზრუნვა

კეთილის მომასწავლებელი არ არის, რაც მხოლოდ ცუდით სრულდება. მიმაჩნია, რომ ეს ნამდვილად არ არის ასე - თუ ადამიანი სიმდიდრეს მართებულად მოიხმარს და ღვთის მიერ განსაზღვრული კეთილშობილებით იმოქმედებს, შესაძლოდ საუკეთესო შედეგებს მიიღებს.

ვფიქრობ, ღარიბ ადამიანებში არანაკლებ არიან მომხვეჭელობას მიჯაჭვული ფარისეველი „პიროვნებები“ და ნამდვილად უკეთესი იქნება, თუ ადამიანები მეტწილად სიმდიდრეში (ეკონომიკურ კეთილდღეობაში) იცხოვრებენ და მეტ სიკეთესაც დათესავენ, მ.შ. ღარიბი ადამიანების გამდიდრებისათვის.

უდიდესი პატივისცემით მინდა აღვნიშნო საქართველოს პატრიარქის - ილია II-ის ზედნიწევნით ზუსტი ფორმულირება ამ მიმართებითაც. ის ხშირად ბრძანებს ქადაგებებში, რომ „სიღარიბეს არ მიეჩვიოთ“ [5]. ანუ ადამიანებმა უნდა იშრომონ და ყოველმხრივ ეცადონ გამდიდრება კეთილი მიზნებითა და მეტწილად საყოველთაო ბედნიერებისათვის და, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, გლობალური კონკურენციის ეპოქაში, როგორმე უნდა მოხერხდეს, რომ ადამიანების ხსენებული კეთილი მიზნები გავანთავისუფლოთ ფარული ეკონომიკური მონოპოლიების ძალზე მავნე წნეხისაგან.

ყოფილ საბჭოთა კავშირში, თავისუფალ ბაზარს პოლარულად დაპირისპირებული კომუნისტებიც კი არ მიიჩნევდნენ, ზოგიერთი დღევანდელი მონოპოლიზმის დამცველებისაგან განსხვავებით, რომ კონკურენცია მითიური ფენომენია. ისინიც კი, თვლიდნენ, რომ საჭიროა გარკვეული შეჯიბრებითობა, ეკონომიკური ზრდის სასურველ შედეგს რომ მივაღწიოთ - ხელოვნურად მოიგონეს კიდევაც ე.წ. „სოციალისტური შეჯიბრება“.

თავისუფალი ბაზრის ზოგიერთი თანამედროვე „კეთილი დამცველი“ კი თვლის, რომ ანტიმონოპოლიური სამსახურები საერთოდ არ გვჭირდება [3; 4; 5], ვინაიდან, ისინი ცალკეული ბიზნესების ლობირების ბიუროკრატიულ სტრუქტურებად იქცევიან და მეტწილად კორუფციულ მიდრეკილებებს ავლენენ. „დამცველების“ ამგვარი ლოგიკით, საგადასახადო და საბაჟო სამსახურებიც უნდა გავაუქმოთ (რომლებსაც, სხვათაშორის, ანტიმონოპოლიური სამსახურისგან განსხვავებით, შეიძლება აწყობდეც კიდევაც, რომ მსხვილი გადამხდელები ჰყავდეთ). ჩვენი

რწმენით კი, ამ მეტად საჭირო სამსახურებს ან პოლიციას კი არ უნდა ვებრძოლოთ, მათი მოქმედების მექანიზმების სრულყოფა უნდა შეგვეძლოს, რეალურად ჰუმანურობისა და ქმედითობის მიმართულებით.

ზემოაღნიშნულის უკიდურესად საპირისპიროდ, თავისუფალი ბაზრის „კეთილი დამცველები“ თვლიან, რომ მონოპოლიებს (თუგინდ ფარული შეთანხმებებით „გაბერილს“) არ უნდა შევხვით, რათა ეკონომიკის ბუნებრივი პირობები არ დავაზიანოთ. მაშინ, გამოდის, რომ არც სტიქიური უბედურებებისაგან სჭირდება ადამიანს დაცვა. მონოპოლისტი შეიძლება კეთილი მიზნებით გახდეს მონოპოლისტი, მაგრამ, როცა ის ბაზარზე მარტო რჩება და მოგების ზრდის მისი მეწარმული მიდრეკილება ფასების მატებისაკენაც უბიძგებს, ის ამას ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გააკეთებს და ეცდება შეინარჩუნოს ეს დიქტატორული სიტუაცია. ამიტომ, საზოგადოება უნდა ცდილობდეს მონიტორინგი აწარმოოს მის ამგვარ მიდრეკილებებზე ბიზნესისა და ადამიანების მასობრივი გადატაკების ოპერატიული აღკვეთის მიზნით.

ჩემი აზრით, გლობალიზაციის თანამედროვე ეპოქაში, როცა ერთიანი მსოფლიო ეკონომიკა, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებითა თუ ხარვეზებით, რეალობად იქცა, აუცილებელია საერთაშორისო ანტიმონოპოლირი სამსახურის ორგანიზება, ვინაიდან, არაკეთილსინდისიერ მონოპოლიებს ყოველთვის საერთაშორისო ფესვები აქვთ და ცალკეულ მთავრობებს არ ძალუძთ მათი დამოუკიდებლად დამარცხება.

ობიექტური კონკურენცია დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე და, პირიქითაც, საერთაშორისო პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს კონკურენციის თავისუფლების (არშეზღუდვის) ხარისხს. საერთაშორისო კონკურენცია, ბუნებრივია, გამწავების პერიოდებში ომებსა და კატასტროფებსაც იწვევს და სწორედ ამიტომაც აუცილებელი ამ პროცესების ღრმად გააზრება და შესაძლოდ მკურნალობა, მ.შ. საერთაშორისო აუდიტის სამსახურების მიერ.

ობიექტური კონკურენტული გარემო საერთაშორისო პოლიტიკაში ანუ ჭეშმარიტი დემოკრატია უზრუნველყოფს ისეთი პოლიტიკური სისტემის არსებობას, რომელიც ხალხების ნებასურვილს გამოხატავს, შეესაბამება ხალხების ხასიათებსა და

განწყობილებებს და ადამიანების შესაძლოდ საუკეთესო განვითარების პირობებსაც ქმნის. შესაბამისად, სრულფასოვანი პოლიტიკური სისტემა დიდ გავლენას ახდენს სრულფასოვანი კონკურენტული გარემოს ფორმირების პროცესზე ბიზნესში.

საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკაში კონკურენციის თავისუფლების ხარისხის გააზრებისას, ბუნებრივია, იბადება მეტად მნიშვნელოვანი კითხვა, თუ რამდენად უსასრულო და მიზანშეწონილია სახელმწიფოებისა და მათში ფუნქციონირებადი პარტიების რაოდენობის ზრდა, რაც, გვინდა, თუ არა, დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო ბიზნესზეც.

ჩემს მიერ წარმოდგენილი კონკურენციის ინდექსების სახით ჩაწერილი ეკონომიკურ-მათემატიკური შეფასებით, კონკურენციის მოქმედების ეფექტი მინიმალურია, როცა ერთპარტიულ სისტემასთან გვაქვს საქმე (მაშინ კონკურენციის დიდ წინაღობასთან - პოლიტიკურ მონოპოლიასთან გვაქვს საქმე ე.წ. პოსტკომუნისტური, ზოგიერთი თეოკრატიული და ტერორისტული რეჟიმების სახით). თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ პოლიტიკურ პარტიათა (ან საერთოდ სახელმწიფოთა) რიცხვის გადაჭარბებული რაოდენობა არანაკლებად ცუდ (ქაოსურ) შედეგს იძლევა და მრავალრიცხოვანი (ზედმიწევნით დაქსაქსული) და, ამდენად, მცირე წინააღობებით გამოწვეული კონკურენციის ძალის ძალზე მაღალმა მუხტმა, შესაძლოა, „მოკლე ჩართვის“ ეფექტის მსგავსად დამანგრეველად იმოქმედოს პოლიტიკურ სისტემაზეც. გამომდინარე ხსენებულიდან, პოლიტიკური პარტიების (ან საერთოდ სახელმწიფოთა) რაოდენობა ოპტიმალური უნდა იყოს და მათი თავისუფლება არ უნდა გულისხმობდეს ეროვნული თვითმყოფადობისა და გლობალური განვითარებისათვის ზნეობრივად შეუთავსებელი პარტიების დაწესების შესაძლებლობასა თუ სხვა მსგავსი სიტუაციების დაშვებას, რაც აუცილებლად უნდა რეგულირდებოდეს კანონმდებლობით. ფარული მონოპოლიის წარმოქმნის პროცესებს უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ არც ქაოსის დაშვება შეიძლება, ამ ბრძოლის მომიზეზებით.

4. გლობალური ცვლილებების გავლენა მენეჯმენტზე

ვფიქრობ, თავისუფალი ბაზრის რეგულირების ცვალებადი საზღვრების ფენომენისა და მენეჯმენტის შესაბამისი ევოლუციის აუცილებლობის წარმოსაჩენად, მიზანშეწონილია, ზოგადი ისტორიული მიმოხილვაც მრავალფაქტორულ ჭრილში.

ლოკალური ბაზრების ინტენსიური გაძლიერების პროცესი აფრიკისა და აზიის დიდი მდინარეების სანაპიროებთან დაიწყო, თანდათან ევროპის მიმართულებით შავი და ხმელთაშუა ზღვების მიმართულებებით გავრცელდა და ამერიკის აღმოსავლეთისა და ინგლისის ე.წ. სამრეწველო რევოლუციისა და, განსაკუთრებით, კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტქსელის თანამედროვე ეპოქაში, გლობალური კონტურები შეიძინა.

კომპიუტერული ინტერნეტქსელის ამოქმედებამ, შეიძლება ითქვას, დაასრულა მსოფლიო ბაზრის ფორმირების პროცესი, როცა მსოფლიო ერთიან დიდ მეურნეობად იქცა და პოლარულად დაშორებულ დაინტერესებულ სუბიექტებთან ნებისმიერი ადგილიდან და კოსმოსიდანაც კი შესაძლებელია საბაზრო გარიგების ოპერატიულად განხორციელება.

სამწუხაროდ, არ ცხრება დისკუსიები კაცობრიობის ასაკის მრავალმილიონიანობისა და ადამიანის ცხოველური წარმოშობის საკითხზე, თუმცა, დედამიწა, ჭეშმარიტი ქრისტიანული მსოფლმხედველობითა და ჩვენი ღრმა რწმენით, 7525 წლისაა მხოლოდ [2], რომელშიც, ჩვენი დაკვირვებით, შეიძლება გამოვყოთ ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანი შემდეგი გლობალური ციკლები [5]:

1. კაცობრიობისათვის ცნობილი პირველი ე.წ. მეგაპოლისის გაჩენა – ბაბილონი (დაახლოებით 3 ათასი წლის წინ, ჩვენს წელთაღიგვამდე მე–10 საუკუნე);
2. რომის ე.წ. მეგასახელმწიფოს მომძლავრება – ჩვენი წელთაღიგვამდე დასაწყისი;
3. აღმოსავლეთ აზიის მეგასახელმწიფოების (ჩინეთი, ინდოეთი, მონღოლეთი) დაწინაურება – ჩვენი წელთაღიგვამდე მე–10 საუკუნის მახლობლობაში, როცა

ცხოვრების დონე ამ სახელმწიფოებში ბევრად აღემატებოდა დასავლეთევროპულ დონეს;

4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნა მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ს ტერიტორიაზე და გლობალური ინტერნეტქსელი – ჩვენი წელთაღრიცხვის მე-20 საუკუნე, როცა უკვე დასავლეთის უპირატესობაა აშკარა.

ჩემი აზრით, ზემოხსენებულ პერიოდიზაციაში თვალნათლივ ვლინდება ყოველ ათ საუკუნეში მნიშვნელოვანი გლობალური (კონტინენტალური) ეკონომიკური ცვლილების დინამიკა.

კონტინენტებისა და ცალკეული ქვეყნების ფარგლებში, ბუნებრივია, სხვადასხვა სიხშირისა და ამპლიტუდის უფრო მცირე ბიზნეს-ციკლები შეიძლება მოქმედებდეს (საშუალოდ ყოველი ორი თაობის შემდეგ - დაახლოებით საუკუნეში ორჯერ), რაც განსხვავებული ორიგინალური ინტერპრეტაციებით არის აღწერილი ი. შუმპეტერის, ს. კუზნეცის, ნ. კონდრატიევის, კ. ჯაგლარის და ი. კიჩინის მიერ [იქვე].

ყოველი ბიზნესი და მისი მენეჯმენტი, თავისი ბუნებით, წარმოუდგენელია არ იყოს საერთაშორისო - მხოლოდ ეროვნულ რესურსებსა და მოთხოვნებზე ორიენტირება არასდროს ხდება, თუმცა, ბიზნესი, რომელიც არსებითად (როცა საქმიანობის უმეტესობა უცხოურ ბაზრებზეა ორიენტირებული) გადადის საერთაშორისო ურთიერთობებზე, საერთაშორისო ბიზნესად იწოდება, რომელიც თვისობრივად ახალ უნარებს მოითხოვს სახელმწიფოებისა და მათი რეგიონების განსხვავებულ გარემოებათა მრავლობის გამო.

საერთაშორისო მენეჯმენტი სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკურ (მ.შ. ბუნებრივი რესურსების, დემოგრაფიულ, კულტურულ, საგანმანათლებლო და სხვ) უპირატესობათა ხედვისა და გამოყენების ხელოვნების უფრო დახვეწილ მეთოდებს უნდა ფლობდეს ბიზნესის წარმოებისათვის ინფორმაციის მოპოვების, აღრიცხვის, განზოგადების, პროექტირების (დაგეგმვის), შექმნის (ორგანიზების), ფუნქციონირების კონტროლისა და მიმდინარე რეგულირების (მ.შ. მოტივაციის) შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო ბიზნესში ჩართულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებში სულ

უფრო მეტად შეინიშნება ცალკეული სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების ინტეგრირებული მონაწილეობის ტენდენციებიც წილების, აქციების, სუბსიდიებისა და შეღავათიანი კრედიტების ფორმით.

კონკურენტუნარიანი ბიზნესის მართვის პროცესის გლობალურად გააზრებასთან ერთად, საერთაშორისო მენეჯმენტის განსხვავების დისკუსიურ საკითხსაც მინდა შევხუ საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირებისა და საერთაშორისო მეწარმეობის მართებულად გაგების მიმართებაში - კანონმდებლობების ჰარმონიზების მიუხედავად, განსხვავებები შეხედულებებსა და მოქმედების პრინციპებში ჯერ კიდევ არსებობს. ჩემი აზრით, საერთაშორისო მენეჯმენტი საერთაშორისო ბიზნესის მართვის ხელოვნებაა - ანუ მენეჯერული შრომის ყველა იმ შემოქმედებითი უნარების ერთობლიობა, რაც მენეჯერს უნდა გააჩნდეს დაგეგმვის, ორგანიზებისა და ეფექტიანი რეგულირების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ადმინისტრირება კი ამ გადაწყვეტილებების მიღებისათვის საჭირო ინფორმაციულ-სტატისტიკური ბაზის მოპოვების, მოწესრიგებისა და კონტროლის პროცესია, რომელიც მენეჯმენტის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ მნიშვნელოვან სპეციფიკურ განსწავლულობასა და ნიჭიერებას მოითხოვს.

საერთაშორისო მეწარმეობის გაგებისათვის, საჭიროა აღინიშნოს, რომ ქართულ საკანონმდებლო სივრცეში, ჯერ-ჯერობით ტოლობის ნიშანია ბიზნესისა და მეწარმეობის სამართლებრივ გაგებაში, თუმცა, აქაც გარკვეული განსხვავებები შეიძლება შევნიშნოთ ქართველი და საზღვარგარეთელი სპეციალისტების შეფასებებში. ჩვენი გაგებით, მეწარმეობა ბიზნესის მაღალგანვითარებული გამოვლინებაა, რომელშიც არსებითად უნდა მატულობდეს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მეცნიერებატევადობისა და, შესაბამისად, ინოვაციური ინვესტიციების (მ.შ. მეტწილად შიგა) დონე.

საერთაშორისო ინვესტიციების ბაზარი, შეიძლება ითქვას, მაქსიმალურად ზრდის ინვესტიციების მიღების პოტენციურ შესაძლებლობებს, მაგრამ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტს უნდა ახსოვდეს, რომ ინვესტორი საკუთარ სარგებელზე ფიქრობს უპირველესად და, გარკვეულ შემთხვევებში, აღნიშნულს ინვესტიციების მიმღებისათვის ზიანის მიყენების გზითაც კადრულობს. მენეჯერი

სწრაფად უნდა ერკვეოდეს სიტუაციებში და აფასებდეს სიტუაციას, როცა შიდა და გარე ინვესტიციების თანაფარდობა მეტწილად მხოლოდ 4:1-თან თანაფარდობის მახლობლობაშია და გრძნობდეს შესაძლებლობებს, როცა მეტად რისკიანი პირდაპირი ვენჩურული ინვესტიციები 1:1-თან და 1:10-თან თანაფარდობაზეც შეიძლება წამოვიდეს.

სხვადასხვა ქვეყანაში ბიზნესის წარმოებისას, საერთაშორისო მენეჯმენტის გონიერება საგადასახადო კანონმდებლობებისა და სავალუტო ბაზრების განსხვავებებიდან დამატებითი შემოსავლების მიღებაში გამოიხატება. თუ მენეჯმენტი, განსაკუთრებით ხელსაყრელი სხვადასხვა გარემოებების გარეშე, ბიზნესის გაფართოებას მაღალი საგადასახადო ტვირთის ქვეყანაში გადაწყვეტს ან ფინანსურ რეზერვებს მეტად ინფლაციურ ვალუტაში დააგროვებს, ბუნებრივია, დამატებითი შემოსავლების ნაცვლად, დამატებით ხარჯებს იგემებს.

იმ შემთხვევაში, როცა ბიზნესი ხელსაყრელ საგადასახადო და სავალუტო გარემოში ფუნქციონირებს, საერთაშორისო მენეჯმენტის ხელოვნების როლი ზომიერი ეფექტიანი რეკლამით ინვესტიციების მოზიდვაში უნდა გამოიხატოს.

საერთაშორისო მენეჯერი განსაკუთრებით უნდა გრძნობდეს საგადასახადო ჩათვლებისა და კრედიტების გამოყენების საჭიროებას და მხოლოდ იქ, სადაც მომგებიანი იქნება, ოპერატიულად იყენებდეს საგადასახადო კრედიტებსაც.

კონკურენტუნარიან საერთაშორისო ბიზნესში, საკუთარი ბიზნესის უპირატესობების საზღვარგარეთული ბიზნესის უპირატესობებით გაფართოებასთან ერთად, ბუნებრივია, საკუთარი ქვეყნის წინაშე მორალური პასუხისმგებლობაც მატულობს. განსაკუთრებულად მაღალზნეობრივ (გააზრებულ, თავაზიან) დამოკიდებულებას მოითხოვს ბიზნესაქტიურობა განსხვავებული რელიგიური მრწამსისა და კულტურული ტრადიციების ქვეყნებში, ვინაიდან, გამოუცდელობით გამოწვეულმა ყოველმა გაუაზრებელმა მოქმედებამ, განსაკუთრებით, ფარული მონოპოლიების გარემოცვაში, შესაძლოა, სავალალო ზიანი მიაყენოს პოლიტიკურ ურთიერთობებს ქვეყნებს შორის.

საერთაშორისო (გლობალური) მენეჯმენტის მორალური პასუხისმგებლობა, მოქმედების მასშტაბებიდან გამომდინარე, უფლის ობიექტური ნების (ფაქტორის) მართებულად გააზრებას უნდა ეფუძნებოდეს უპირველესად.

ციკლურობის მიუხედავად, კაცობრიობა, საბოლოო ჯამში, ეკონომიკურად ვითარდება და ამის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი ადამიანთა საზოგადოების ტექნოლოგიურ-ეკონომიკური მოწყობის ევოლუციაა. აღნიშნულ პროცესებზე, ბუნებრივია, გარკვეული სუბიექტური (მ.შ. სოციალური და ინდივიდუალური) ფაქტორებიც [3] მოქმედებს, მაგრამ სიღრმისეული მიზეზი - ობიექტური ნებაა, რის ახსნასაც, შეძლებისდაგვარი თანმიმდევრობით, ვეცდები ამ მეტად აქტუალურ საერთაშორისო კონკურენციის საკითხზე ჩემს წარმოდგენილ წიგნშიც.

საკითხის განხილვისას, რა თქმა უნდა, ინსტიტუციონალურ საფუძველებსაც უნდა შევხვით. დირექტიული დაგეგმვის სისტემის ყოფილი ათეისტური სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, ზოგმა „რეფორმატორმა“, საერთაშორისო იმიჯის მოსაპოვებლად, რატომღაც გადაწყვიტა ხელაღებით დაპირისპირებოდა ყველაფერს, რაც კი სახელმწიფოს ახლავს, მ.შ. სახელმწიფო საკუთრებასა და უკვე უპირატესად რეკომენდაციული (ნაკლებდირექტიული) ხასიათის დაგეგმვას. არადა, უფალმა სახელმწიფო იმიტომ შექმნა, რომ თავისი გარკვეული ადგილი ჰქონოდა ყოველთვის. ეკონომიკის განვითარებისა და მსოფლიო მეურნეობაში განსაზოგადოების ხარისხის ზრდასთან ერთად კი, სახელმწიფოს როლიც მნიშვნელოვნად მატულობს (ჩემი მოსაზრებით, ეს როლი გარკვეულ ზღვარზე წონასწორულად გაჯერდება, შემდგომშიც, ბუნებრივად შესაძლო რხევების შესაძლებლობის შენარჩუნებით).

სახელმწიფოს როლი, ბუნებრივია, მატულობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და, შესაბამისად, ბიზნესის „ფიქრის სისწრაფით“ განვითარების მოთხოვნებიდან და მოტივებიდან გამომდინარეც [3, 4, 5], ვინაიდან მნიშვნელოვან სფეროებში, მხოლოდ მაღალზნეობრივმა სახელმწიფომ და სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობამ შეიძლება დააფინანსოს ადამიანებისათვის აუცილებელი ძვირადღირებული გრძელვადიანი პროექტები, რასაც მოკლევადიან პერიოდში მოგება არ მოაქვს და კერძო სექტორი არ და ვერც შეხედავს მის დაფინანსებას. არადა, ხშირ შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ საზოგადოებასა და მისი ცხოვრების დონის განმაპირობებელ მეცნიერულ პოტენციალს სწორედ ასეთი

დარგები სჭირდებოდა განსაკუთრებით. მაგალითისათვის, მძიმე და ჯერ-ჯერობით უკუზრუნებელ დაავადებებთან ბრძოლის გლობალური მნიშვნელობის სამეცნიერო-ტექნიკური პროექტები, კოსმოსური კვლევები, სტრატეგიული თავდაცვითი სამხედრო იარაღის წარმოება და სხვა. ამასთანავე, მხოლოდ გონივრული სახელმწიფოებრივი მიდგომის პირობებშია შესაძლებელი წინ აღვუდგეთ მეტად სახიფათოდ მზარდ ფარულ შეთანხმებებსაც ეკონომიკაში.

ზემოხსენებულთან დაკავშირებით, პოსტკრიზისულ მსოფლიოში ეკონომიკის ზნეობრივი და სოციალური ფაქტორების აქტუალობას მისი უკიდურესი მოწინააღმდეგეებიც კი აღიარებენ. შესაბამისად, ჩვენი აზრით, სულ უფრო აქტუალური გახდება ეკონომიკის ქრისტიანული საფუძვლების გააზრება, ვინაიდან, მხოლოდ მატერიალური თვალთახედვით დანახულმა „ეკონომიკურმა კანონზომიერებებმა“ კაცობრიობა ურთულესი პრობლემების ჩიხში შეიძლება შეიყვანოს.

რწმენის საკითხებზე არ კამათობენ და, ჩემი ურყევი რწმენით, აღდგომის სანთლები და ბევრი სხვა სასწაული თვალსაჩინოდ მეტყველებს უფლის არსებობასა და ქრისტიანული საფუძვლების მნიშვნელობაზე, მათ შორის ადამიანების მიწიერი ცხოვრებისათვის უმნიშვნელოვანეს მსოფლიო ეკონომიკაშიც.

პროფესიულად ეკონომიკისა და მართვის საკითხებზე ვმუშაობ უკვე კარგა ხანია და მიღებული გამოცდილებით, ვფიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანი დასკვნა ყალიბდება - უკიდურესად ცუდია, როცა ადამიანს მანიაკალურად უნდა მმართველობა (სხვა ადამიანზე და უფრო მეტიც - ხალხებზე უფროსობა) - ეს ადამიანი ამპარტავანია და, როგორც ვიცით, ძალზე მძიმედ დაისჯება უფლის მიერ, ამიტომაც, ადამიანს მხოლოდ უფლის სიყვარულით კარგ მამასავით (ან დედასავით) უნდა უნდოდეს სხვებზე უფროსობა და ამისათვის თავდადებაც შეეძლოს - მხოლოდ ასე შეერგება მას მართვისას მიღებული შემოსავალი.

ინტერნეტსა და პერიოდიკაში გამოქვეყნდა ჩემი რამდენიმე შრომა ქრისტიანულ-ინსტიტუციური საფუძვლების მნიშვნელობის შესახებ [3; 4; 5] ეკონომიკის განვითარებისათვის და წარმოდგენილი წიგნების პრინციპული საფუძველი, უპირველესად, უფლის სასწაულებს - ობიექტურ ნებასა და მის კანონზომიერებებს მინდა დავუკავშირო საერთაშორისო პრაქტიკის სხვადასხვა გამოვლინებაში.

გლობალური ეკონომიკის ქრისტიანული საფუძვლების კვლევა ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება უნდა გახდეს. ეკონომიკის სტიმულების მხოლოდ მატერიალური თვალთახედვით გააზრება, როგორც აღინიშნა, არასაკმარისი აღმოჩნდა და სტრუქტურული ფაქტორების გააზრებისას, არასრულფასოვანი ეკონომიკური ზრდის სულიერ მიზეზებზეც უნდა დავფიქრდეთ. გლობალურად, ეკონომიკა მატერიალური დოვლათის წარმოების, განაწილებისა და გადანაწილების სფეროა, თუმცა, აღნიშნული სფეროს სუბიექტური მატერიალური მექანიზმების არასრულფასოვნების გამო, მსოფლიოში ეკონომიკური სიმდიდრის არსებითი ზრდის პერიოდებშიც, მასობრივი პრობლემები რატომღაც მაინც ნარჩუნდება. ამდენად, არ უნდა დაგვავიწყდეს და პროფესიულ (მეცნიერული მიდგომით) დონეზე უნდა გავიაზროთ, რომ საერთაშორისო ბიზნესსაც, როგორც სამყაროს მთლიანად, სულიერი საფუძვლები წარმოშობს. ამჯერად, შევჩერდები ამ საფუძვლების მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე.

ჩემი მოსაზრებით, გლობალური ეკონომიკური ციკლების სასწაულში გარკვეული სპეციფიკა მინდა დავინახო ბუნების (მ.შ., მაგალითად, წელიწადის დროების) ციკლურობასთან (ზუსტ განმეორებადობასთან დღე-ღამისა და ზამთარ-ზაფხულის მონაცვლეობაში, რაც მხოლოდ ზებუნებრივი ძალებით შეიძლება აიხსნას) შედარებით. ეკონომიკურ ციკლებს სრულებით შემთხვევითი სუბიექტები (ადამიანები და არა, ერთი შეხედვით, ზებუნებრივი ძალა) წარმოშობენ, მაგრამ ციკლები მაინც კანონზომიერად ვლინდება - ხანგრძლივ ზრდას გარკვეული ვარდნა მოჰყვება, შემდეგ ისევ ზრდა და ა.შ., მაგრამ ეკონომიკურ ციკლურობას, ბუნების ციკლურობისაგან განსხვავებით, ახასიათებს არაიდენტური, არამედ საფეხურებრივი განმეორებადობა ახალ (მზარდ) სიმაღლეზე, რაც, კრიზისების მიუხედავად, საბოლოო ჯამში, განსხვავებული ეპოქის ადამიანის ცხოვრების დონის მატებით (გაუმჯობესებით) არის გამოხატული.

თუ ბუნების კანონები ადამიანისაგან დამოუკიდებლად მოქმედებს და ეს ჩვენში გაკვირვებას არ იწვევს, ადამიანთა საზოგადოების საფეხურებრივი ეკონომიკური კანონზომიერებანი ხომ, ერთი შეხედვით, სხვადასხვა ქვეყანაში ადამიანთა სრულებით შემთხვევითი თაობების მიერ ყალიბდება, მაგრამ ეს ასე არ არის - აქაც უფლის ხელი ურევია და, გვინდა თუ არა, მრავალი შემთხვევით სუბიექტის მიერ

გამოწვეული და სხვა კრიზისული ციკლების მიუხედავად, საბოლოო ჯამში, ადამიანთა მწარმოებლურობის ზრდის ობიექტური კანონზომიერება, მაგალითისათვის, განუხრელად მოქმედებს, შესაბამისად, ადამიანთა ცხოვრება უმჯობესდება, რაშიც, უფლის ნებით, ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ იმპულსად საერთაშორისო კონკურენტული წინააღმდეგობები გვევლინება.

ვფიქრობ, გლობალური ეკონომიკური პროცესების ქრისტიანული საფუძვლების გასააზრებლად ნიშანდობლივია იაკონელი მეცნიერის იამამოტო ჰიროუკეს კვლევა, რომელმაც, ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად, დაადგინა, რომ გლობალურ მარშრუტებზე გადამფრენი ჩიტების გუნდს, ხშირ შემთხვევაში, მეთაურად ახალდაბადებული ფრინველი მიუძღვის, რომელიც მხოლოდ გადაფრენის წლის ზაფხულში იბადება და, რომელმაც, ბუნებრივია, არ შეიძლება იცოდეს გადაფრენის გზის ახალი პოზიციები და ტრადიციული მარშრუტი, თუმცა ის ამას (მეთაურობას) უშეცდომოდ ახერხებს [3; 4; 5].

გლობალური ეკონომიკური პროცესების ქრისტიანული საფუძვლების გასააზრებლად, ნიშანდობლივია ქრისტიანული შედეგების მაგალითიც (სასწაულმოქმედი ხატები და სხვა სიწმინდეები), მათზე გაწეულ "ეკონომიკურ" (მატერიალურ) ხარჯებთან შედარებით უსასრულოდ დიდ სარგებლიანობას იძლევიან კაცობრიობისათვის და, შესაბამისად, განუსაზღვრელად დიდია მათი ფასი. ბუნებრივია, ადამიანური აზროვნების ფარგლებს სცილდება ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და მეცნიერულ-ტექნიკურ აღმოჩენების ღვთის ნებით განპირობებული მაქსიმალური საზღვრის შეცნობა და მიმდინარე მიღწევები ხშირად პარადოქსულ მოვლენებს აფიქსირებს და დიამეტრალურად ცვლის შემდგომი მოქმედების მიზანდასახულობებსაც. ვფიქრობ, გლობალური ეკონომიკისათვის ფასების ფარდობითობასთან, ანუ, ჩემი განსაზღვრებით, მიმდინარე ხარჯებთან შედარებით არსებითად დიდ შედეგიანობასთან (კაცობრიობის გამდიდრებასთან) გვექონდა საქმე, მაგალითისათვის, თანამედროვე კომპიუტერის გამოგონების შემთხვევაში [3; 4; 5].

ალბერტ აინშტაინის ფარდობითობის თეორიის შემთხვევაში, რომელმაც პრაქტიკულად დიამეტრალურად შეცვალა მანამდე არსებული მიდგომები მსოფლიო მეცნიერებაში (რაც დღემდეც ბოლომდე ჯეროვნად ამოუცნობია), განისაზღვრება,

რომ მატერიის მასა მნიშვნელოვნად (რ.ლ: უსასრულობამდე) იზრდება სინათლის სიჩქარესთან მიახლოებული დიდი სიჩქარეებით მოძრაობის პირობებში [იქვე].

ფიზიკის ეს აღმოჩენა ატომური ენერჯის განსაზღვრასაც უკავშირდებოდა და, ბუნებრივია, მისდამი ინტერესი საკმაოდ დიდი იყო. სხვა დარგის მეცნიერებიც არანაკლები მნიშვნელობის კვლევებს აწარმოებენ, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა ეპოქებში შეუმჩნეველნი რჩებიან, ისევე, როგორც მრავალი დვაწლმოსილი (თავდავდებული) სასულიერო მოღვაწე. უდიდეს პატივს მოვაგებ სპორტს და დამსახურებულ სპორტსმენებს, თავად სპორტის დიდი მოყვარული ვარ, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ სპორტსმენის საშუალო ანაზღაურება მსოფლიოში დღეს ბევრად აღემატება მეცნიერის შემოსავლებს, რაც თავად სპორტზეც უარყოფითად აისახება. აინშტაინის დარი აღმოჩენები ფიზიკაში და საერთოდ მეცნიერები და მათ შორის მეცნიერ-ეკონომისტების საჭიროება და მნიშვნელობა თუ გადავავსათ, საერთაშორისო მენეჯმენტის მხოლოდ პრიმიტიული ანგარიშობის არაშორსმხედველი და საბოლოოდ დიდი ცდომილებების საგანი გახდება. თუმცა, საერთაშორისო მენეჯმენტის მეცნიერული დისციპლინის დაფასება, ბუნებრივია, არ ნიშნავს, რომ ელემენტარულიდან (მცირე ობიექტები და შედარებით მარტივი შრომის სფეროები) რთულისაკენ საფეხურებს არაკეთილსინდისიერად მოვექცეთ.

სამწუხაროდ, ზოგიერთი თვლის და საკმაოდ მასშტაბურად ცდილობს დაასაბუთოს, რომ საერთაშორისო მენეჯმენტი და ეკონომიკური მეცნიერება საერთოდ არ არის საჭირო და მნიშვნელოვანი პრაქტიკისათვის. ამ დროს, მეცნიერების სხვა დარგებისადმი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, მინდა აღვნიშნო, რომ ეკონომიკა უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო დისციპლინაა და ის მეცნიერების ყველა სხვა დარგს განსაკუთრებით სჭირდება.

ჩემი აზრით, ალბერტ აინშტაინი [3; 4; 5] განსაკუთრებული მასშტაბების მსოფლიო გენიოსია, რომელიც, მისი, როგორც შესაბამისი ეპოქის ადამიანის, აზროვნების შესაძლებლობათა ფარგლებში, უპირველესად, უფლის მოქმედებას ხედავდა გენიალურად. მან, არსობრივად შეცვალა რა ნიუტონის კლასიკური მექანიკის მიდგომები, მაინც თავმდაბლად აღნიშნავდა ნიუტონის თეორიის დიდ მნიშვნელობასაც, რომელიც, ფაქტიურად, მხოლოდ მიახლოებას წარმოადგენდა აინშტაინის ფარდობითობის თეორიასთან მცირე სიჩქარეებით მოძრაობის

პირობებში. აინშტაინის თეორიის არგუმენტაციით, მასა ისეთივე ფარდობითი სიდიდეა, როგორც სიჩქარე, დრო და მანძილი. ასეთივე ფარდობითია საერთაშორისო ფასიც კონკურენტულ ეკონომიკაში და, ამდენად, მისი მხოლოდ დანახარჯებზე (დროით თუ მატერიალურ) პრიმიტიული დაყვანა, დიდ ცდომილებებთან მიგვიყვანს საბოლოო ჯამში. ამასვე ადასტურებს აღნიშნული მცირე დანახარჯებით შექმნილი სასწაულმოქმედი ხატების შეუფასებელი ზოგადსაკაცობრიო სარგებლიანობისა და დაცვის საჭიროების გააზრებაც.

უფლის მიერ მონიჭებული აბსოლუტური და შედარებითი უპირატესობების შესაბამისად, ის რესურსები, რაც ქვეყანაში უხვადაა და ხარისხიანობითაც გამოირჩევა, საერთაშორისო ბიზნესის არხებით, ბუნებრივია, მეტად უნდა გადიოდეს ექსპორტზე. ამასთანავე, ამ რესურსების დიდი ნაწილი, რომელიც შესაძლებელია და მიზანშეწონილი, რომ გადამუშავდეს ადგილზევე, აქვე უნდა მივცეთ დასრულებული პროდუქციისა ან მომსახურების სახე და ისე შევთავაზოთ უცხოელ პარტნიორებს. ელემენტარულია, რომ ამგვარი ბიზნესით, ქვეყნის სავალუტო შემოსულობები და რეზერვები მეტად გაიზრდება და ადგილზეც მეტი ადამიანი დასაქმდება, რაც მრავალ ეკონომიკურ საკითხს გადაწყვეტს და, საერთო ჯამში, მსოფლიო ეკონომიკაზეც კეთილისმყოფლად იმოქმედებს.

რაც შეეხება იმპორტის მიმართ საზოგადოებაში დამკვიდრებულ გარკვეულ მცდარ საყოველთაო უნდობლობის პოზიციას - მართალია, იმპორტის შემოდინებით, ქვეყნიდან ვალუტა გაედინება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იმპორტი არ გვჭირდება. ყველაფერში ერთნაირად კარგები ვერ ვიქნებით და ის, რაც მწვავედ დეფიციტურია ჩვენში, ბაზარი მყისიერად შეამჩნევს და ასეთი იმპორტი გვჭირდება. თუმცა, ბაზარს ახასითებს ალოგიკური მოვლენებიც და თაღლითებიც მრავლად ბუდობენ აქ. ამდენად, სახელმწიფოს კომპეტენტურმა ხელმა, საჭიროა, დაინახოს „საერთაშორისო“ ბიზნესით იმპორტის ის მიმართულებები, რომლებიც ცდილობს მოტყუებით განდევნოს ადგილობრივი მწარმოებელი ბაზრიდან.

თანამედროვე საქართველოში, მაგალითისათვის, ასეთმა იმპორტმა საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ტრადიციული ქართული სოფლის მეურნეობაც კი საგანგაშოდ დაამარცხა. საბაზრო რეფორმების დასაწყისშივე აღვნიშნავდი, რომ ყოფილ ე.წ. „წითელ“ კოლმეურნეობებშიც იყო რაციონალური

მარცვალი და კოოპერაციის დადებითი მუხტი (რაც დიდ ინვესტიციებზე უფრო მნიშვნელოვანაც კია). ის აუცილებლად უნდა შეგვენარჩუნებინა ადგილობრივი ბაზრის გადასარჩენად (ადგილობრივ და საერთაშორისო კოოპერაციას სოფლად განვითარებული ქვეყნებიც ხომ უხვად იყენებენ), მაგრამ, მაშინ, გადაძლია მხოლოდ „ახლის“ მაძიებელი არასპეციალისტების მოქმედებამ. მახარებს, რომ კოოპერაციისათვის სტიმულების მნიშვნელობას ახლა ბევრი გონიერი პროფესიონალი იზიარებს, რომ მხოლოდ ასე შეიძლება აღდგეს ჩვენი სოფლები და ხეებზე და სავარგულებში ხილი არ დაგვიღპეს და ეფექტიანად ავითვისოთ დიდი ხანია მოუვლელი და, ხშირ შემთხვევაში, ფაქტიურად ჯერ კიდევ უპატრონო მიწები, მაშინ, როცა ჯერ კიდევ მოუგვარებელია არსებითი სოციალური პრობლემები - დიდია უმუშევრობა და ბევრია უსახლკარო და უმიწა-წყლო ადამიანი.

ამასთანავე, ძალზე ყურადსაღებია, რომ ახალი ტექნიკის ცოდნის თვალსაზრისით, არაპროფესიონალმა მომხმარებელმა, რომელიც ბაზარზე უმრავლესობას წარმოადგენს, შეიძლება ვერ შეამჩნიოს ის პროგრესული უახლესი ტექნოლოგიები, რომლებიც საერთაშორისო ბიზნესის არხებით მოძრაობს და სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკაში მრავალი წლის შემდეგ გამოიღებს სასურველ შედეგს. ამდენად, პროგრესული ტექნოლოგიების იმპორტის ბიზნეს-გარემო და რაციონალური გამოყენება სახელმწიფოსა და კერძო მენეჯმენტის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი უნდა გახდეს.

5. საგადასახადო ტვირთი და მენეჯერული ხარჯების

ოპტიმალური მინიმიზება

როგორც ცნობილია, მიწოდების თეორიის მიხედვით, ფინანსური შემოსავლების არსებითი მატებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა გადასახადების (შესაბამისად, ხარჯების) ზომიერებას ენიჭება, რაც გადასახადების გარკვეულ ოპტიმალურ დონეში უნდა გამოიხატოს შემოსავლებთან მიმართებაში. ა. ლაფერის აზრით, ეს ზღვარი დაახლოებით ქეინზის 20%-იან და დესტენის 40%-იან ზღვარს შორისაა, ფრიდმანის აზრით, აღნიშნული დონე 25% უნდა იყოს, ფელდსტეინის – 42%, გეფარდტის – 30–35% [3; დანართი, ნახატი N8]. ჩვენი აზრით, სახელმწიფო და

კერძო სექტორების წონასწორული არამონოპოლიური პირობების შესაქმნელად, ხსენებული დონე 50%-ს არ უნდა აღემატებოდეს და 30–50%-ის მახლობლობაში უნდა ვარირებდეს, თუმცა, მიზანშეწონილია, ყველა მეწარმეს და მ.შ. პროგრესულ ახალგაზრდა დარგებსა და მცირე და საშუალო მეწარმეებს პერიოდულად მნიშვნელოვანი შეღავათები და გარკვეული საგადასახადო არდადეგებიც (ე.წ. ბიზნესინკუბატორებისა და სასათბურე თავისუფალი ზონების მომრავლებით) მიენიჭოს, განსაკუთრებით, კრიზისულ პერიოდებში.

მენეჯერული საქმიანობა საერთაშორისო ბიზნესის ყველა სფეროს უწევს ზედამხედველობას და, ამდენად, მის შესაფასებლად როგორც ორგანიზაციის კრებსითი ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები უნდა გამოვიყენოთ, ასევე, უშუალოდ მენეჯმენტში დასაქმებული მენეჯერების და მ.შ. ყოველი მენეჯერის შედეგებსა და შედეგიანობას გავუწიოთ მონიტორინგი. როგორც ცნობილია, საერთაშორისო ბიზნესის მენეჯერული ხარჯები წარმოებისა და მომსახურების სფეროს ობიექტის სხვადასხვა საამქროს, განყოფილების, ლაბორატორიისა თუ სამსახურისათვის ზედნადებ (საერთო) ხარჯებს წარმოადგენს და გონივრულად გახარჯული ეს ზედნადები ხარჯები მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მთელი ორგანიზაციის გამართულ ფუნქციონირებას.

თანამედროვე ეპოქაში, სწორედ ზედმიწევნით გადიდებული მენეჯერული და ტრანზაქციული ხარჯების რაციონალურ მინიმიზებაში (ხარჯების მაქსიმუმ მესამედამდე) ვხედავ ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამდლების ერთ-ერთ მთავარ რეზერვს. ამასთანავე, მენეჯმენტი მეტად ინდივიდუალური (განსწავლული) უნდა გახდეს და უნდა ფლობდეს ფარული მონოპოლიების აღმოჩენისა და მათთან ურთულესი ურთიერთობის ხელოვნებას. სხელმწიფოს კი ყველაზე მეტი განსწავლულობა მართებს, მ.შ., მაგალითისათვის, საქართველოში, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაუქმდეს ექსპორტის შენიღბული ნულოვანი განაკვეთი, რომელიც სუსტი მწარმოებლური ბაზის პირობებში, პირიქით, ტვირთად აწევს ქვეყანას, ვინაიდან, რესურსების გადინებასა და მათ გამვირებული მზა პროდუქციის იმპორტის სახით შემოდინებას აძლევს სტიმულს მხოლოდ. უსწრაფესი ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, გადასახედია საამორტიზაციო პოლიტიკაც, რომელიც თანაბარ პირობებში აყენებს კონკურენტულ და არაკონკურენტულ ტექნიკას.

მთლიანი ხარჯების შემცირება საერთაშორისო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლების, მოგების ზრდისა და ზოგადად ფინანსური მდგრადობის მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუ ხსენებული შემცირება წარმოებული დოვლათის (სიკეთის) ხარისხის შენარჩუნების (ან გაუმჯობესების) და, შესაბამისად, რეალიზაციის მატების ტენდენციების თანმხლები იქნება.

ხარჯების შემცირების საფუძველზე შემოსავლების მატება და საერთო ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, ბუნებრივია, ზრდის სტრატეგიული ალიანსების ფინანსურ ავტონომიურობას და ქმნის საფუძველს ფინანსური რესურსების შიგა (გაუნაწილებელი მოგება, ამორტიზაციის ანარიცხები, საზოგადოების კაპიტალი და სხვა) და გარე (კრედიტი, ლიზინგი, ფაქტორინგი და სხვა) წყაროების გონივრული გამოყენებისა და გრძელვადიანი და მოკლევადიანი ინვესტიციების ეფექტიანი მოზიდვისათვის.

როგორც ცნობილია, საერთაშორისო ფინანსების მოძრაობა ერთგვარი სისხლის მიმოქცევაა მსოფლიოს ეკონომიკურ ორგანიზმში და ის, საბოლოო ჯამში, უნდა ემსახურებოდეს მსოფლიოს მოსახლეობის ჯანსაღ (ხარისხიან) აღწარმოებასა და წარმოების (მომსახურების) გონივრულ ზრდას.

საერთაშორისო ბიზნესის მონიტორინგის პროცესში დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ადგილობრივი სპეციფიკის სრულად გათვალისწინებას ორიგინალური და მრავალფაქტორული მიდგომების გამოყენებით. ხშირია შემთხვევები, როცა სუბიექტს არსებითი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია, მაგრამ არაეფექტიანი ფინანსური პოლიტიკით ვერ ხერხდება ამ პოტენციალის საკადრისად გამოყენება. არის შემთხვევებიც, როცა სხვა გამოცდილების მექანიკურად გადმოტანა ვერ იძლევა სასურველ შედეგს ახალ პირობებში. ამდენად, ყოველივე აღნიშნულს ყოველთვის დასაბუთებული ეკონომიკური განხილვა უნდა უსწრებდეს და ექსპერიმენტი მცირე პირობებში უნდა ჩატარდეს და არა საერთაშორისო ბიზნესის მთელ ობიექტზე.

საერთაშორისო ბიზნესზე სხვადასხვაგვარი ზეწოლის თანამედროვე შემცირების კონტექსტში, ვფიქრობ, საერთაშორისო პრაქტიკისათვის მიმზიდველი და სამაგალითო გახდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შემდგომი გამარტივებები და შემცირებები (ოღონდ მეტად გააზრებული).

ბუნებრივია, შემცირებული გადასახადები ხარჯების შემცირებას განაპირობებს და სტიმულს მისცემს ბიზნესის თავისუფლებასა და ინოვაციური მეწარმეობის განვითარებას.

საერთაშორისო ბიზნესისათვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ არგუმენტირებული დაგეგმვის საფუძველზე უზრუნველყოფილი ხარჯების შემცირება უზრუნველყოფს ეკონომიკურ აღმავლობასა და კადრების მაღალი პროფესიონალიზმის მიღწევასა და შენარჩუნებას. არგუმენტირებული გეგმები ფინანსების განკარგვის საფუძველი უნდა იყოს და არა თაროზე შესანახი ტვირთი, როგორც ეს ტენდენცია 20-25 წლის წინ ჩამოყალიბდა პოსტსაბჭოთა სივრცეში. უფრო მეტიც, ზოგან (მ.შ. ბიზნესში) ფაქტიურად საერთოდ შეწყდა ასეთი გეგმების მომზადების პრაქტიკა, რაც, რეკომენდირებულია, დაუყოვნებლივ გამოსწორდეს.

მწვავე ეკონომიკურმა პრობლემებმა მსოფლიოში ფინანსების მონიტორინგშიც ახალი მიდგომების აუცილებლობა განაპირობა. მიმდინარე საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისი უკვე იმ ახალ პირობებში გამწვავდა, როცა ფაქტიურად აღარ არსებობს ეკონომიკურად პოლარულად დაპირისპირებული ე.წ. კომუნისტური და კაპიტალისტური მიდგომები. მაშასადამე, ამ უმძიმესი კრიზისის მიზეზები უკვე კაპიტალისტური ურთიერთობების წიაღშიც უნდა ვეძიოთ. ახალი ეკონომიკური ურთიერთობები უნდა ეფუძნებოდეს არამონოპოლურ წონასწორობას რეგულირებისა და თვითრეგულირების მექანიზმების თანაარსებობაში, მ.შ., როგორც ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, ასევე, განვითარებად და უღარიბეს პირობებში, სადაც ეტაპობრივად და შესაძლოდ სწრაფოდ უნდა იქნეს დაძლეული ხარჯტდევალობის პრობლემები.

რეგულირებისა და თვითრეგულირების ხსენებული მექანიზმებიდან ერთიც საჭიროა და მეორეც (თანაბრად ან მეტ-ნაკლები გარდამავალი უპირატესობებით) და მათი სრულფასოვანი მონიტორინგი და კონკურენცია უფრო სასურველ შედეგს მოგვცემს. სამწუხაროდ, ექსტრემალური მართვის (უკიდურესად რეგულირების ან უკიდურესად თვითრეგულირების) აპოლოგეტები ვერ ხვდებიან, რომ ობიექტური კანონზომიერებაც განსაზოგადოებისაკენ მიგვაქანებს, მაგრამ ეს განსაზოგადოება არ უნდა იყოს უსასრულო, ვინაიდან, კერძო ინტერესის სრული იგნორირება დაუშვებელია. მაშასადამე, აუცილებელია ეკონომიკაში მონიტორინგისა და მართვის

ახალი სისტემების შექმნა და მისი მუდმივი სრულყოფა. სამწუხაროდ, ამას უნებლიედ ეწინააღმდეგებიან ზოგიერთი კონსერვატორები.

მაგალითისათვის, აშშ-ში, როგორც ყოფილმა პრეზიდენტმა ბ. ობამამ, ასევე, ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა და უკვე მაღალპროფესიონალმა ეკონომისტმა დონალდ ტრამპმა უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური რეფორმები შესთავაზეს მოსახლეობასა და კონგრესს (ეს ერთ-ერთ საწყის მნიშვნელოვან ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი ხსენებული მიდგომის განხორციელებისათვისაც. აშშ-ში და სხვაგანაც, შესაძლებელია, სხვადასხვა დროს ცდებიან კიდევ, მაგრამ ამ შემთხვევაში აბსოლუტურად მართებული გზებია შემოთავაზებული), თუმცა, პრეზიდენტებსაც კი ეწინააღმდეგებიან საკმაოდ მრავალრიცხოვანი გუნდებით. ვფიქრობ, პოლიტიკურ კულტურას მსოფლიოში დღეს გარკვეული კრიზისული პერიოდი უდგას, მაგრამ, მწამს, რომ ეს გამოსწორებადია. უსაგნო გაუგებრობები ხშირად დიდ დროს გვაკარგვინებს რეფორმების გატარებისას და მნიშვნელოვან საერთო ეკონომიკურ დანაკარგებსაც განაპირობებს. ამდენად, უცილებელია კონკრეტულ გზებზე წინასწარი პროფესიული მსჯელობები, ხოლო აკვიატებული წინააღმდეგობები, თავის გამოჩენის მიზნით, მეტად საზიანოა.

საერთაშორისო მენეჯმენტის მაღალპროფესიული მონიტორინგისათვის ძალზე ხელისშემშლელია, რომ ზოგიერთი ზემოხსენებული კონსერვატორი პოლიტიკოსი საუკეთესო პირობებს უქმნის კრიზისის მაპროვოცირებელ დესტაბილიზაციის პროცესებს სხვადასხვა ქვეყნებში, რაც მათ გარკვეულ სარგებელს აძლევს საბოლოო ჯამში. საერთაშორისო პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ საკმაოდ ხშირია მაგალითები, როცა ასეთი პოლიტიკოსები უზრუნველყოფენ (ყიდიან ან არიგებენ დემპინგურად უფასოდ) სხვადასხვა გავლენებს – თანამდებობებს, ტიტულებსა და დიპლომებს ადამიანებზე, რომლებსაც საერთოდ არ აინტერესებთ ხალხის მომავალი და თავიანთ კონკრეტულ საქმეში (სპეციალობაში) არაფერი გაუკეთებიათ.

ფინანსური მოხვეჭის გაუაზრებელმა ინსტიქტმა არავის უნდა დაავიწყოს, რომ ადამიანის ფესვები უფლიდან მოდიან და ყოველთვის უნდა ვეცადოთ ისინი გონივრული საქმეებით ვაძლიეროთ და ვამრავლოთ. მხოლოდ სულიერი სიმტკიცე თუ გადაგვარჩენს ფარულ ეკონომიკურ პრობლემებთან ბრძოლის ურთულეს საქმეში. უნდა ვიცოდეთ, რომ ახალი ეკონომიკური მიდგომების (საერთო ჯამში,

ახალი ეკონომიკური სისტემის) გავრცელება მყისიერად მსოფლიო მასშტაბებით ვერ მოხერხდება და ეს უშუალოდ ჩვენი პროფესიული მოვალეობის სწორად გააზრებით უნდა დავიწყოთ. საბედნიეროდ, ჩვენს ქვეყანაში უხვად გვყავს ნიჭიერი პროფესიონალები, როგორც წარმოების მეცნიერებატევად ტექნიკურ დარგებში, ასევე მათთან მჭიდროდ დაკავშირებულ მომსახურების სექტორებშიც.

6. ეკონომიკური ნახტომები კონკურენტული მენეჯმენტის პირობებში

გონივრული მენეჯმენტის პირობებში, ფინანსური მონიტორინგის წარმოებისა და მოსალოდნელი ტენდენციების კორექტირებისას, გასათვალისწინებელია დადებითი გამოცდილებების რეალობა, რომ ამერიკული, დასავლეთ-ევროპული და ახლა უკვე ჩინური ეკონომიკა მნიშვნელოვნად გაიჭრა წინ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკა ძალზე ინერციულია და წელიწადში მაქსიმუმ 10–15 პროცენტით შეიძლება გაიზარდოს, ისიც მხოლოდ პოსტკრიზისული დასუსტების ფონზე. მძლავრი ეკონომიკები და საერთაშორისო კომპანიები 1–5 პროცენტსაც ჯერდება და აღნიშნულს სასარგებლოდ იყენებს მსოფლიო ეკონომიკაში წამყვანი როლის შესანარჩუნებლად. ზემოხსენებული არ ნიშნავს, რომ ქართული ბიზნესის ადრინდელი ჩამორჩენა და მისი რეალური ჩართულობის პრობლემა საერთაშორისო ბიზნესში დაუძლეველი სენია. იმედია, დაწყებული რეფორმები არ შენელებს უახლოეს 10 წელიწადში, რაც ეკონომიკის საფუძვლის ჩაყრის წარმატებით დასრულებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება. სამაგალითოდ გასათვალისწინებელი ე.წ. აზიური ვეფხვის – სამხრეთ კორეის ფენომენიც. ეს უღარიბესი ქვეყანა, არსებითი დასავლური დახმარებისა და ადგილობრივი ორიგინალური ნიჭიერების შეხამებით, სუპერმოწინავეებში აღმოჩნდა ისტორიისათვის ხანმოკლე - სულ რაღაც 5–7 წელიწადში. სამაგალითოდ და ძალზე საინტერესოა სინგაპურის, მალაიზიის, გაერთიანებული ემირატებისა და თავისუფალი და მეტად გამჭვირვალე ზონალური მოწყობის შედეგიანი მექანიზმები

(მსოფლიოში საკმარისადაა პროგრესული მექანიზმების გამოყენების უშედეგო მცდელობებიც), რომლებიც არსებითად მზარდი პერსპექტივებით გამოირჩევიან. დასავლურ ფინანსურ დახმარებაზე გარკვეულწილად დამოკიდებულების მიუხედავად, დასახელებული სხვადასხვა მასშტაბის რეგიონები პროვინციული მიმბაძველობით არ კმაყოფილდებიან და საინტერესო ორიგინალური მიდგომებით თავადაც გამდიდრდნენ და მიმზიდველნიც გახდნენ დასავლელი პარტნიორებისათვის.

ჩემი დაკვირვების შედეგებიდან გამომდინარე, კონკურენტული (კომპეტენტური) მენეჯმენტის პირობებში, განსაკუთრებით იზრდება ეკონომიკურ ზრდის ტემპები. ამდენად, საერთაშორისო კონკურენციისა და ეფექტიანობის საკითხების შესწავლა, საკმაო ხანია, ჩემი დიდი ინტერესისა და დაკვირვების საგანს წარმოადგენს, რაც პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესების მხარდასაჭერად, ობიექტური კანონზომიერების სახით გამოვაქვეყნე ევროკავშირის ფორმულირების ჩემს განვავითარებასთან ერთად, რომელიც სპეციალისტთა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო წრეებში იქნა აპრობირებული.

საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენციის ძალის ინტეგრალური მოქმედების შეფასებისათვის, როგორც კონკურენციის საკითხებზე კვლევის დასაწყისშივე შევიმუშავე და გამოვაქვეყნე [5; 22], თავდაპირველად მიზანშეწონილია განისაზღვროს კონკურენციის ძალის ორი ინდექსი: პირველი ინდექსი $I_1 = U/R_1$, სადაც U – ერთგვაროვანი პროდუქციის (მომსახურების) საერთაშორისო ბაზრის ტევადობაა (მთლიანი წარმოება ან გაწეული მომსახურება), R_1 კი – ხსენებულ ბაზარზე ყველაზე მსხვილი მიმწოდებლის (შესაძლოა, პოტენციური მონოპოლისტის) წარმოებისა ან მომსახურების ოდენობა; მეორე ინდექსი $I_2 = U/R_2$ სადაც R_2 – არარეალიზებული წარმოება ან მომსახურებაა, რომელიც, ძირითადად, მოთხოვნილებებთან და მოთხოვნასთან შეუსაბამო დაბალხარისხიანი ან, პირიქით, ზედმეტად ძვირადღირებული (სუპერფეშენებელური) ან მონოპოლიურად გაძვირებული არასაჭირო (ჭარბი) წარმოების ან უშედეგო მომსახურების ოდენობაა, რაც, შესაძლებელია, გამოწვეული იყოს შედარებით დაბალი კვალიფიკაციის კადრებისა და დაბალი ტექნიკური დონის აპარატურის არსებობითაც, ასევე, სხვა გაუთვალისწინებელი ან მოულოდნელი გარემოებებით.

კონკურენციის ძალის კომპლექსური აუდიტისათვის, მიზანშეწონილია ე. წ. ინტეგრალური კოეფიციენტით მონიტორინგიც:

$$K = N \times I_1 \times I_2,$$

სადაც **N** – საერთაშორისო ბაზარზე წარმოდგენილი ბიზნეს-სუბიექტების საერთო რაოდენობაა.

ზოგადად, თუ რამდენი უნდა იყოს **N**, **I₁** და **I₂** და, შედეგად, **K**, დაკვირვება უნდა, როგორც ქვედა, ასევე, ზედა ზღვარის მიმართულებებით, ბაზრის მეცნიერებატევადობისა და სხვა სპეციფიკური გარემოებებიდან გამომდინარე. საჭიროა, გავითვალისწინოთ ბუნებრივი მონოპოლიების შესაძლო არსებობაც ზოგიერთ სუპერმეცნიერებატევად დარგსა და ქვედარგში, მ.შ. მსხვილ ენერგეტიკაში, კოსმოსური და მორფოლოგიური სადამკვირვებლო აპარატურის სისტემებში, მსხვილ მეტალურგიულ, მანქანათმშენებელ და ქიმიურ ინდუსტრიაში, რომლებიც მცირე ქვეყნებსა და რეგიონებში, ბუნებრივია, მრავლად ვერ იქნება და საერთაშორისო და შიდა სახელმწიფო მეთვალყურეობას, მხარდაჭერასა და რეგულირებას მეტად საჭიროებს.

როცა კონკურენტულობის ხარისხის შეფასების სხვადასხვა მაჩვენებელი არასასურველ დონეებზე ფიქსირდება, აშშ-ში და ზოგიერთ სხვა განვითარებულ ქვეყანაში ანტიმონოპოლიური განგაშიც ტყდება. ერთ-ერთი ასეთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი (ჰერფინდალ–ჰირშმანის ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი HHI) შემოთავაზებულია განისაზღვროს, როგორც ბაზარზე ყველა მოქმედი მიმწოდებლის წილთა კვადრატების ჯამი, რომლის მიხედვით, საუკეთესო მინიმალური ზღვარის შემთხვევაში, უმსხვილესი ფირმის წილმა მთელი ერთგვაროვანი ბაზრის მესამედს არსებითად არ უნდა გადაამეტოს, რაც თითქმის ემთხვევა ჩვენი **I₁** ინდექსის მოთხოვნას. მიმაჩნია, რომ ჰერფინდალ–ჰირშმანის ინდექსით ბაზარზე დაკვირვება უნდა გაგრძელდეს, მაგრამ მისი პრიორიტეტულ (უნივერსალურ) მეთოდად მიჩნევა დაუშვებელია.

ზოგადთეორიული პრინციპების სახით, შესაძლებელია განვაზოგადოთ, რომ, რაც უფრო მეტია ერთგვაროვანი პროდუქციის (ან მომსახურების) საერთაშორისო ბაზარზე საერთო მიწოდება და მიმწოდებელთა რაოდენობა და ნაკლებია უმსხვილესი მიმწოდებლის (შესაძლოა, მონოპოლისტის) მიწოდება და

არარეალიზებული პროდუქციის საერთო ოდენობა, მით მეტია საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენციის ძალის მნიშვნელობა და, შესაბამისად, უფრო თავისუფალია ხსენებული ბაზარი. შემოთავაზებული ეკონომიკური კონკურენციის პირობითი თეორიული კანონით შესაძლებელია ეკონომიკურად განვითარებული ბაზრების თავისუფლების ხარისხებიც შევავსოთ, ოღონდ რაციონალური ზღვარის გათვალისწინებით, რომლის შემდეგ, კონკურენციის ძალა შეიძლება იზრდებოდეს, მაგრამ ეფექტიანობა მცირდებოდეს.

არარეალიზებული პროდუქციის სიჭარბე მიგვანიშნებს, დაბალი ფინანსური ტევადობის ბაზარზე იმ მონოპოლიების არსებობაზეც, ვინც ადვილად (არაკეთილსინდისიერად) მოიპოვა მონოპოლია ან მონოპოლიური მდგომარეობის ნიჭიერად მიღწევის შემდეგ, როგორც მონოპოლისტი, ზედმეტად ზრდის ფასებს მონოპოლიური ზემოგების მიღების მიზნით. ასეთი სიტუაცია მსხვილ საერთაშორისო ბაზრებზე იშვიათად შეიმჩნევა, თუმცა, აქ, მეტწილად არაკეთილსინდისიერ ფარულ ან ლეგალურ შეთანხმებებთან გვაქვს საქმე.

გასათვალისწინებელია გარემოებაც, როცა არარეალიზებული პროდუქცია შესაძლებელია ეკონომიკური ციკლის აღმავლობის ფაზის შედეგად ჭარბწარმოების კრიზისების დროსაც აღმოცენდეს და ამ შემთხვევაში მონოპოლიების ბრალეულობა შეიძლება ნაკლები ან საერთოდ არ იყოს. ასეთი ჭარბწარმოების დროს წარმოების ოდენობა სტიქიურად ზედმიწევნით გაზრდილია, მაშასადამე, წარმოების მატების დონეც დაკვირვებას და ოპტიმიზებას საჭიროებს საერთაშორისო მენეჯმენტის მხრიდან.

საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენციის შეფასების დიდი მნიშვნელობის ხაზგასმისათვის, აღვნიშნავ, რომ ჩემს ადრინდელ კვლევებში ავსახე და, შემდგომი განვითარების მიზნით, შემდგომ შრომებში საუბარი მქონდა ფიზიკოსი გეორგ ომის ე. წ. დენის ძალის კანონზე, რომელიც, სიზმრად სასწაულებრივი ხილვის შედეგად, ე. წ. ეკონომიკური კონკურენციის კანონის ინდექსებშიც გამოიხატა. ჩემთვის პირადი სასწაულია და მორიგი ხილვის შემდეგ, ეს ინდექსები მათემატიკოსი მარტინ ომის ოქროს პროპორციას დაუკავშირდა.

ქეინზისა და ფილიფსის მიმდევართა უხვი თეორიული მემკვიდრეობის განზოგადებისა და თანამედროვე რეალების გათვალისწინებით, დამატებითი გრაფიკული ინტერპრეტაციების საფუძველზე, შესაძლოდ სრულფასოვანი კონკურენციის შემთხვევაში, უმუშევრობის შემცირება ინფლაციის შემცირების პარალელურადაც შეიძლება მიმდინარეობდეს. ჩვენი შეფასებებით [3; 4; 5], ფილიფსის მრუდის მიხედვით, ინფლაციის გარკვეული ზრდა უმუშევრობის შემცირებას მხოლოდ ზოგიერთ მოკლევადიან პერიოდში შეიძლება იწვევდეს, როცა კონკურენციის ინდექსები რაციონალური საზღვრების ფარგლებში მერყეობს.

მართალია, ფასების მატება მეტი ხელფასების გაცემის საშუალებას იძლევა, რაც მოჩვენებით ზრდის დასაქმებას, მაგრამ ასეთი მატება ჩვენი მიზანი არ შეიძლება იყოს. ფასი უკეთესი ხარისხის პროდუქციაზე მეტია, მაგრამ მისი გადაჭარბებული ზრდა მხოლოდ და მხოლოდ მონოპოლიებისა და ფარული ბიუროკრატიული შეზღუდვების არსებობაზე მიგვანიშნებს. საბაზრო ნაკადებისა და ადამიანების მოძრაობაზე ასეთი შეზღუდვების შესაძლო მინიმიზება და კონკურენტული გარემოს არსებობა ეკონომიკაში ფასების გამოთანაბრებასა და წონასწორობას უზრუნველყოფს, რაც სიმდიდრის ხელოვნური ზეპოლარიზებისა და სიღარიბის შემაკავებელია.

კონკურენციის დაბალი ინდექსები სწორედ ყველაზე მეტად არაკომპეტენტურ და, შესაბამისად, კორუფციისკენ მიდრეკილებად კადრებს შეიძლება აწყობდეთ. კონკურენცია არ „იკბინება“, ის ეხმარება ადამიანებს მასობრივ დასაქმებაში, მაგრამ სწორედ კორუმპირებული ადამიანების მცდელობებით, ისეთი "კონკურენტული" პირობებიც ვრცელდება, რომ ადამიანები კომპლექსდებიან და ფრთხილობენ ასეთ არარეალურ კონკურსებში მიიღონ მონაწილეობა.

საერთაშორისო ბიზნეს-სუბიექტის მმართველი რაც არ უნდა გამჭრიახი და შორსმხედველი სტრატეგი იყოს, თუ ბაზარი მონოპოლიზებულია და კონკურენციის პირველი ინდექსი 2-ზე დაბლა ეშვება, მმართველის ქმედებები სტაბილური შემოსავლებისა და ადეკვატური მოგების მომცემი ვერაფრით ვერ იქნება. მარკეტინგიც, როგორც ბაზარზე ადამიანთა საზოგადოებისა და კონკრეტულად ყოველი ადამიანის მოთხოვნილებებისა და მოთხოვნების შემსწავლელი პროფესია,

რაც არ უნდა მაღალპროფესიული იყოს, ვერაფერს მოახერხებს, თუ ბაზარი მონოპოლიზებულია და მონოპოლისტი დიდ გავლენას ახდენს ფასების დონეზე.

კონკურენტულ ბაზარზე კი, განსაკუთრებით, როცა პირველი ინდექსი 5-ს აჭარბებს ზომიერ საზღვრებამდე, ფასები ვერც მონოპოლიურ კარნახს ექვემდებარება ზრდის მიმართულებით და ვერც შენიღბულად მცირდება, რის შედეგადაც, გონივრული მარკეტინგული არგუმენტები და ზომიერი რეკლამა მაქსიმალურად უზრუნველყოფს კონკურენტული საერთაშორისო ბაზრების პოტენციალის ზღვრულ ამოქმედებასა და მატერიალური მარაგებისა და საქონლისა და მომსახურების შესაძლოდ ეფექტიან გადაადგილებას.

ჩვენი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ, სადაც მეტია კონკურენციის ჩვენი ინდექსები, ძირითადად ფიქსირდება საერთაშორისო კონკურენციის მაღალი ეფექტიანობაც (შედეგიანობა), რაც, ჩემი აზრით, უნდა გამოიხატებოდეს შემდეგი მაჩვენებლების ზრდაშიც:

- 1) შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის თანაფარდობა (წინსწრება) ფონდშიარალების ზრდის ტემპთან შედარებით, რაც (წინსწრება) ფონდუკუგების ზრდასაც განაპირობებს;
- 2) ექსპორტის დონის თანაფარდობა მის საუკეთესო დონესთან რეტროსპექტივაში (ანუ, მაქსიმალურ პოტენციურ შესაძლებლობებთან);
- 3) რობოტების, ავტომატური და ნახევრადავტომატური მოწყობილობის რაოდენობის თანაფარდობა ტექნიკის საერთო რაოდენობასთან ფინანსურ გამოხატულებაში (ეკონომიკურ-ფინანსური აუდიტი);
- 4) წმინდა ფინანსური შემოსავლების ზრდის თანაფარდობა ხარჯების ზრდასთან;
- 5) წმინდა ფინანსური შემოსავლების თანაფარდობა მენეჯერულ ან ტრანზაქციულ ხარჯებთან, რაც გამორიცხავს შემოსავლების ხელოვნურ ზრდას ხარჯების „გაბერვის“ შედეგად და პასუხიმგებლობას უშუალოდ მენეჯმენტს აკისრებს.

ზემოაღნიშნული მაჩვენებლები, ჩემი აზრით, საუკეთესოდ ავლენს საერთაშორისო კონკურენციის ეფექტიანობას, რაც ვლინდება, როგორც მაკრო, ისე

მიკრო დონეებზე და აღნიშნული ეფექტიანობისათვის, უპირველესად ყოვლისა, პასუხისმგებელი იქნებიან საერთაშორისო თანამეგობრობა (მ.შ. საერთაშორისო ანტიმონოპოლიური სააგენტოს შექმნის მიზნით, აუცილებელია გაეროს რეფორმირება), აგრეთვე, სახელმწიფოთა მთავრობებიც, რომლებსაც, როგორც ვნახეთ, დამოუკიდებლად არ შესწევთ უნარი გაუმკლავდნენ ფარულ უმზაკვრეს საერთაშორისო მონოპოლიებს.

საერთაშორისო და ადგილობრივი კონკურენციის (შესაბამისად, მონოპოლიების) შეფასების მრავალი საინტერესო მეთოდი არსებობს მსოფლიოში, თუმცა ეს მეთოდები, ბუნებრივია, როგორც აღინიშნა და თვალსაჩინოდ ვლინდება საერთაშორისო კრიზისებიდან, სრულად ვერ ითვალისწინებს ვერც საკუთარ და ვერც ჩვენს სპეციფიკას. მაშასადამე, შესაძლებელია დარწმუნებით დავასკვნათ, რომ, საჭიროა აღიარებული მეთოდების ბაზაზე სხვადასხვა გონივრული ხერხისა და მექანიზმის კომპლექსური გამოყენება, მ.შ. კონკურენციის ეფექტიანობის შესაფასებლად.

თუ კეთილსინდისიერი მეწარმე თავისი ნიჭიერებით (უნარით) ხდება მონოპოლისტი საერთაშორისო ბაზარზე (სტივ ჯობსისა და ბილ გეიტსის უნიკალური მაგალითები), ანტიმონოპოლიური ორგანო, არავითარ შემთხვევაში არ უნდა უშლიდეს მეწარმეს შემდგომშიც გამოავლინოს თავისი წარმატებული უპირატესობა, მაგრამ ის, ამ შემთხვევაში, სიფრთხილით უნდა აკვირდებოდეს მონოპოლისტს, რომ მონოპოლიურმა უპირატესობამ არ დააზიანოს ბაზარი და არ გამოიწვიოს შესაბამისი პროდუქციისა და მომსახურების ზედმიწევნით გაძვირება ან ხელოვნური დეფიციტი და ბაზარზე დიქტატორული პირობების კარნახი.

საერთაშორისო ბაზრის კონკურენტულობის დონის კრიტიკულად გააზრებისათვის დავსვათ კითხვა - რომელია უფრო მნიშვნელოვანი, მაღალკონკურენტული ბაზარი გვექონდეს თუ ტექნიკური პროგრესით დაწინაურებული წარმოებისათვის ვიზრუნოთ. ბუნებრივია, ორივე მნიშვნელოვანია ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, მაგრამ მაინც, რომელია უფრო მნიშვნელოვანი?

წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როცა რომელიმე ქვეყანაში დიდი მეცნიერული აღმოჩენის წყალობით ტექნიკურ პროგრესში ნახტომისებური (რევოლუციური)

წინსვლის საშუალება გვეძლევა, მაგრამ ეს აღმოჩენა ბოროტ მონოპოლისტს ჩაუვარდა ხელში, რომელიც მხოლოდ მონოპოლიური მოგების მიღებაზე ფიქრობს. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, საერთო კეთილდღეობის გაუმჯობესება უმნიშვნელო იქნება აღმოჩენის მასშტაბებთან შედარებით, ხოლო უარეს შემთხვევაში, შესაძლოა, რეაქციული გამოვლინებების ეპოქაც დაუდგეს კაცობრიობას.

ახლაკი, მეორე სიტუაცია განვიხილოთ. თუ ქვეყანაში მაღალ-კონკურენტული ბაზარია, ბუნებრივია, აქ ტექნიკური პროგრესის განმავითარებელ დარგებსაც ეძლევათ სტიმულები და ნიჭიერებაზეც განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნაა. აქ ტექნიკური ინფორმაციის მოპოვების გარემო მაქსიმალურად გამჭვირვალეა და მისი განვითარება-გავრცელებაც შესაძლოდ სწრაფად ხორციელდება.

ასევეა, რაც არ უნდა გენიოსი პოლიტიკოსები გვყავდეს და მაღალკვალიფიციური კადრები გავზარდოთ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში, თუ ბაზარი მონოპოლიზებულია, მათ არანაირი გასაქანი არ მიეცემათ მონოპოლისტის ნებასურვილის გარეშე.

დასკვნა სახეზეა - უპირველესად საერთაშორისო ბაზრის მაღალ კონკურენტულობასა და მის ეფექტიანობაზე უნდა ვიზრუნოთ, რისთვისაც შესაბამისი კომპეტენტური და მობილური (ნაკლებხარჯტევადი) ინსტიტუტები უნდა ფუნქციონირებდეს.

7. ფინანსური მონიტორინგის პრიორიტეტები მენეჯმენტში

პრაქტიკოსი მენეჯერებისათვის, საჭიროა აღინიშნოს, რომ ბიზნესის წარმატებული დაწყებისა და კონკურენტუნარიანი ფუნქციონირებისათვის, ჩვენი აზრით, აუცილებელია, ვაწარმოთ ფინანსური აქტიურობის სისტემატური მონიტორინგი და ანალიტიკური განზოგადება ელემენტარულ ეკონომიკურ მაჩვენებელთა შემდეგი სისტემის გამოყენებით:

- 1) ხარჯების რენტაბელობა - ROC (return on cost), რომელიც იანგარიშება საბალანსო მოგების ფარდობით პროდუქციის წარმოებასა და რეალიზებაზე გაწეული ხარჯების ფულად გამოხატულებასთან (თვითღირებულებასთან);
- 2) პროდუქციის რენტაბელობა - ROP (return on production), რომელიც იანგარიშება საბალანსო მოგების ფარდობით ძირითადი და საბრუნავი კაპიტალების საშუალოწლიურ ღირებულებათა ჯამთან;
- 3) საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა - ROE (return on equity), რომელიც, მაგალითისათვის, შეიძლება ვიანგარიშოთ წმინდა მოგების ფარდობით საკუთარ ან აქციონერულ კაპიტალთან;
- 4) საბრუნავი საშუალებების ბრუნვის კოეფიციენტი ანუ ბრუნთა რიცხვი გარკვეულ დროის პერიოდში (მაგალითად, წელიწადში), რომელიც იანგარიშება, როგორც საბრუნავი საშუალებების უკუგება ანუ წარმოებული პროდუქციის (მომსახურების) ფარდობა საბრუნავი საშუალებების საშუალოწლიურ ღირებულებასთან განსახილველ პერიოდში;
- 5) ფინანსური ავტონომიურობის კოეფიციენტი, რომელიც შეიძლება ვიანგარიშოთ, როგორც საკუთარი ფულადი სახსრების შეფარდება მთლიანად აქტივების ღირებულებასთან;
- 6) ლიკვიდურობის კოეფიციენტი ნაღდი ფულის მარაგის მიხედვით, რომელიც შეიძლება ვიანგარიშოთ, როგორც სალაროსა და ბანკში ნაღდი ფულის მარაგის ფარდობა მოკლევადიანი სესხების მოცულობასთან;
- 7) ლიკვიდურობის კოეფიციენტი ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების ღირებულების ჯამის ან ნამრავლის მიხედვით, რომელიც იანგარიშება ხსენებული ჯამის ან ნამრავლის ფარდობით მოკლევადიანი სესხების მოცულობასთან;
- 8) მანევრირების კოეფიციენტი, რომელიც შეიძლება ვიანგარიშოთ საკუთარი სახსრების მოცულობის ფარდობით საბრუნავ საშუალებებში დაბანდებული საკუთარი სახსრების მოცულობასთან;
- 9) კაპიტალუკუგება და მასალაუკუგება, რომლებიც წარმოადგენს ირიბ ფინანსურ მაჩვენებლებს და იანგარიშება რეალიზებული პროდუქციის

(მომსახურების) ფარდობით შესაბამისად ძირითადი კაპიტალის საშუალოწლიურ და მოხმარებული მასალების ღირებულებებთან;

- 10) ძირითადი კაპიტალის განახლების კოეფიციენტი, რომელიც ფინანსური კრიზისის გამწვავების დროს არსებითი მატებით უნდა ხასიათდებოდეს, განისაზღვრება, როგორც გარკვეულ პერიოდში ახლადამოქმედებული ძირითადი კაპიტალის ფარდობა ამავე კაპიტალის მთლიან ღირებულებასთან განსახილველი პერიოდის ბოლოსათვის. შესაბამისად, ფინანსური კრიზისის დროს განსაკუთრებით უნდა იზრდებოდეს მომველებული ძირითადი კაპიტალის გასვლის კოეფიციენტიც, რომელიც იანგარიშება, როგორც ჩამოწერილი (ლიკვიდირებული) ძირითადი კაპიტალის ღირებულების ფარდობა ძირითად კაპიტალის მთლიან ღირებულებასთან განსახილველი პერიოდის დასაწყისისათვის;
- 11) მწარმოებლურობა (პროდუქტიულობა), რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფინანსური რესურსების გამოყენების კომპლექსური მაჩვენებელი და ვიანგარიშოთ რეალიზებული პროდუქციის (მომსახურების) შედეგად მიღებული შემოსავლების ფარდობით სამეწარმეო სუბიექტში დასაქმებული პერსონალის რიცხოვნებასთან.

8. ეფექტიანი გამდიდრების გააზრებისათვის

მკითხველმა შეიძლება იფიქროს, თუ რას ნიშნავს ეფექტიანი გამდიდრება, ყველა გამდიდრება ხომ გამდიდრებაა? - იკითხავს ზოგი. განვმარტავ, რომ ეფექტიანი გამდიდრება ეს სიმდიდრის იმგვარი დაგროვებაა, რომელიც გააზრებულადაა გამიზნული საჭირო კეთილი საქმეებისათვის და რაც, საბოლოო ჯამში, საზოგადოების აღწარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას ამაღლებს - ანუ მინიმალური ხარჯებით კონკურენტუნარიან ბიზნესსა და ადამიანის უკეთ სწავლებას, გაჯანსაღებასა და სხვა აუცილებელი მოთხოვნილებების მაქსიმალურად ოპერატიულ დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს.

არაეფექტიანი გამდიდრება კი, ძირითადად, სიმდიდრის დაგროვების არაპროფესიულ გამოცდილებასა და ამგვარად დაგროვილი სიმდიდრის არარაციონალურად განაწილებას ახლავს და ამგვარი გამდიდრება მხოლოდ და მხოლოდ სიმდიდრის პოლარიზებასა და, სიმდიდრის ზრდის მიუხედავად, სიღარიბის გაურკვეველ ზრდას იწვევს. ადამიანის ბუნება საერთო ფესვებით საზრდოობს, ყველას ჰყავს ახლო თუ შორეულ წინაპრებში გამოჩენილი ადამიანები და უნდა გვახსოვდეს, რომ უფალი და დრო მხოლოდ იმ რეფორმატორებს (თანამედროვე სახელმწიფო ლიდერებს, ისტორიულ მეფეებსა თუ სხვა მოღვაწეებს) აფასებდა და აფასებს, ვინც თავისი განსწავლული გამჭრიახობითა და მზრუნველობით სიმდიდრის სამართლიანი განაწილების სამაგალითო მცდელობებს ავლენს.

ჯერ კიდევ ადამ სმითი იკვლევდა ხალხთა სიმდიდრის ბუნებასა და მიზეზებს [3; 4; 5] და მას შემდეგ ამ საკითხებზე ძალზე ბევრ სხვასაც უფიქრია, მაგრამ გლობალიზების ეპოქამ ახალი გარემოებების წინაშე დაგვაყენა, რაზეც განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ. ტექნიკურ პროგრესთან ერთად, სიმდიდრე გროვდება, მაგრამ სიღარიბე შესაბამისად არ იკლებს, რაც ფარული „საერთაშორისო“ მონოპოლიებისა და დიქტატორული რეჟიმების დაბრკოლებებით არის განაპირობებული. გლობალიზების უპირეტასობათა მართებულად გამოყენებამ საშუალება უნდა მოგვცეს წავშალოთ ეს საზღვრები და გადაჭარბებულად ბიუროკრატიული ბარიერები და ვიზრუნოთ არა ელიტარული დიქტატორული რეჟიმების, არამედ ყოველი ადამიანის გამდიდრებისათვის.

მსოფლიოს დარგობრივი სტრუქტურა საკმარისად სრულყოფილია რეგიონულთან შედარებით (რაშიც მათემატიკური ალგორითმებიც გვარწმუნებს), ამდენად, მთავარია, გლობალიზებამ მაქსიმალურად შეამციროს რეგიონალური განსხვავებანი და, თუ მოხერხდება, რომ ღარიბი რეგიონები არ გვყავდეს, დარგობრივი სტრუქტურაც უფრო სრულყოფილი იქნება. ეს მხოლოდ და მხოლოდ რაციონალურ საერთაშორისო კონკურენციას ძალუძს, რომლის უზრუნველყოფასა და შენარჩუნებას საერთაშორისო თანამეგობრობის დიდი ძალისხმევა სჭირდება.

გასათვალისწინებელია გარემოებაც, რომ არაკეთილსინდისიერ მიდრეკილებებს არამხოლოდ გავლენიანი მონოპოლიები ავლენს, ამდენად, გლობალიზების ეპოქაში გვეძლევა საშუალება და ანტიმონოპოლიური მექანიზმი შესაძლოდ საყოველთაოდ უნდა მოქმედებდეს. გლობალიზების ეპოქაში ერთიანი ბაზრის ყოველი მონაწილე სუბიექტისადმი მოთხოვნებიც არსებითად გაიზრდება და, გამომდინარე, განვითარებად ქვეყნებში ბიზნესაქტიურობა და კულტურა არსებითად უნდა გაუმჯობესდეს.

მე-20 საუკუნიდან, ქეინზი და ქეინზიანელები (ფილიფსი, ჰაროდი, ჰიქსი). მათ კვალში მონეტარისტები (ბრუნერი, ფრიდმანი, შვარცი) და თეთრი სახლის მარეგულირებელი რეფორმების მომხრეები (რეიგანი, ობამა და ახლა უკვე ეკონომისტ-ბიზნესმენი ტრამპი) უკვე კარგად აცნობიერებენ კაპიტალისტური ურთიერთობების უმძიმეს ციკლურ წინააღმდეგობებს, მაგრამ, მარქსისტული ათეიზმისაგან განსხვავებით, უტოპიურ მიზნებს არ სახავენ და უმწვავესი ოპონირების (ზოგჯერ არსებითად ხელისშემშლელის) პირობებში შესაბამისი ეპოქებისათვის დამახასიათებელ შესაძლოდ ობიექტურ რეკომენდაციებს საზღვრავენ შესაძლოდ მასობრივი დასაქმების, ინვესტიციებისა და ოპტიმალური ფულადი მიმოქცევის საკითხებზე.

ქეინზიანიზმის IS-LM-BP და ინფლაცია-უმუშევრობის მოდელებში, ჩემი კვლევებით რეკომენდირებულ იქნა ობიექტური ნების (მ. შ. ციკლური) მოქმედებისა და სტრუქტურული ძვრების ეფექტიანობის გათვალისწინების მიზანშეწონილობა გრძელვადიანი სტრატეგიისათვის, რაც კონკრეტიზებულია როგორც მდიდარი და ღარიბი, ასევე, დიდი და მცირე ქვეყნების მაგალითების ჭრილში [3; 4; 5].

ეკონომიკაში განსაკუთრებით არსებითია ცხოვრებისეული მოვლენების ახლებურად ხედვა და შესაბამისი ნოვაციები წარმოებასა და მომსახურებაში, ვინაიდან, როგორც ცნობილია, სიახლეები განსაკუთრებით მოთხოვნას ასტიმულირებს და შესაბამის ინტერესებსაც ამძაფრებს, ამასთანავე, გარკვეული ეკონომიკური დოგმები და მექანიზმები, რომლებიც, შესაძლოა, მრავალი წელი ეფექტიანი შედეგებით გამოირჩეოდა, პერიოდულად, პოლარულად ან ნაწილობრივ განსხვავებული ახალი ჭეშმარიტებით შეიძლება შეიცვალოს.

გლობალური კონკურენციის ეპოქაში, ჩემი აზრით, განსაკუთრებით აქტუალურია ფარულად გამდიდრებული მონოპოლიების საერთაშორისო დეზორიენტაცია, თუმცა, ანტიკარტელური პოლიტიკის ფლაგმან აშშ-იც კი მოქმედებენ თეორიულად და პრაქტიკულად „შეიარაღებული“ ძალები, რომლებიც თვლიან, რომ სახელმწიფო ანტიმონოპოლიური პოლიტიკა სუბიექტური და კორუმპირებულია და მხოლოდ ხელს უშლის ახალი (ობიექტური) საჭირო ორგანიზაციული სტრუქტურების წარმოქმნასა და მის თანმდევ პროცესებს.

ხსენებული პოზიცია, ჩემი აზრით, არათუ მცდარია, არამედ, მეტად საზიანოცაა, ვინაიდან, ფაქტია, რომ მზარდი ფარული მონოპოლიები განაპირობებს მზარდ საფრთხეს კაცობრიობისათვის და, განსაკუთრებით, ისედაც ღარიბი მოსახლეობისათვის, ვინაიდან, მონოპოლიების მიერ აგორებული კრიზისებითა თუ ინფლაციებით, მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან და ღარიბები კი - კიდევ უფრო ღარიბდებიან - მდიდრების შემოსავლები ხომ, ძირითადად, დაცულია მზარდი ღირებულებების ქონებრივ ატივებში, ხოლო ღარიბების შემოსავლები სწრაფადვე იხარჯება მხოლოდ პირველადი საჭიროების პროდუქტებზე, რაც ყველაზე მეტად ძვირდება სტაგფლაციის გამწვავების პერიოდებში.

საგულისხმოა, რომ ობიექტური (სამართლიანი) კონკურენტული მექანიზმების მოქმედებისას, მეცნიერულ-ტექნიკური ფაქტორები განსაკუთრებით ქმედითი (ეფექტიანი) ხდება მზარდი შემოსავლების სამართლიანი განაწილებაც პრაქტიკაში, რამაც არსებითად უნდა შეამციროს სიღარიბის გაუგებარი პოლარიზება, ამასთანავე, გაზარდოს ადამიანების წვდომადობა ჯანდაცვით და საგანმანათლებლო სფეროებზე. ამ სფეროებს საბიუჯეტო ხელშეწყობა უნდა გაეზერდოთ იმ მიზანშეწონილი ზღვარის ფარგლებში, როცა ეფექტიანობას სახიფათო ზიანი არ მიადგება. ამ მხრივ, თანამედროვე საქართველოს საყოველთაო ჯანდაცვის გამოცდილება, განსაკუთრებით მის მე-2 ეტაპზე (როცა კიდევ უფრო მეტი სამუალებები მობილიზდა განსაკუთრებით გაჭირვებულებებზე), ნამდვილად სამაგალითოა და მომავალში მის საყოველთაო ხელშეწყობაზე უნდა ვიზრუნოთ სახელმწიფო ფინანსირებისა და ამ მხრივ კერძო დაზღვევის ინსტიტუტების მრავალფეროვანი საერთაშორისო გამოცდილებების მოხმობის კონტექსტში.

სიმდიდრის დაგროვების პროცესში ცენტრალური როლი ნოვაციურ (უპირატესად მეცნიერებატევად) ბიზნესს და მის მენეჯმენტს ეკუთვნის. პროფესიონალი ნოვატორი მენეჯერი, როგორც ბრძენი სტრატეგი, გონივრულად შორსმხედველი უნდა იყოს და დაგეგმვის, ორგანიზებისა და მონიტორინგის თეორიულ საფუძვლებსა და პრაქტიკულ ჩვევებს (ხელოვნებას) მაქსიმალურად შედეგიანად (ხარისხიანად, სწრაფად და შესაძლო მინიმალური დანახარჯებით) უნდა ფლობდეს, შესაბამისად, გლობალიზებისა და ტექნიკური პროგრესის ეპოქაში მხოლოდ კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლებითა და მუდმივად განახლებადი (ორიგინალური) კეთილსინდისიერი მიდგომებით შეიძლება აღწევდეს კონკურენტულ უპირატესობას.

გლობალიზების ერაში, მეტწილად ჩაკეტილი ლოკალური ბიზნესის მოქმედების არეალი თანდათან ქრება, ვინაიდან, ინტერნეტმა მსოფლიო ბაზარი ერთიან დიდ ორგანიზმად აქცია და საერთაშორისო კონკურენცია (მ.შ., ბუნებრივია, არაკეთილსინდისიერიც) დედამიწის ყველა წერტილში აღწევს. თუ ლოკალური ბაზრების პირობებში არაპროფესიონალიზმი და ე.წ. ჩაწყობა-ნაცნობობა გარკვეულწილად “ჭრიდა” მართვაშიც, ამჯერად, ორდინარული არაპროფესიონალიზმი მენეჯმენტში სულ უფრო მნიშვნელოვან ფუჭ დანაკარგებსა და საერთო ჩამორჩენას დაუკავშირდება.

სიღარიბის დამღვევისა და სიმდიდრის არსებითი დაგროვების აუცილებლობის პირობებში, ბუნებრივია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას საბაზრო ურთიერთობების მარკეტინგული მართვის ის ნოვატორული ხელოვნებაც იძენს, რომელმაც, მენეჯერი-სტრატეგის საჭირო ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებისათვის, თითქმის სინათლის სიჩქარით უნდა შეიტანოს სიცხადე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და პროდუქციის (მომსახურების) რეალიზების სულ უფრო მრავალწახნაგოვან პროცესებში.

დაინტერესებულმა მკითხველმა იცის, რომ ჩემი შრომები მიმართულია სიღარიბის დამღვევისა და ადამიანის კეთილდღეობისაკენ და განსაკუთრებით მაფიქრებს საკითხები, თუ რა უნდა ვიღონოთ, რომ ვუზრუნველვყოთ მაქსიმალურად ეფექტიანი კონკურენტული გარემო ბიზნესისათვის და როგორ

დავძლიოთ რეკორდული სიმწვავე დემოგრაფიულ კრიზისებში, მ.შ. ეკონომიკური დოვლათით მზარდ რეგიონებში.

ამჯერად, გაეროსა და განვითარებული ქვეყნების დიდი მცდელობების მიუხედავად, ძალზე მაღალი ტემპებით მდიდრდებიან საერთაშორისო ფესვების მქონე ის შენიღბულად „მეცნიერებატევადი“ ბიზნესები, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოში ფეხმოკიდებულ გენმოდისფიცირებულ სფეროებს ჩაეჭიდნენ მასობრივად.

9. ხალხის გამდიდრების ანტიმონოპოლიური მექანიზმები

გაეროს მასშტაბური ფინანსური დახმარებების უკონტროლო ზრდის ნაცვლად, რომლებიც, მნიშვნელოვანწილად იკარგება და მაქინაციური გზებით მიემართება ფარული მონოპოლიების ყულაბებში, გამოსავალი, ჩვენი აზრით, არსებობს შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებით:

1) გაეროს მონაწილე ქვეყნების მთავრობათა წარმომადგენლობით, ქმედითი საერთაშორისო ანტიმონოპოლიური სამსახურის ამოქმედება, რომელიც დააკვირდება საერთაშორისო დახმარებების მიზნობრივ გამოყენებასა და, ზოგადად, საბაზრო ეკონომიკის მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის პროცესს - კომპიუტერიზაციის დონის ზრდას ღარიბ ქვეყნებში, საბაზრო გარიგებების ვიდემეთვალყურეობას, სრულყოფილ აღრიცხიანობას, სახელშეკრულებო საფუძვლების გაფართოებას;

2) გლობალური მეცნიერული (კვალიფიციურად მზრუნველი) მონიტორინგი სოფლის მეურნეობასა და მასთან დაკავშირებულ ინდუსტრიულ და სავაჭრო ინფრასტრუქტურაზე, ეკონომიკის ყველა დაკავშირებულ დარგში არსებული საჭირობო პრობლემების მოსაგვარებლად;

3) მეწარმეთა საზოგადოებრივი კავშირებისა და მასობრივი უზრუნველყოფის (მეტწილად ჯანდაცვითი) პროგრამების ინიცირება ფარულ მონოპოლიებთან ადეკვატური პაექრობისათვის.

როგორც ცნობილია, სიღარიბის ზრდასთან ერთად, განსაკუთრებით მწვევდება მასობრივ დაავადებათა გავრცელების პრობლემა. ფაქტია, რომ სასიცოცხლო პრობლემების თვითდინებაზე მიშვება და მოგებაზე ორიენტირებულ კერძო სექტორზე მინდობა ყოვლად დაუშვებელია. აღნიშნულის მაგალითია აშშ, რომელიც, ჯანდაცვის უდიდესი ფინანსური მხარდაჭერისა და უნიკალური მეცნიერული პოტენციალის მიუხედავად, ბავშვებისა და ზრდასრულთა ავადობის საუკეთესო მაჩვენებლებით ვერ ხასიათდება და, ამ მხრივ, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ინგლისს, სადაც ჯანდაცვა თითქმის მთლიანად სახელმწიფოს ხელშია კოორდინირებული, შესაბამისად, გარანტირებულია სასიცოცხლო რისკების დაზღვევა ბევერიჯის სიტემის საფუძველზე და, გარკვეულწილად, ბისმარკის ინსტრუმენტების გამოყენებითაც [3; 4; 5].

აშშ-ში, ე.წ. მედიქეიდისა და მედიქეას პროგრამების მასობრივად მოქმედებისა და არამომგებიანი სამედიცინო ობიექტების (სადაც მოგება მხოლოდ ჯანდაცვითი ორგანიზაციის მოდერნიზება-გაფართოებაზე გამოიყენება და კერძო ინტერესით არ მოიხმარება) არსებობის მიუხედავად [იქვე], ობიექტების მეტწილად კერძო კუთვნილება და ფასების მონოპოლიურად ზრდის ნოყიერი შესაძლებლობები, როგორც ვხედავთ, მაინც აფერხებს სახელმწიფო ფინანსების ეფექტიან მიზნობრივ გამოყენებას.

საერთოდ, განვითარებული ქვეყნების უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ განვითარებად ქვეყნებში ყოვლად დაუშვებელია ეკონომიკური მექანიზმების ბრმად გადმოღება. ყველა ქვეყანა თავისი ორიგინალური ტრადიციებითა და განვითარების ციკლოზობით ხასიათდება და ინდივიდუალურ სპეციფიკებს (მ.შ. პოლიტიკასა და მის მატერიალურ საფუძველში - ეკონომიკაში) ღრმად მეცნიერული გააზრება სჭირდება. ქართული ეკონომიკის თანამედროვე რეალიების გათვალისწინებით ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინეს, რომ ერთ სამუშაო ადგილს თანამედროვე სოფლის მეურნეობაში, ჯაჭვური რეაქციით,

მინიმუმ, 10-12 სამუშაო ადგილის შექმნა შეუძლია მრეწველობასა და დანარჩენ დარგებში.

„ბრმად გადმოღების“ მომხრეთა გასააზრებლად, აღვნიშნავ, რომ, მაგალითისათვის, საქართველოში ახლახან გამწვავებულ ინფლაციასთან დაკავშირებით, სავალუტო პანიკების იმპორტი მხოლოდ უარყოფითად მოქმედებს ბაზარზე - ჩემი გაანგარიშებებით, ლარის მიმდინარე ინფლაცია მთლიანად საგარეო ფაქტორებზე იყო დამოკიდებული (ურწმუნოთა მისამართით, დავამატებდი, რომ, ნამდვილად არ მეშლება, შეიძლება სხვა საგნები არა, მაგრამ მათემატიკა და ანგარიშიანობა განსაკუთრებით მეხერხებოდა ბავშვობიდან, რაც მრავალ შემოქმედებით ოლიმპიადაშიც დამიდასტურებია).

ჩვენი აზრით, დაუშვებელია როგორც კერძო, ასევე, სახელმწიფო მონოპოლიების ხელშეწყობა - ბუნებრივია, იშვიათი გამონაკლისის გარდა, როცა, ინდივიდუალური პირობების გათვალისწინებით, საზოგადოებრივი მონიტორინგიც განსაკუთრებით უნდა გააქტიურდეს.

10. ჭეშმარიტი მეცნიერულობა მენეჯმენტში

განვითარების მიმდინარე ეტაპზე, მხოლოდ ჭეშმარიტი მეცნიერულობა (განსწავლულობა, სპეციალიზაცია) მენეჯმენტში და სახელმწიფოს მხრიდან მეცნიერებზე გულწრფელი ზრუნვა და ეკონომიკის რეალური სექტორიდან ექსპორტის სტიმულირების მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგია, დარწმუნებული ვარ, გადაარჩენს ჩვენს მაღლიან ქვეყანას.

იმედია, ეროვნული ბანკიც ღრმადმეცნიერულად მოაზროვნე კადრებით დაკომპლექტდება მომავალში და არა უაზრო სტატისტიკებით, რომლებიც ადამიანების ფინანსურ დაცულობაზე ნამდვილად არ ზრუნავენ და მათგან მაქსიმალური სარგებელის მიღებაზე არიან ორიენტირებული მხოლოდ.

დიდ შეცდომად მიმაჩნია განსაკუთრებით წარმატებული კერძო საბანკო ინფრასტრუქტურისა და მ.შ. უშუალოდ თიბისისა თუ საერთაშორისო ბაზარზე სულ უფრო ცნობადი ქართული ბანკების მაღალპროფესიული მენეჯერული უნარების არდანახვა - ნუ გვავიწყდება, თუ რა რთული გზა განვლეს მათ დღევანდელ წარმატებულ მდგომარეობამდე და რამდენი დახმარება აღმოუჩენიათ ადამიანებისათვის ყველაზე მწვავე გაჭირვების დროს. საბანკო ინფრასტრუქტურა განვითარებული წარმოებრივი სტრუქტურის წინაპირობად უნდა განვიხილოთ ძირითად კაპიტალში, რაც, თავის მხრივ, საერთაშორისო ბიზნესში ღირსეული დამკვიდრების წინაპირობაა.

გონიერი მენეჯმენტისა და სულ უფრო მეცნიერებატევადი ეკონომიკის მარგი ქმედების ასამაღლებლად, იმპლიცირებულ (არაცხად) ხარჯებზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად (არ შეგაწყენთ მათი დეტალური კონსტატაციით - საბოლოო შედეგები წარმოდგენელია ადრინდელ კვლევებში [4; 5; 6]), ევროკავშირის ექსპერტთა მეთოდოლოგიის ჩემს განვითარებასთან ერთად, გამოვავლინე შესაძლებლობა შეფასებისა, თუ რამდენად მართებული იქნება კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პრიორიტეტების მინიჭება ინვესტირებისას საქართველოში - ქვეყანაში, სადაც გასული საუკუნის 90-იან წლებში, ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის კრიზისული პირობების გამო, ცხოვრების დონე მსოფლიოში ბოლო ადგილზე დავიდა და აღნიშნულის მიუხედავად, შენარჩუნდა მოწინავე პოზიციები დღევანდელთა, მ.შ. 100 და 110 წელზე მეტი ასაკის ადამიანების შედარებითი მოჭარბების შემთხვევებით.

ბუნებრივი ფაქტორების პრიორიტეტული მნიშვნელობა არ ნიშნავს, რომ ცხოვრების დონის მაჩვენებლები არ ზემოქმედებს ცხოვრების ხანგრძლივობაზე. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითად იაპონია გამოდგება, სადაც მიწისძვრებისა და სხვა დამაბული ბუნებრივი პირობების მიუხედავად, ბიზნესის განსაკუთრებით მაღალი შემოსავლებისა და ცხოვრების წესის სახასიათო თავისებურებები განაპირობებს, რომ იაპონია ასევე განსაკუთრებით გამოირჩევა ადამიანთა ჯანმრთელობითა და ბიზნესაქტიურობით, გამომდინარე, ბიზნესის კონკურენტუნარიანობით საერთოდ.

მრავალფაქტორული დაკვირვების შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ცხოვრების დონესა და ხანგრძლივობაზე მნიშვნელოვანწილად ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების კომპლექსი მოქმედებს და ცხოვრების ამ ორივე მაჩვენებლის განსაკუთრებული პარამეტრებით გამოირჩევა მხოლოდ რაოდენობრივად და ხარისხობრივად თვალსაჩინო ეკონომიკური და ინტელექტუალურ-ინოვაციური პოტენციალის ქვეყნების (აშშ, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, შვედეთი, ჩეხეთი, რუსეთი, ჩინეთი და სხვ.) ცალკეული დარგები და რეგიონები.

ხსენებულის კონტექსტში, ნიშანდობლივია, რომ ცალკეული ქვეყნები (მ.შ. განსაკუთრებით - აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში, აღმოსავლეთ აზიაში), რომლებიც გამოირჩევა საუკეთესო ბუნებრივ-კლიმატური პირობებითა და სასარგებლო წიაღისეული მარაგებით, ჯერ კიდევ დინასტიურად დიქტატორული რეჟიმების გამო, როცა არ არსებობს პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული და ეკონომიკური გარემოს ეფექტიანი კონკურენტული საფუძვლები, ხოლო გამოცხადებულია სახალხო კეთილდღეობა (ზოგ შემთხვევაში, მოჩვენებით) და „საერთაშორისო“ ბაზრების შესახებ ინფორმაციის წვდომისა და დოვლათის განაწილების გამჭვირვალე მექანიზმები (რა თქმა უნდა, ასევე მოჩვენებითი და დეფორმირებული), რეალურად, ცხოვრების დონისა და ხანგრძლივობის უმდაბლეს დონეებს ავლენენ, მაშინ, როცა, ამ ქვეყნებიდან ემიგრირებული ნიჭიერი მოსახლეობა, ცივილურ სამყაროში საუკეთესო შედეგებს აღწევს, მ.შ. საერთაშორისო ბიზნესში.

ცხოვრების ხანგრძლივობის სპეციფიკური არაეკონომიკური ფაქტორებიდან, საჭიროა აღინიშნოს ეკოლოგიური გარემოებანი (წყალი, ჰაერი, კვების პროდუქტები, ზომიერი ტემპერატურა, ბუნების სხვა რაციონალური ანუ არაექსტრემალური პირობები), მოსახლეობის ორგანიზებულობა, ჯანმრთელი ცხოვრების წესი, პალეატიური მზრუნველობის კულტურა და რეკრეაციული ტურიზმის ეკონომიკურად დასაბუთებული პრიორიტეტები, შრომისა და სრულფასოვანი დასვენების ხანგრძლივობა და სხვ.

საქართველოს სინამდვილისათვის, ნიშანდობლივია, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე საუკეთესო მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებია

კონკურენტუნარიანი ეკონომიკისა და საერთოდ ადამიანის ბედნიერი არსებობისათვის და ჩვენმა მოსახლეობამ, თავისი ღვთისნიერი ბუნებითა და ორგანიზებულობით, ეკონომიკური შესაძლებლობების უკეთ გამოყენების მაგალითებიც უნდა აჩვენოს. აღნიშნულის უხვი პოტენციალი არსებობს და, ძალზე კარგია, რომ მის დაკვირვებასა და გაუმჯობესებაში მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოებაცაა დაინტერესებული.

იბადება კითხვა, თუ რა შეიძლება იღონოს საერთაშორისო ბიზნესმა და მთავრობებმა ამ მიმართებით მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესებისათვის. უმთავრესად, საერთაშორისო ბიზნესის მზარდმა სოციალურმა პასუხისმგებლობამ და მთავრობების ოფიციალურმა ვალდებულებებმა უნდა უზრუნველყოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა დასაბუთებული და მეწარმეების მიმართ არამოჩვენებითი და კეთილგანწყობილი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისა და მისი ეფექტიანი რეკლამირების გზით, ადგილობრივი ინვესტიციების მაქსიმალური მობილიზება ეფექტიან კონკურენტულ უპირატესობათა დამატებითი სტიმულირებისათვის და მიღებული შემოსავლების გონივრული განაწილება საგანმანათლებლო ცენტრების სათანადო დონეზე უზრუნველყოფისა და უმუშევართა და ავადმყოფთა დახმარებისათვის.

ადამიანის სიცოცხლე უფლის მიერ არის მონიჭებული და ეს ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ დიდია საერთაშორისო ბიზნესის, მეცნიერების ეკონომიკისა და კონკრეტულად ჯანდაცვის სფეროს მნიშვნელობა, მაგრამ უფლის მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდია (შეუფასებელია). ბუნებრივია, უფლის ნებით, არის შემთხვევები, როცა წმინდა ცხოვრებით მოღვაწე ადამიანი ადრე მიდის წუთისოფლიდან, მაგრამ, ფაქტია, რომ ასეთი ადამიანების ჯანმრთელობა უმეტესწილად მართლა სასწაულებრივად საუკეთესოა. ასეთივე დასკვნის გაკეთება შეიძლება ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი (უფლის მონიჭებული) პროდუქტებით მკვებავი ადამიანების მისამართითაც.

ინოვაციური სამედიცინო მეცნიერების მნიშვნელობა, როგორც აღვნიშნეთ, კაცობრიობის გამრავლებასთან ერთად, დიდია და, რა თქმა უნდა, იზრდება, მაგრამ, მის მზარდ აქტუალობასთან ერთად, სამწუხაროდ, მატულობს ამ სფეროს სახიფათო მაქინატორთა რიცხვიც მსოფლიოში. ეს რიცხვი თითქმის გეომეტრიული

პროგრესით იზრდება და აერთიანებს კრიმინალურ "სასწაულმოქმედ" ნარკობარონებს, ადამიანების გაჭირვებით მოსარგებლე სხვადასხვა "პროფესიონალ" გამომძალველებს, ათასგვარი შენიღბული ხერხებით მჩხიავ ექიმბაშებს, არაპროფესიონალ "სახალხო" მკურნალებს და სხვა მრავალ ავანტიურისტს, რომლებიც ნოყიერად ასაზრდოებენ ფარულ მონოპოლიებს და რაზეც აუცილებლად უნდა გაძლიერდეს საერთაშორისო მონიტორინგი ყველა ქვეყნის სამართალდამცავთა ჩართულობითა და ჯანდაცვის შესაბამის პროფესიონალთა მონაწილეობით.

გულწრფელი ღვთისნიერი მადლიერებით აღვნიშნავთ იმ ქვეყნებს, რომლებიც ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებში არსებითად ზრდიან ხარჯებს მედიცინაზე (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი, ინდოეთი და თანამედროვე საქართველო), მაგრამ, ბევრი ადამიანი მსოფლიოში ჯერ კიდევ ელემენტარული დახმარების გარეშეა. სტატისტიკა ადასტურებს, რომ მსოფლიო ეკონომიკურად მდიდრდება, მაგრამ, სამწუხაროდ, იმ ადამიანთა რიცხვიც მატულობს, ვინც სამედიცინო პრობლემებს ვერ უმკლავდება. საზოგადოების კარგი ჯანმრთელობის დონე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს შემოსავლებზე, მაგრამ საერთაშორისო ბიზნესის გონივრული ჩართულობისა და სახელმწიფოს გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკის გარეშე, საზოგადოების ცხოვრების გახანგრძლივებამ, შეიძლება უარყოფითადაც იმოქმედოს ეკონომიკური ზრდის ტემპებზე და, საბოლოოდ, ადამიანების შემოსავლებზე. ასე, მაგალითად, თუ საპენსიო ასაკზე მეტი ხნოვანების მოსახლეობის ხვედრიწონა მატულობს, იზრდება ხარჯებიც იმ ადამიანებზე, რომლებიც, ფაქტიურად არაფერს ქმნიან. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა გადახედოს თავის მიდგომას საპენსიო ასაკის ზრდის მიმართულებით, რათა, თუ ადამიანებს შეუძლიათ, მათ მიეცეთ საშუალება მეტი იმუშაონ.

11. „კონკურენციის ძალისა“ და „ოქროს კვეთის“ ანალოგიები

როგორც უკვე განვიხილეთ, კონკურენციის ძალას დენის ძალის განსაზღვრის მსგავსად ვაგარიშობთ. შემდგომი კვლევების საფუძველზე, მივედი დასკვნამდე, რომ რეკომენდაციისათვის, შეიძლება შემოვიყვანოთ ეფექტიანი კონკურენციის იდეალური პროპორცია ოქროს კვეთის ცნობილი თანაფარდობით 62:38. ამ თანაფარდობით, როგორც ცნობილია, აგებულია ვარსკვლავები და ადამიანის სხეულიც კი. ბუნებრივია, იდეალური პროპორციები ყოველთვის არ არის შესაძლებელი პრაქტიკაში, ისევე, როგორც ადამიანის სხეული შეიძლება იყოს სრულყოფილად სპორტული ან ძალიან მსუქანი ან ძალიან სუსტი აღნაგობისაც.

ოქროს კვეთის ზემოაღნიშნული პროპორციის გათვალისწინებით, ჩემს მიერ შემოთავაზებული კონკურენციის ძალის პირველი ინდექსი, ჩემი კვლევების დასაბუთებით, სარეკომენდაციოდ მეტი უნდა იყოს, ვიდრე 100:38 (თუმცა კონკრეტული რეალობა, ეფექტიანობის კრიტერიუმიდან გამომდინარე, სხვა შეიძლება იყოს, როგორც არსებობენ დიდი, საშუალო და მცირე ზომის ადამიანები, რომლებსაც თანაბარი უფლებები და სხვადასხვა უპირატესობები აქვთ და ყველა მათგანი საჭიროებს მზრუნველობასა და დაცვას, განსაკუთრებით, ძნელბედობის ჟამს). ეს დაახლოებით 3-ია (2,6-ზე მეტი). კონკურენციის მეორე ინდექსიც, სასურველია, მეტი იყოს 3-ზე. კომპანიების იდეალური რაოდენობა, ბაზრის ანალიზის გამოცდილებით, დაახლოებით 12-ია - როგორც თვეების სრული რაოდენობა წელიწადში (არ ვითვალისწინებ ძალიან მცირე კომპანიებს, სადაც, მაგალითად, დასაქმებულია 100-მდე ადამიანი და რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენენ მაკრო ბაზარზე).

სულ, ეფექტიანი კონკურენციის იდეალური საორიენტაციო ინტეგრალური კოეფიციენტი, ყველაზე რენტაბელური პრაქტიკის ჩვენი გათვლებით, მიზანშეწონილია იყოს $3 \times 3 \times 12 = 108$. ე.ი., როდესაც ინტეგრალური კოეფიციენტი დაახლოებით 100-ზე ნაკლებია, კონკურენციის ზედამხედველი ორგანო მიზეზებზე უნდა დაფიქრდეს.

როგორც წესი, ინტეგრალურ კოეფიციენტს, ასევე მკაცრად დასაბუთებული ორიენტაციისათვის, უნდა ჰქონდეს ზედა ზღვარიც დაახლოებით 10 ათასის დონეზე (ჩვენი დაკვირვებით, საერთაშორისო პრაქტიკაში მაგალითად 20x20x25-ის შემთხვევაში აღინიშნებოდა უმაღლესი ეფექტიანობა, რასაც მოსდევდა შედეგიანობის მკვეთრი შემცირება). მაგრამ თუ ანტიმონოპოლიური ხელისუფლება ზედმეტად "ეცდება" კეთილსინდისიერი მსხვილი საწარმოები წინააღმდეგ და დაანაწევრებს მათ, მივიღებთ ხელოვნურ ბაზარს, სადაც ინტეგრალური კოეფიციენტი 10 ათასზე მეტი იქნება და "მოკლე ჩართვა" (რომელიც ელექტროენერგეტიკაში იწვევს ტექნიკის გადაცხელებასა და დაზიანებას) გამოიწვევს ძალიან დიდი ეკონომიკური დანაკარგების "ეფექტს". თუ ჩვენ გვექნება, მაგალითისთვის, ჭარბი რაოდენობით აფთიაქები ძალიან ბევრ (თითქმის ყველა) უბანში, ჩვენ, ეფექტიანი კონკურენციის ნაცვლად, შეიძლება დიდი რაოდენობით ვადაგასული მედიკამენტები შეგვრჩეს.

ევროკომისიის მეთოდოლოგიის ჩემს მიერ წარმოდგენილი განვითარება [3; 4] ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების ეფექტიანობის შეფასებაში, შესაძლებლობას გვაძლევს გამოვყოთ სტრუქტურული ფაქტორის გავლენა ეფექტიანობის საერთო ზრდაში, რითაც შეგვიძლია განვსაზღვროთ, რამდენად ეფექტიანად გავანაწილეთ საბიუჯეტო თანხები ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებზე და რამდენად ეფექტიანი იყო თავისუფალი კონკურენცია და, შედეგად, რესურსების გადადინება ერთი დარგიდან მეორეში.

ოქროს კვეთა საუკეთესო ორიენტირია ეკონომიკის სახელმწიფო და კერძო სექტორების თანაფარდობაშიც, ქონებაზე საკუთრების თვალსაზრისით. ეს პროპორცია, ჩემი წონასწორული რეალიზმის თეორიის თანახმად, მიზანშეწონილია იცვლებოდეს არამონოპოლიური ბალანსიდან 50:50, კერძო სექტორის დაახლოებით მაქსიმუმ ორ მესამედამდე თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის საერთო ქონებაში. ეს ორიენტირი ნორმალურია სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსულობებისთვისაც, დაახლოებით მესამედიდან მშპ-თან მიმართებაში. დაახლოებით მესამედი წარმოადგენს ჩვენს მიერ დასაბუთებულ სამაგალითო ზღვარსაც კომპანიების საშუალო მოგების მაქსიმუმებისა და, შესაბამისად, მათი ხარჯების მინიმუმების რეზერვების სრული რეალიზებისათვის.

სტატისტიკა მკაფიოდ ადასტურებს, რომ ვლინდება თითქმის პირდაპირი კავშირი ცხოვრების ხარისხსა და კონკურენციის ძალას შორის. რაც უფრო მაღლდება ქვეყნის განვითარების დონე, მით მეტია მისი ბაზრების კონკურენციის ძალის ინდექსები. ჩვენი მეთოდისა და მისი ფორმულირებებიდან გამომდინარე, კონკურენციის ძალა შეგვიძლია გამოვხატოთ გრაფიკული სახითაც [3; 4; 5].

ოქროს პროპორციის შეხახვებ ჯერ კიდევ პლატონიდან დაწყებული, კაცობრიობის მრავალ დიდ მოაზროვნეს უფიქრია. ცნობილია, რომ ოქროს კვეთა (ოქროს პროპორცია) გულისხმობს მთელის ისეთ დაყოფას ორ არატოლ ნაწილად, როცა მთელი ისე შეეფარდება დიდ ნაწილს, როგორც დიდი ნაწილი მცირეს. ეს პროპორცია დაახლოებით 1,62-ია (მიახლოებითი მნიშვნელობა იმიტომ მომყავს, რომ მისი ჩანაწერი უსასრულოა 1, 6180339...) და ის მთელს ყოფს ორ ნაწილად, რომელთაგანაც დიდი ნაწილი მთელის დაახლოებით 62%-ია, მცირე ნაწილი კი - მთელის 38%. ოქროს პროპორცია ფლობს უნიკალურ მთემატიკურ თვისებებს და ის ერთგვარი რაციონალური აგებულების საზღვრების საფუძველია ადამიანის პროპორციებსა თუ სხვადასხვა მნიშვნელოვან მეცნიერულ გაანგარიშებებში, მ.შ. არქიტექტურაში, გეოლოგიაში, კიბერნეტიკაში და ა.შ. [3].

საერთაშორისო ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, მიზანშეწონილია (არ ვარ კატეგორიული და, შესაძლებელია, გარკვეული გადაცდომებიც ექსტრემალურ სიტუაციებში), არ დაირღვეს ოქროს კვეთა (თანაფარდობა, პროპორციულობა) და ყველაზე დიდმა მიმწოდებელმა ბაზარზე არ უნდა გადააჭარბოს დაახლოებით მესამედს, შესაბამისად ბაზრის რაციონალური საფუძველი (ორ მესამედამდე) საჭირო კონკურენტულობას უნდა ინარჩუნებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაზე დიდი მწარმოებელი მეტად და მეტად ავლენს არაკეთილსინდისიერი გამსხვილების მიდრეკილებებს, რაც საბოლოოდ საერთო ეფექტიანობის არსებით შემცირებაში გამოიხატება. საინტერესოა, რომ ამ საკითხებზე სხვა გზით გაანგარიშებული უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო კვლევებიც ამ პროპორციის მახლობლობაში აღნიშნავენ რაციონალურ თანაფარდობას (მაგალითად, აშშ თეთრის სახლის ადმინისტრაციის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსით განსაზღვრული არაკონცენტრირებული ბაზრების საზღვარი [იქვე] - Unconcentrated Markets: HHI below 1500, როცა ყველაზე მსხვილი მიმწოდებელი

ბაზარზე ფესვი 1500-დან (38,72983...) ანუ ბაზრის მაქსიმუმ დაახლოებით 38,7%-მდე შეიძლება ვრცელდებოდეს.

უფალმა განსხვავებული კლიმატური პირობები და რესურსული ბაზა დაუწესა ქვეყნებს და შესაბამისად ყალიბდება ეროვნული სახასიათო ქვეყნის წესები ეკონომიკაში. საყურადღებოა, რომ ისინი, ვინც არ არიან განებივრებულნი საუკეთესო კლიმატური პირობებით და ცხოვრობენ ცივ და ძალზე ცივ სარტყლებში ან სეისმურად აქტიურ ზონებში, იძულებულნი არიან მეტად მობილიზებულნი იყვნენ და, ხშირ შემთხვევაში, კონკურენტულობის დონის მაღალ მაჩვენებლებსაც აღწევენ.

საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ინფორმაციაში, ვეცადე მომეპოვებინა მაქსიმალურად საჭირო მონაცემები, რათა გამოვავლინოთ კონკურენტუნარიანობის ამდლების ნიუანსები, რაც მისანიშნებელი უნდა იყოს ეკონომიკური პოლიტიკის დასაბუთებისათვის.

საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენციის არგუმენტირებული აუდიტისათვის, განვაზოგადე სხვადასხვა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციის წყაროებში მოპოვებული სტატისტიკური მონაცემები, რაც, თავის მხრივ, კონკურენციის ძალის ჩემს მიერ შემოთავაზებული ინდექსების განსაზღვრისათვის გამოვიყენე. ამასთანავე, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში (რის გარეშეც არ არსებობს ბაზარი) კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად, გამოვიყენე ექსპორტის იმპორტთან შეფარდების ინდექსი (ჩემი შემოთავაზებული ინტერპრეტაციით), რაც, ჩემი აზრით, შესაძლოდ მარტივად, მაგრამ თვალსაჩინოდ შეავსებს კონკურენტუნარიანობის აუცილებელი შეფასების (გააზრების) რთულ (მრავალმხრივ) მექანიზმს გლობალური ურთიერთკავშირების პროცესებში.

კონკურენტუნარიანობა, ჩემი აზრით, მიზნაშეწონილია შეფასდეს 2 ჯგუფად ბაზრისა და ქვეყნების (საერთაშორისო კომპანიების) სპეციფიკების გათვალისწინებით, მ.შ. ჩვენ შევაფასებთ კონკურენციის ძალას (კონკურენტუნარიანობას) ერთგვაროვანი პროდუქციის (მომსახურების) ბაზარზე და კონკურენტუნარიანობას ცალკეული ქვეყნებისა და კომპანიების სინამდვილეში. განვიხილოთ აღნიშნული ჯგუფები შესაძლოდ დეტალურად.

ა) კონკურენტუნარიანობა ერთგვაროვან ბაზარზე

აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში ერთგვაროვანი პროდუქციის (მომსახურების) ბაზრებზე კონკურენტულობის დონის განსაზღვრისათვის, HHI ინდექსის სხვადასხვა დონეს გამოიყენებენ. ერთ-ერთი ეს დონე, როგორც აღვნიშნეთ, თუ 1500-ზე ნაკლებია, არაკონცენტრირებულ ბაზრებთან გვაქვს საქმე, თუ 1500-ს გადააჭარბებს - საშუალოდ კონცენტრირებულ ბაზრებთან და თუ 2500-ს გადააჭარბებს - მაღალკონცენტრირებულ ბაზრებთან, რაც განსაკუთრებით სახიფათოა.

გასათვალისწინებელია, რომ, ჩემი დაკვირვებითა და ექსპერტული შეფასებით, ხსენებული ინდექსი, გასაგები მიზეზების გამო, შედარებით მაღალია მძიმე მრეწველობასა (ძირითადად წარმოების საშუალებების მწარმოებელი დარგები, მ.შ. სამთო-მოპოვებითი ინდუსტრია, მეტალურგია, მანქანთამშენებლობა და სხვ.) და მასთან დაკავშირებულ სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში, განსაკუთრებით დაბალია კი კვების მრეწველობაში, მსუბუქ მრეწველობაში, ხისდამამუშავებელ მრეწველობაში და სხვ.

პირობითად, თუ ბაზარზე სამი სუბიექტი (მაგალითისათვის, ხვედრითი წონებით 20%, 30% და 50%) ქმნის კონკურენტულობის მოჩვენებით სურათს, ჰერფინდალ-ჰირშმანის და ჩვენი ინდექსები ავლენს, რომ ბაზარი ძალზე კონცენტრირებულია (ანუ კონკურენტულობის დონე მცირეა). ხსენებული სამი პროცენტული მაჩვენებლის კვადრატების შეკრება გვაძლევს, რომ HHI აღწევს 3800-ს (რაც მნიშვნელოვნად აღემატება 2500-ს), ხოლო ჩვენი მეთოდოლოგიით, კონკურენციის ძალის I_1 ინდექსი 2-მდე ეცემა (ანუ R_1 -ის მნიშვნელობა ბაზრის ტევადობის ნახევარს აღწევს) და მონოპოლიზმის საფრთხე სახეზეა და მრავალფაქტორული აუდიტის ჩასატარებლად დამატებითი სტატისტიკური ინფორმაციაა საჭირო.

მრავალ განვითარებად ქვეყანაში, არსებული სტატისტიკური ბაზით, ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება ვერც HHI კონცენტრაციის დონის (რომლისადმი მოთხოვნები, ბუნებრივია, პერიოდულად იცვლება გარკვეული დიაპაზონის ფარგლებში) და ვერც ჩვენს მიერ შემოთავაზებული კონკურენციის ძალის მაჩვენებლების განსაზღვრა.

ბ) ცალკეული ქვეყნებისა და კომპანიების კონკურენტუნარიანობა

დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებით, რომ რეალიზებული ექსპორტის შეფარდება იმპორტთან (სხვადასხვა ინტერპრეტაციით) ქვეყნისა და კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამსახველ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლად შეიძლება გამოვიყენოთ. აღნიშნული ინდექსის შემადგენლები, საერთაშორისო ოფიციალურ წიგნად გამოცემებსა და ინტერნეტგვერდებზე, გარკვეული ცდომილებების მიუხედავად, შედარებით უკეთაც მოიპოვება. მზარდი ექსპორტი ქვეყნის დიდ შესაძლებლობებზე მეტყველებს და მისი, ისევე როგორც იმპორტის, სტრუქტურა მრავალმხრივე მსჯელობის საგანია. ამჯერად რამდენიმე მისანიშნებელ ტენდენციაზე გავამახვილებ ყურადღებას, რაც კონკურენტუნარიანობის გააზრებისათვის გვჭირდება.

საყოველთაო დაფიქრების საგანი უნდა გახდეს, რომ საქართველოზე ტერიტორიულად და ბუნებრივი შესაძლებლობებით ბევრად მცირე შვეიცარიის ექსპორტის შეფარდება იმპორტთან 1980 წელს, ჩვენი გაანგარიშებით შედგენდა - 1,016-ს, 1995 წელს - 1,199-ს, 2012 წელს - 1, 071-ს, მაშინ როცა საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი 2012 წელს საგანგაშო 0,499-ს შეადგენდა [3; 4; 5]. საყურადღებო და მისანიშნებელია, რომ ეკონომიკურად ჯერ კიდევ უძლიერეს ქვეყანაში - აშშ-ში, ამ მხრივ 80-იან წლების დასაწყისის სახარბიელო ტენდენცია 90-იანი წლების შუა პერიოდისათვის არსებითად გაუარესდა, მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჩინეთში, რამაც, ფაქტიურად, განაპირობა ამ ქვეყნის კომპანიების მსოფლიოს უძლიერესი კომპანიების სათავეში მოქცევა [იქვე].

12. მსხვილი ინდუსტრიისა და ინფორმაციული

სისტემების ალიანსების ეპოქა

ჩემი დამოკიდებულება სტრატეგიული ალიანსების მიმართებით [დანართი, ნახატი N9] ცალსახად უპირისპირდება მათ, ვინც ამაში მხოლოდ რეაქციულს ხედავს. თუ ალიანსს მეცნიერული პროგრესი და ეკონომიკური მიზანშეწონილობა ახლავს და ის არ წარმოადგენს ფარულ არაკეთილსინდისიერ შეთანხმებას სხვა ბიზნესების მიმართ, რა უფლება გვაქვს მასზე ცუდი ვთქვათ. მეცნიერულ-ტექნიკური

რევოლუციის თანამედროვე ეპოქაში, მსოფლიო ეკონომიკაში განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობს წარმოების საშუალებების ცნობილი განსაზოგადოების პროცესი და იქმნება სულ უფრო მსხვილი სამრეწველო, ინფორმაციული და სხვადასხვა მრავალდარგობრივი ეკონომიკური სისტემები და ბიზნეს-ობიექტები, რომლებიც კონტინენტების საზღვრებს სცილდება და სულ უფრო მეტი სახელმწიფოს პოლიტიკაზე ახდენს მზარდ გავლენას. ამ პირობებში, ბუნებრივია, საწარმოს და საერთოდ ეკონომიკური ობიექტის ზომის გაგება შეიცვალა. გასულ საუკუნეში და უფრო ადრე, თუ საწარმო მსხვილ ობიექტად შეიძლება ჩათვლილიყო, ახლა მისი მასშტაბები შეიძლება საშუალო საწარმოს კრიტერიუმსაც ვერ აკმაყოფილებდეს. ასევეა, მონოპოლიურობის თვალსაზრისითაც. ადრინდელი მონოპოლისტების მასშტაბები დღესდღეობით ნამდვილად არ წარმოადგენს მონოპოლიურს თითქმის არცერთ ერთგვაროვანი პროდუქციისა და მომსახურების საერთაშორისო ბაზარზე. თუმცა, როგორც გამონაკლისი, უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ჯერ-ჯერობით მიმდინარეობს განსაზოგადოების საპირისპირო პროცესი - მსხვილი ობიექტების დანაწევრება-პრივატიზება არ დასრულებულა და მონოპოლიები აქ არცთუისე დიდი მახასიათებლებით გამოირჩევიან საერთაშორისო კრიტერიუმებთან მიმართებაში.

ზოგს ჰგონია, რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარებულ ქვეყნებში, ეკონომიკა აბსოლუტურად თავისუფალია, რაც არ და არც უნდა წარმოადგენდეს სინამდვილეს. უფრო მეტიც, წარმოების საშუალებების განსაზოგადოებასთან ერთად, სახელმწიფო რეგულირება აქ სულ უფრო მატულობას და ანტიმონოპოლიური რეგულირებაც სულ უფრო მკაცრი და აქტუალური ხდება. ჯანდაცვისა და სოცურუნველყოფის თანამედროვე რეფორმები კი წამყვანი ეკონომიკური ლიდერების (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი, ჩინეთი) ეკონომიკურ სისტემებს სულ უფრო სოციალური ბაზრის ელფერს აძლევს. სოციალურმა ელფერმა, ბუნებრივია, შესაძლოდ არ უნდა ავნოს თავისუფალი კონკურენციის ზღვრულ ეფექტიანობას. პოლიტიკის ეფექტიანობა, მოგეხსენებათ, ხალხის საწყის ემოციურ აღიარებაში გამოიხატება, რაც გრძელვადიანი (სტაბილური) ეკონომიკური ეფექტიანობით უნდა დადასტურდეს.

აშშ-ს თითქმის საუკუნოვან ლიდერობას ბიზნესის სამყაროში, უმთავრესად, მძლავრი ანტიმონოპოლიური მექანიზმების მოქმედება განაპირობებს და, ამ მხრივ, აღსანიშნავია ანტიმონოპოლიური გამოცდილებებიც გერმანიასა და იაპონიაში, სადაც ადგილობრივ ანტიმონოპოლიურ სამსახურებთან საკმაოდ მკაცრად მიმდინარეობს შეთანხმებების პროცედურა აქციების გასხვისების, ქონების სასყიდლით თუ მემკვიდრეობით გადაცემისა და ტოპმენეჯმენტის დანიშვნის დროსაც კი, თუმცა, საერთაშორისო ბიზნესში ცალკეული მეგასახელმწიფოს მოქმედებებიც კი ვერ იქნება სრულყოფილი, თუ შესაბამისი საერთაშორისო აუდიტის ქმედითი მექანიზმები არ ამოქმედდა.

საერთაშორისო კონკურენციის გამწვავებასთან ერთად, მ.შ. განსაკუთრებით მაშინ, როცა საერთაშორისო კრიზისები ღრმავდება, ბიზნესები ცდილობენ შეამცირონ დანაკარგებისა და გაკოტრების რისკები და, რაც შეიძლება მეტად გაამრავლონ საკუთარი და სავარაუდო პარტნიორთა უპირატესობები და მათი მოქმედების არეალი, საბოლოო ჯამში, სიმდიდრე და ეფექტიანობა. ერთი შეხედვით, აღნიშნულ პროცესებში არაფერია გასაკვირი და ეკონომიკურად მიზანშეწონილიც, მაგრამ თუ ასეთი გაერთიანება-გამრავლების პროცესი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გზით ბაზრის დამაზიანებელი მონოპოლიზმის გამოვლინებებს მიიღებს, ის შესაძლოდ სწრაფად უნდა აღიკვეთოს ანტიმონოპოლიური სამსახურებისა და მომავალში სულ უფრო საჭირო მათი ალიანსების მიერ.

საერთაშორისო ბაზრებზე ჩვენს მიერ შენიშნული და განხილული „მოკლე ჩართვის“ მსგავსი უარყოფითი ეფექტების მომრავლების შემთხვევაში, ეფექტიანი სტრატეგიული ალიანსების შექმნა, ბუნებრივია, მიზანშეწონილიცაა. თუმცა, სტრატეგიული ალიანსების შექმნის პროცესი განსაკუთრებულ საერთაშორისო დაკვირვებას უნდა ექვემდებარებოდეს და მათი გადაჭარბებული ზრდა, შემაკავებელი ზომების გატარების გარეშე, დიდი სტაგნაციური დეპრესიებით შეიძლება დასრულდეს.

სტრატეგიული ალიანსების შექმნის ობიექტურ მიზეზებად შეიძლება მოგვევლინოს ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების ერთობლივი შექმნისა და გამოყენების აუცილებლობა, მოსალოდნელი შესაძლო კრიზისებისა და სხვადასხვა

გლობალური რისკებისაგან დაცვის საჭიროება, გამწვავებული კონკურენტული კონფლიქტების შემცირება, ზოგიერთი სახელმწიფოს გადამეტებული საგადასახადო, საინვესტიციო და სავაჭრო ბარიერების დაძლევა, ეფექტი (ეკონომია) ბიზნესის მასშტაბების ზრდის შედეგად და ა.შ.

შესაბამისად, შესაძლებელია, რომ, აუცილებლობის შემთხვევაში, სტიმული მიეცეს კეთილსინდისიერი სტრატეგიული ალიანსების შექმნის პროცესსაც, რომლის მონაწილე სუბიექტები ინარჩუნებენ მნიშვნელოვან ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და ექმნებათ საშუალება არსებითად გაზარდონ ბიზნესი და მისი ეფექტიანობა.

საერთაშორისო ალიანსის პროგრესული მაგალითად შეიძლება აღინიშნოს აშშ-სა და რუსეთის თანამედროვე მეცნიერული კვლევებისა და ინდუსტრიული თანამშრომლობის ალიანსი კოსმოსურ სივრცეში [3], როცა ცივი ომის პირობებში პოლიტიკურად ამ ორ უკიდურესად დაპირისპიებულ მხარეს ამჟამად პოლიტიკური დიალოგის პერსპექტივა გაუჩნდა, რაც განსაკუთრებით იმედისმომცემია საქართველოს ტიპის მცირე ქვეყნებისათვისაც.

საერთაშორისო ალიანსები შეიძლება შეიქმნას ელემენტარული არაფორმალური შეთანხმებების (დოკუმენტაციის გარეშე) გზით, ოფიციალური ხელშეკრულებების (მ.შ. ძირითადად ფრანჩაიზინგის, ლიზინგის, ლიცენზიებისა და სხვადასხვა უფლებების გადაცემის სახით) საფუძველზე, ერთობლივი საწარმოების დაფუძნებით, ჰორიზონტალური (მსგავსი სახის პროდუქციისა და მომსახურების მწარმოებელი ობიექტები), ვერტიკალური (ბიზნესინტეგრაცია ნედლეულის მომწოდებლიდან, პროდუქციის მომხმარებლამდე) და სხვადასხვა ურთიერთშემავსებელი ფორმებით წარმოებებისა და მომსახურებების გაერთიანების (სრული ან ნაწილობრივი შერწყმის) გზით.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კრიზისის გამწვავების უახლოეს წარსულში, შედგა ალიანსი ისედაც ბიზნესგიგანტებს - როტმილდების RIT Capital Partners და როკფელერების Financial Services შორის, განხორციელდა გერმანული და ფრანგული ტელეკომების გაერთიანება ამერიკულ სპრინტთან - The Deutsche Telekom/France Telecom/Sprint Alliance, ე. წ. გლობალური ვენჩურული ალიანსი Global Venture Alliance და სხვ [იქვე].

სტრატეგიულ ალიანსებსა და საერთოდ საერთაშორისო ბიზნესს, ბუნებრივია, მართვის თვისებრივად ახლებური (ინოვაციური) მექანიზმები და მეთოდები ესაჭიროება. ინოვაციური მენეჯმენტი, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ინოვაციური პროდუქტი, ახალ (გაუმჯობესებულ) მენეჯმენტს წარმოადგენს, რომელიც, შესაძლოდ სწრაფად, შემცირებული ხარჯებითა და გაუმჯობესებული ხარისხით უძღვება საქმეს და, შესაბამისად, არსებითად უმჯობესდება რენტაბელობის ROC, ROE, ROA, ROL, ROIC და სხვა პარამეტრები.

სტრატეგიული ალიანსების ინოვაციურ მენეჯმენტზე მოქმედი ფაქტორებიდან და შესაბამისი ქცევების მექანიზმებიდან, უპირველესად, აუცილებელია, აღინიშნოს კონკურენტული გარემოს არსებობა (ალიანსების მზარდი გლობალური მასშტაბების მიუხედავად), რომელიც მოთხოვნა-მიწოდების შესაძლოდ წონასწორულ პირობებს უზრუნველყოფს, კადრების უმაღლესი კვალიფიკაცია და ბიზნესის შესაბამისი მეცნიერულ-ტექნიკური დონე, პროგრესული რესურსებისა და ნედლეულის გამოყენება, წარმოებისა და მომსახურების რაციონალური განლაგება, კორპორაციული კულტურა და ორგანიზებულობა, მართვის მორალურ-ფსიქოლოგიური, ადმინისტრაციულ-მარეგულირებელი და ანალიტიკურ-ეკონომიკური (მოტივაციური) მეთოდების რაციონალური შეხამება, სავალუტო ბაზრებსა და საფონდო ბირჟებზე ცვლილებებისა და საგადასახადო კანონმდებლობათა განსხვავებებიდან დამატებითი შემოსავლების მიღების უნარები და სხვ.

13. მხოლოდ ინოვაციური მენეჯმენტი შეიძლება იყოს წარმატებული

ზოგადად ინოვაციური პროცესი ბიზნესში გამოიხატება ახალი სამეცნიერო იდეის დაბადებაში, შესაბამისი კვლევების ჩატარებასა და საბოლოოდ ტექნიკისა და ტექნოლოგიების გაუმჯობესებასა და დანერგვაში, პარალელურად, ახალი ბაზრების ათვისებასა და ახალი ნედლეულისა და მასალების პროგრესულ გამოყენებაში.

ხარისხიანი პროდუქციისა და მომსახურების ყიდვა იაფად, რა თქმა უნდა, რთული (თითქმის შეუძლებელი) საქმეა და ასეთ დროს ადამიანებისათვის მხსნელად მოვლენილმა ნოვატორულმა მენეჯმენტმა თავისი ახალი სიტყვა უნდა თქვას ეფექტიანი პირობების შექმნით ხარისხიანი პროდუქციის არსებითად იაფად დამზადებისათვის. ახლის ძიებაში მრავალი ადამიანი გენიოსად და წარმატებულ მეწარმედ ქცეულა და ინოვაციური მენეჯმენტის ბიზნესში წარმატების ერთ-ერთი განმაპირობებელი ინსტრუმენტია, რომელიც, ცნობილი მოდერნიზმის მიმართულების მსგავსად ხელოვნებაში, მნიშვნელოვნად ცვლის ყოველივე დახავსებულსა და დრომოჭმულს მართვის მანამდე არსებულ მიუღებელ ტრადიციებში.

მომხმარებელს განსაკუთრებით ახალისებს პროდუქციისა და მომსახურების ნომენკლატურის ხშირი ინოვაციური ცვლილებები, რამაც, თავ-თავის დროზე, დიდი წარმატებები და ლიდერის პოზიციები დაუმკვიდრა ეფლს, მაიკროსოფტს, ფორდ მოტორსს, აიბიემ-ს, ჰიულეთ პაკარდს, ბოინგს, მერსედესს, ბმვ-ს, ქენონს, ქსეროქსს, ჰონდას, იამაჰას და სხვა ცნობილ ნოვატორ მეწარმეებს.

მიზანშეწონილია, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ე.წ. ინოვაციურ დარგებს უმთავრესად თანამედროვე მეცნიერებატევადი ინდუსტრიული (მათ შორის ნანოინდუსტრიული) დარგები მივაკუთვნოთ, მათ შორის - კომპიუტერულ-ინფორმაციული ტექნიკის წარმოება, სარაკეტო და თვითმფრინავმშენებლობა, ზოგადად მანქანთმშენებლობა, ენერგეტიკული კომპლექსი, ნავთობ-ქიმიური და ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობა, თუმცა, ცალკეული ქვეყნებისათვის, შესაძლებელია, სხვა პრიორიტეტებიც არსებობდეს.

მაგალითისათვის, საქართველო, რომელიც უნიკალური სოფლის მეურნეობითა და ისტორიული მემკვიდრეობის კულტურით არის ცნობილი, შესაძლებელია, ამ მიმართულებებით მეცნიერული კვლევების განსაკუთრებული (მზრუნველი) პრიორიტეტიც მიენიჭოს.

ინოვაციური სტრატეგიული ალიანსების (ტრანსნაციონალური კომპანიების მულტიეროვნული გაერთიანებები ე.წ. შვილობილი და შვილიშვილი სამრეწველო-საფინანსო კონცერნებისა და სხვადასხვა სინდიკატების ქსელით) გამრავლების

პროცესი განაპირობებს სახელმწიფოთა ინტეგრაციული კავშირების ეკონომიკური საფუძვლების გაფართოებას, ბიზნესის აქამდე ტრადიციული ეროვნული პრიორიტეტების ეკონომიკურ მიზანშეწონილობაში ტრანსფორმაციას, მაღალრისკიან (ვენჩურულ) მეციერებატევად პროექტებში სახელმწიფოებისა და მათი კავშირების მონაწილეობის მეტად რეალურ მიზანშეწონილობას, თანამედროვე მეგატექნოპოლისების, კლასტერებისა და ტექნოპარკების გამრავლებას.

შეერთებული შტატების ანტიმონოპოლიურ გამოცდილებას ნამდვილად საუკეთესო შედეგები აქვს და ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი გარკვეულწილად ახასიათებს კონკურენციის დონეს, მაგრამ, ვფიქრობ, რომ, ახლა უკვე დამეთანხმებით, რომ მხოლოდ ერთი მეთოდი ვერ იქნება საკმარისად იდეალური კონკურენციის ურთულესი ფენომენისა და შესაბამისად ინოვაციური მენეჯმენტის შეფასებისათვის - საჭიროა მრავალფაქტორული შეფასებების კომპლექსი, მათ შორის ჩვენი, ლინდისა და ბევრი სხვა მეთოდით სიღრმისეული კვლევა.

14. სმითისა და ნეშის პოლარულად განსხვავებული პრინციპები ბაზრის შესახებ

ეკონომიკური აზრის გენიოსების - ადამ სმითისა და ჯონ ნეშის [15; 25; 58; 91] განკითხვისა და დაკნინებისაგან ღმერთმა დამიფაროს და, დასაწყისშივე, ხაზს ვუსვამ გარემოებას, რომ, კონკურენციის საკითხების სიღრმისეული მრავალფაქტორული კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მიზნად ვისახავ მათი პოლარულად განსხვავებული მოსაზრებების განზოგადებას ბაზრის სრულყოფილების შესახებ და, გამომდინარე, ჭეშმარიტებასთან მეტად მიახლოებას. როგორც ყველა ადამიანი, სმითიცა და ნეშიც არ იყვნენ დაზღვეული შეცდომებისაგან და, ბუნებრივია, მეც.

ცნობილია, რომ პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოს მამად აღიარებული სმითი თვლიდა, რომ, თავისუფალი ბაზრის პირობებში, ყოველი ადამიანი, ფიქრობს რა საკუთარ თავზე, მზარდი საკუთარი კეთილდღეობით, სარგებელს აძლევს

საზოგადოებასაც. ნემის აზრით კი, მხოლოდ საკუთარი ინტერესების დომინირებით, შესაძლოა, რომ ამ ინტერესების მატარებელმა სუბიექტებმა იმდენად შეუშალონ ერმანეთს ხელი, რომ ზიანი მიაღგეს ყველას და, შედეგად, მთლიანად საზოგადოებას, ამდენად, საკუთარი ინტერესების თავისუფალი მოქმედების პირობებში, საზოგადოების კეთილდღეობასაც არ უნდა მიაღგეს ზიანი, რათა მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს და გაწონასწორდეს საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები.

ნემის ე.წ. წონასწორული კონცეფციის მიხედვით, როგორც მ. ჩინჩალაძის სადისერტაციო კვლევაშია აღნიშნული, „თუ ყველა ოპონენტი ერთობლივად ირჩევს რაიმე კონკრეტულ სიტუაციას, მაშინ მოცემული აგენტისთვის წამგებიანია მათი საწინააღმდეგო ქცევის ტიპის არჩევა. ნემის პირობის დარღვევა გამოიწვევს აგენტისთვის არასახარბიელო სიტუაციის შექმნას. ზემოთაღწერილი პროცესი ცნობილია სტრატეგიული რეფლექსიის სახელწოდებით. ინფორმაციული რეფლექსია, როგორც ცნობილია, სტრატეგიულისაგან განსხვავებით, დამოკიდებულია მხოლოდ აგენტის ინფორმირებულობის ხარისხზე. ეკონომიკა უამრავი უხილავი და ურთულესი კავშირებისაგან შედგება. შეუძლებელია იმგვარი მოდელის შექმნა, რომელიც სრულად აღწერს ამა-თუ იმ რთულ ობიექტს, ძირითად სირთულეს ერთმანეთთან დაკავშირებული ცვლადების დიდი რაოდენობა ქმნის. მაგრამ, ეკონომისტებს არ აინტერესებთ აღნიშნული საკითხი, საერთო წონასწორული სისტემების ანალიზისას, მათ აინტერესებთ მხოლოდ ძირითადი თვისებები ან წონასწორობის პირობები. ანუ, მთავარია არა დეტალები, არამედ, ძირითადი კანონზომიერებანი, და ის, წონასწორობის პირობა ერთადერთია თუ რამოდენიმე. ასევე, მეტად მნიშვნელოვანია წონასწორობის მიღწევის მექანიზმების დადგენა. რაც შეეხება მოდელებს, მათი ნაწილი, შესაძლოა, ახლოა რეალობასთან და ამავდროულად საკმაოდ რთულია, ან პირიქით - მარტივია, მაგრამ შორსაა რეალობისაგან და, ამრიგად, შეუსაბამოა და გამოუსადეგარი“ [15, გვ. 4].

სმითის ეპოქის შემდგომ, კაცობრიობამ ურთულესი ეკონომიკური კრიზისები განიცადა და გასაგებია ნემის მცდელობა, შესაძლოდ ზუსტი მატემატიკური თანმიმდევრულობით, ოპტიმალური გამოსავალი იპოვოს ბაზრის მეტი სრულყოფილების უზრუნველსაყოფად.

ვფიქრობ, რომ თანამედროვე ეპოქაში აშკარად გამოიკვეთა ბაზრის სრულყოფილების ხელშემშლელი მთავარი მიზეზი - ადამიანების მიდრეკილება ფარული შეთანხმებებისაკენ სხვათა საზიანოდ, რაც არაკეთილსინდისიერ მონოპოლიებსა და შემოსავლების არაობიექტურ გადანაწილებას იწვევს. ამდენად, კერძო ინტერესების თავისუფალ მოქმედებასთან ერთად, აუცილებელია კვალიფიციური საერთაშორისო მონიტორინგის არსებობა კერძო ინტერესების დასაცავად და, როგორც ჩემს შრომებში ვცდილობ დავასაბუთო, ბაზარი და თავისუფალი კონკურენცია მეტად სრულყოფილი იქნება, რაც უფრო რაციონალურად (და არა უსასრულოდ) მცირე იქნება ბაზარზე ყველაზე დიდი მიმწოდებლის წილი [6, გვ. 10].

ზოგს რისი ნიჭი აქვს და ზოგს რისი და ბავშვობაში ძალიან მიყვარდა მათემატიკა - სკოლის წლებში ურთულესი სკანავის ამოცანებს, რომლებსაც პროფესიონალები საათობით ხსნიდნენ, ერთი შეხედვით ვხსნიდი. ერთი შეხედვით მარტივი ეკონომიკა, მათემატიკაზე ბევრად უფრო რთულია და მეტ ცხოვრებისეულ გამოცდილებასაც მოითხოვს. მათემატიკის სიყვარული ახლა ეკონომიკურ ალგორითმში გადამეზარდა და გულით ვცდილობ, რომ თქვენთან, როგორც მზრუნველ დაინტერესებულ მკითხველთან ერთად, ადამიანების უკეთ ცხოვრებისთვის ვიზრუნოთ.

საერთაშორისო ეკონომიკურმა კრიზისებმა და მიმდინარე რეფორმებმა დაგვიდასტურა, რომ კონკურენციას განსაკუთრებული დაცვა სჭირდება. უფრო მეტიც, მომრავლდნენ ისეთი „რეფორმატორები“, რომლებიც ფარულ მონოპოლიებს კეთილსინდისიერ სტრატეგიულ ალიანსებთან აიგივებენ და თვლიან რომ ფარულ მონოპოლიებთან მითიური ბრძოლა საერთოდ აზრს მოკლებულია, ვინაიდან, შერწყმა-გაერთიანებით კომპანიები, მასშტაბის ეკონომიის შედეგად, ხარჯებს ამცირებენ და, შედეგად, პროდუქციასა და მომსახურებასაც აიაფებენ, რაც განსაკუთრებით მოსწონს მომხმარებელს.

ტექნიკური პროგრესი ეკონომიკის განსაზოგადოების დონის ზრდასა და სტრატეგიული ალიანსების ზომიერ მომრავლებასაც განაპირობებს, შესაბამისად, სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის მატებასაც გონივრულ ფარგლებში. ნემი,

როგორც მათემატიკოსი, ცდილობდა აეხსნა აღნიშნული მოვლენა მათემატიკურად, მაგრამ, ბუნებრივია, ის ვერ ჩამოაყალიბებდა კონცეფტუალურად დასაბუთებულ ეკონომიკურ თეორიას აღნიშნულთან დაკავშირებით. ამასთანავე, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ის თავის კვლევებში არ შეხებია კონკრეტულად კონკურენტთა დიდი რაოდენობის საკითხს და, ბუნებრივია, ვერც იფიქრებდა მისი ზომიერების აუცილებლობასაც.

15. ეკონომიკის სტრუქტურის ეფექტიანობის შეფასების ევროკავშირის მეთოდის განვითარება ფარული მონოპოლიებისა და სილატაკის სწრაფი დაძლევისთვის

უნიკალური ბუნებრივი პირობებისა და ნიჭიერების ქვეყნები, გარკვეულ ისტორიულ პერიოდებში უღარიბეს მდგომარეობაში აღმოჩენილან და ისტორიას ახსოვს მათი უსწრაფესი ტემპებით მდგომარეობიდან გამოსვლის მაგალითები 5-10 წელიწადში, მაშინ, როცა აღნიშნულს, საშუალოდ, სულ მცირე 20-30 წელი ესაჭიროება. ასეთივე მაგალითები შეიძლება ითქვას ბიზნესმენებზეც, რომელსაც, განსწავლულობისა და ბიზნესის ორგანიზებაში ნიჭიერების წყალობით, სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში, მილიარდობით ქონება დაუგროვებიათ.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, თვალსაჩინო მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ აშშ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მოღვაწეობა ბიზნესისა და ახლა უკვე პოლიტიკურ-ეკონომიკური რეფორმების სფეროში [24; 92], ბილ გეიტსის მოღვაწეობა და მისი წიგნი „ბიზნესი ფიქრის სიჩქარით“ [93-94], ამერიკელ-ავსტრიელი ეკონომისტის - როზენშტეინ-როდანის ე.წ. „დიდი ბიძგის“ თეორია [95], სამხრეთ კორეის სწრაფი დაწინაურება აშშ-ს დახმარებით [96], ქართველი ბიზნესმენის - ბიძინა ივანიშვილის მოღვაწეობა ისტორიული აღმშენებლობისა და მეცნიერების მხარდაჭერის საქმეებში [97], ჩინეთის არნახული ნახტომი ეკონომიკურ ზრდაში და კიდევ უფრო დიდი პერსპექტივები, რეგულირებისა და თავისუფალი ზონალური მექანიზმების სინთეზით რეგიონებში [98], რასაც ჩვენ ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში ვითხოვდით.

ჩემი თეორიული მიდგომა, პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, გულისხმობს ყველაზე კონკურენტული ბუნებრივი უპირატესობების მიხედვით იმ სტრუქტურული ძვრების დამატებით მხარდაჭერას, რომლებიც მაქსიმალური ეფექტიანობით გამოირჩევიან და შედეგად, სტრატეგიაში, მათგან მიღებული შემოსავლების დახმარებით, ჩამორჩენილი რეგიონების მხარდაჭერასაც.

სწორედ ზემოაღნიშნულის მიზნით, სტრუქტურული ძვრების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის, რაც უმნიშვნელოვანესია ოპტიმალური ფინანსური მდგრადობისა და, შესაბამისად, კაპიტალის არაეფექტური ხელოვნური გადადინებითა და სუბიექტური (ხშირ შემთხვევაში კორუფციული) გადაწყვეტილებებით გაბერილი ხარჯების შემცირებისათვის, მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ევროკავშირის კომისიის ექსპერტთა მიდგომის ჩემი განვითარება – ე.წ. ეკონომიკური სტრუქტურის ეფექტიანობის შეფასება, რომელიც აპრობირებულია საერთაშორისო ეკონომიკურ წრეებში და შესაძლებელია დაინერგოს ინოვაციურ საერთაშორისო მენეჯმენტში რენტაბელური მიმართულებების აუდიტისა და სტიმულირებისათვის ეკონომიკური სტრუქტურების (მ.შ. ორგანიზაციული, ასაკობრივი, სახეობრივ-ტექნოლოგიური, აღწარმოებითი და სხვ.) ეფექტიანობის დადებითი გავლენის ამაღლების მიზნით, განსაკუთრებით, კრიზისული მოვლენების გამწვავების დროს და შემდგომ (გრაფიკული ინტერპრეტაცია იხილეთ დანართში [ცხრილი N10]):

$$E = \sum [(E_{io} + E_{it}) / 2] \Delta_i;$$

$$i = 1; 2; \dots; n$$

სადაც, **E** – სტრუქტურის ეფექტიანობაა დროის **t** მონაკვეთში;

E_{io} – სტრუქტურის შემადგენელი **i**-ური ელემენტის საწყისი ეფექტიანობაა;

E_{it} – სტრუქტურის შემადგენელი **i**-ური ელემენტის ეფექტიანობაა **t** მონაკვეთის დასასრულისათვის;

Δ_i – გამოყენებული რესურსის სტრუქტურის შემადგენელი **i**-ური ელემენტის ხვედრიწონის ცვლილებაა დროის **t** მონაკვეთში;

i = 1; 2; ...; n – სტრუქტურის შემადგენელი ელემენტი.

საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისის გამწვავების დროს, სხვადასხვა ხარჯების მატების გამო განსაკუთრებით სწრაფი ეკონომიკური განვითარების

აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება სწრაფად განვთავისუფლდეთ მოძველებული და გამოუყენებელი ტექნიკისაგან და დამატებითი ინოვაციური სტიმულები მივცეთ სტრუქტურის ეფექტიან შემადგენლებს (და არა გამოუყენებელ წამგებიანებს, რაც ხარჯების დამატებით გადიდებას გამოიწვევს ისედაც შეზღუდულ პირობებში), რათა მათი შემოსავლების ხარჯზე დავაწინაუროთ ჩამორჩენილი ელემენტებიც. ასეთ დროს, ზემოაღნიშნული სტრუქტურის ეფექტიანობა აუცილებლად დადებით ნიშნულზე უნდა დაფიქსირდეს, ამასთანავე, არსებითი მატების ტენდენციით.

16. კონკურენციის გავლენა ტემპებსა და პროპორციებზე მსოფლიო ეკონომიკაში

კეთილსინდისიერი კონკურენციის პრიორიტეტულ მნიშვნელობაზე უკვე მოგახსენეთ კვლევის წინამდებარე ნაწილებსა და ადრინდელ შრომებში [3; 4; 5], სადაც დასაბუთებულია, რომ კონკურენცია ფუძემდებლურ (განმსაზღვრელ) გავლენას ახდენს პროგრესისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საგანმანათლებლო სისტემაზე, მეცნიერულ–ტექნიკურ ინოვაციებსა და, საბოლოო ჯამში, საზოგადოების ეფექტიან მართვაზე.

ამჯერად, საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, მსოფლიო ეკონომიკაში ეკონომიკური ზრდის ტემპებსა და პროპორციებში კონკურენციის გავლენაზე შევჩერდები, რაც, ვფიქრობ, მისანიშნებელი იქნება როგორც დიდი, ასევე, მცირე ქვეყნებისთვის.

მსოფლიოში განხორციელებული ისტორიული მოვლენები ცივი ომის აცილებისა და რკინის კედლის ნგრევის სახით, კარგ საშუალებას იძლევა განზოგადებისთვის. მესამე ათასწლეულამდე, მსოფლიო, შეიძლება ითქვას, 2 ერთმანეთისათვის უმეტესწილად ჩაკეტილი ეკონომიკური სისტემის სახით იყო წარმოდგენილი, რომელთა შორის კედელი დაინგრა და კონკურენციას მეტი გასაქანი მიეცა, თუმცა, კეთილსინდისიერი კონკურენციის დადებითი გავლენის პოტენციალი, ბუნებრივია, ჯერ შესაძლოდ სრულად არ ამოქმედებულა, რაც, ჩემი აზრით, ეკონომიკის

ობიექტური კანონზომიერებებით განვითარების შემთხვევაში, დაახლოებით კიდევ 5-7 წელს კიდევ მოითხოვს.

ე.წ. რკინის კედლის რღვევის დასაწყისისათვის (1990 წ.), მსოფლიოს ეკონომიკის ზრდის ტემპი შეადგენდა 2,0%-ს შეადგენდა [99, გვ. 235], 2012 წელს კი, ციკლური რყევების საერთაშორისო კრიზისის უარყოფითი გავლენის მიუხედავად – 2,4% შეადგინა, რაც, პროგნოზული გათვლებით, 2017 წლისათვის კიდევ 0,8 პროცენტული პუნქტით აიწევს [100; იხილეთ დანართიც, ცხრილი N11].

მისანიშნებელია, რომ განვითარებად ქვეყნებს შორის განსაკუთრებული ტემპებით გამოირჩევა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი უმსხვილესი ჩინეთი [დასახელებული წყარო], ხოლო მაღალი შემოსავლების ქვეყნებში – რუსეთი [იქვე]. განსაკუთრებით მაღალი ტემპებით, როგორც წესი, გამოირჩევიან სტაბილურად საუკეთესო კონკურენტული პირობებით ცნობილი შედარებით მცირე ქვეყნები – შვეიცარია, ბელგია, დანია, ლუქსემბურგი და სხვ [99-102]. არანაკლები გეოპოლიტიკური და ჰიდრო-რესურსული პოტენციალი გააჩნია საქართველოს, რომელიც რეფორმების სტაბილურად გაგრძელების შემთხვევაში, აუცილებლად გამოავლენს თავის საუკეთესო შესაძლებლობებს.

მსოფლიო ეკონომიკაში კონკურენციის არეალის გაფართოებასთან ერთად, არსებითად შემცირდა სიღარიბის დონე [101, იხ. დანართიც, ცხრილი N12], თუმცა, განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 75%-ს ჯერ კიდევ 4\$-ზე ნაკლები შემოსავალი აქვს დღეში და ამ ქვეყნების 60 წლის ასაკის მოსახლეობა, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, უფრო მაღალი სიკვდილიანობით ხასიათდება (კაცები 2,5 ჯერ მეტი, ქალები 4-ჯერ მეტი).

კონკურენციის არეალის გაფართოებამ მსოფლიოში, არსებითად შეცვალა ეკონომიკური პროპორციებიც (კუსტარული სოფლის მეურნეობა 5%-იან ნიშნულზე დაბლა დაეცა, მრეწველობა, მ.შ. თანამედროვე აგრო და სამშენებლო ინდუსტრია 33%-ის დონეზე დასტაბილდა, ხოლო მეტწილად მცირე ობიექტებით დაწინაურებული მომსახურების სფერო 63%-მდე [99, გვ. 237] გაიზარდა), რამაც, უახლესი პერიოდისათვის, განსაკუთრებით იმოქმედა უპირატესად ინოვაციური ინტელექტუალური დარგების (მეცნიერებატევადი კომპიუტერული მომსახურება,

ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ელექტრონიკა, რობოტოტექნიკა, ინფორმაციული სისტემები) განვითარებაზე.

17. კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის განვითარების საკითხები

კონკურენციის საკითხებზე კანონმდებლობის შესახებ პროგრესული საერთაშორისო გამოცდილება დეტალურადაა განხილული ჩემს შრომებში [3; 4; 5; 6] და ჰეფინდალ-ჰირშმანის მეთოდის ხარვეზებზეც მოგახსენეთ წარმოდგენილი კვლევის დასაწყისში, ახლა კი სწრაფადმზარდი საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის პირობებში მოქმედი ახალი კანონის შესახებ ვეცდები მოგახსენოთ.

საჭიროა ხაზი გაესვას გარემოებას, რომ ზემოაღნიშნული მაღალი ტემპების უზრუნველსაყოფად, განვითარებული ქვეყნების გამოცდილებით, არც ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს კანონმდებლობა არის დაზღვეული ბუნებრივი ხარვეზებისაგან, რაც, დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შემდგომი გონივრული განხილვების საფუძველზე, დროულად უნდა გასწორდეს.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის [42] მე-3 მუხლის „ი“ პუნქტის თანახმად, „...ეკონომიკური აგენტი/აგენტები არ ჩაითვლება/ჩაითვლებიან დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ ის არ განიცდის მნიშვნელოვან კონკურენციას სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან...“

ჩემი აზრით, დომინირებული მდგომარეობის შეფასება დასაზუსტებელია, როგორც ტერმინოლოგიური, ასევე, რაოდენობრივი თვალსაზრისითაც. თუ დომინირებულობა ყველაზე მეტობას გულისხმობს (რაც სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ამას უნდა ნიშნავდეს), მაშინ რატომ 40 და არა 35 ან 30. უალტერნატივოდ დომინირებული მხოლოდ და მხოლოდ 50-ზე მეტი შეიძლება იყოს.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, განვიხილოთ სიტუაცია, როცა ბაზარზე 2 მსხვილი მიმწოდებელია 41 და 42 პროცენტული ხვედრითი წონებით და სხვა მიმწოდებლებზე მოდის დანარჩენი 17%. გამოდის, რომ 41%-იანი მიმწოდებელიც დომინირებულ მდგომარეობაშია, მაგრამ ის არ განიცდის, თუ განიცდის მნიშვნელოვან კონკურენციას 42%-იანი უფრო დომინანტის მხრიდან? მაშასადამე, ამ და სხვა მრავალ შემთხვევებში, მე-3 მუხლის „ი“ პუნქტი ურთიერთგამომრიცხავ სიტუაციებს აერთიანებს.

ვფიქრობ, დომინირებული მდგომარეობა ცალსახად 50%-ზე მეტია, რაც განსაკუთრებული დაკვირვების საგანი უნდა გახდეს კონკურენციის ახლადშექმნილი სააგენტოს მხრიდან, რომელმაც უკვე გამოიჩინა თავი თავისი აქტიური გონივრული მოქმედებებით.

თუ დომინანტი შეიძლება მხოლოდ იმ მიმწოდებელს ვუწოდოთ, რომელიც ბაზრის ნახევარზე მეტს „აკონტროლებს“, მონოპოლიზმისაკენ მიდრეკილება, საერთაშორისო გამოცდილებით, შეიძლება შევაფასოთ 20 და 30%-იანი ხვედრიწონებითაც, როცა ზოგიერთი უკვე ამ დონეზეც ახერხებს ბაზრის „გაკონტროლებას“.

შესაბამისად, საქართველოს პირობებში, როცა ახალგაზრდა ეკონომიკა მნიშვნელოვნად განიცდის მონოპოლიების გავლენას, 40%-იანი ნიშნული 30%-მდე მაინც უნდა დავწიოთ და მას კონცენტრაციის ზღვარი ვუწოდოთ. 40%-იანი ზღვარი კი შეიძლება შენარჩუნდეს მაღალმთიანი რეგიონებისათვის, სადაც, ბუნებრივია, მნიშვნელოვანწილად ნაკლებია ბაზრის „მოთამაშე“ მიმწოდებლები.

აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთისა და ეკონომიკურად სწრაფადმზარდი ჩინეთისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითებით, გასათვალისწინებელია, აგრეთვე, კონკურენციის მონიტორინგისა და დაცვის სამსახურების 2, 3 ან 4-რგოლიანი ინსტიტუტების შექმნის გამოცდილება. თუ, ამ შემთხვევაში, სააწყის ეტაპზე, ზომიერ შუალედურ პოზიციას დავიჭერთ და 3-რგოლიან სისტემას შევქმნით, ჩვენი აუცილებლობებიდან გამომდინარე, „კონკურენციის სააგენტოს“ ზედამხედველობით, მიზანშეწონილია, 2 მობილური კომისია შეიქმნას, მ.შ. იუსტიციის სამინისტროსთან – საწარმოთა შერწყმის

მონიტორინგის კომისია, ხოლო ფინანსთა სამინისტროსთან – ფასების მონიტორინგის კომისია, რომელიც ე.წ. „მტაცებლურ დემპინგს“ და სხვა მონოპოლიურ მიდრეკილებებს დააკვირდება, ან უნიკალური ქართული აგრობაზარზე მომუშავე კომისია.

რაც შეეხება ბაზარზე კონკურენციის დონის ანალიზს, აქ, კონკურენციის ობიექტური კანონზომიერების ჩემი შეფასებების საფუძველზე, მიზანშეწონილია, მრავალფაქტორული მიდგომების გამოყენება, მ.შ. კონკურენტთა რაოდენობის, ყველაზე მსხვილი მიმწოდებლის, არარეალიზებული და ფალსიფიცირებული პროდუქციის (რამაც სახიფათოდ იმატა გახანგრძლივებული საერთაშორისო კრიზისის შემდეგ, როცა გართულებულია წესიერი გზებით ოპერირება ბაზარზე) ინდექსების მონაწილეობით, რაც, შედეგად, ეკონომიკური სტრუქტურის აუცილებელი ეფექტიანობის შეფასების ევროკავშირის მეთოდოლოგიის განვითარებას შეიძლება დავუკავშიროთ.

ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში, უნდა ვეცადოთ კონკურენციის რაციონალური (სარეკომენდაციოდ ეფექტიანი) ინტერვალის განსაზღვრას კონკურენციის მრავალფაქტორული აუდიტის ზემოაღნიშნული ინსტრუმენტებით და, რაც არ უნდა დომინირებული იყოს კონკურენტი, მისი უდანაშაულობის პრეზუმფცია არ უნდა დაირღვეს - თუ ის კეთილსინდისიერია, სავარაუდოდ, მას უნდა აწყობდეს რაციონალური კონკურენციის სარეკომენდაციო ინტერვალის გარემოში ოპერირება.

18. კონკურენტული მენეჯმენტი სინათლის სიჩქარით

გენიალური კომპიუტერული პროგრამების მწარმოებელი მულტიეროვნული ტექნოლოგიური კომპანია Microsoft-ის თანადადამფუძნებელ ბილ გეიტსა და მის წიგნზე „ბიზნესი ფიქრის სიჩქარით“ [93-94] უკვე მოგახსენეთ. კომპიუტერმა ნამდვილად შეცვალა ბიზნესი და მსოფლიო საერთოდ, უფრო სწრაფი და ხარისხიანი გახადა ბიზნესკონტაქტები და წარმოებისა და მომსახურების პროცესებიც, საბოლოო ჯამში.

ვფიქრობ, გენიოსი ბილ გეითსიც დაგვეთანხმება, რომ სულ უახლოეს წარსულში თუ ბიზნესი ფიქრის სიჩქარით ვითარდებოდა, ახლა უკვე სინათლის სიჩქარეები ამუშავდა, ისე განვითარდა უკვე მფრინავი და სუპერმგრძობიარე მობილური ტექნოლოგიები.

განსაკუთრებით სწრაფი სიჩქარეები გვჭირდება ადამიანის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ჯანდაცვის მენეჯმენტში, თავდაცვით სამხედრო ინდუსტრიაში, მანქანათმშენებლობის ქვედარგებში.

უახლოეს წარსულში, მენეჯერული კადრების კვალიფიკაციური შესაბამისობისათვის გადამზადება ყოველ 5 წელიწადში აუცილებლობას თუ წარმოადგენდა, ამჟამად - ყოველი მენეჯერი კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივ პროცესში უნდა იყოს ჩართული, თუ გვინდა, რომ კონკურენტულობის სათანადო დონე შევინარჩუნოთ.

აღნიშნულ საკითხებზე გამოვაქვეყნე შრომა „მენეჯმენტი სინათლის სიჩქარით (სამართლიანი კონკურენციისათვის ჯანდაცვის პერსონალის მაგალითზე)“ [21], რაც, ვფიქრობ, გარკვეულ სარგებელს გაუწევს სტუდენტებს, სპეციალისტებსა და საკითხით დაინტერესებულ მასობრივ მკითველსაც.

ყველა ბიზნესმენის უმთავრესი სწრაფვა მოგების მაქსიმიზაციაა და ეს სწრაფვა იწვევს ობიექტურ შეჯიბრს (კონკურენციას) ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად. საშუალოდ, მოგება ხარჯებს 10–15%-ით ამეტებს, თუმცა ნოვაციურ და ზოგიერთ პერიოდულად განსაკუთრებით მოთხოვნად ბიზნესებზე მოგება 40–50%-ით, ხოლო იარაღით და ნარკოტიკებით ვაჭრობის შავ ბიზნესებზე 200–300%-ითაც ამეტებს (ექსპერტული შეფასებებით) ხარჯებს. თუმცა, ახლახან შევნიშნე და ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა 10000%-ზე მეტი მოგების (რენტაბელობის) "ბიზნესები" აღმოვაჩინე. მაგალითისათვის, 1 ლარიანი ფალსიფიცირებული ტექნიკური ზეთები ავტომანქანებისათვის, "გონივრული" (მატყუარა) შეფუთვის შედეგად, 100\$-ად იყიდება, ან, როცა გამჭვირვალე გარემოს გაფართოების მიუხედავად, ზოგიერთი თავსგასული „მკურნალი“ გაუბედურებულ ავადმყოფებს ფალსიფიცირებულ წამლებსაც კი აწვდის. ეს, რა თქმა უნდა, ბიზნესი აღარაა, თუმცა, ეს ზღვარსგადასული თაღლითობა ბაზარზე აქტიურ და სუპერსწრაფ ანტისუბიექტად

გვევლინება და დაკვირვებასა და ასეთსავე სწრაფ გამოვლენას საჭიროებს სინათლის სიცხადითა და სიჩქარეებით.

ბაზრის კონკურენტულობის შეფასების ჩვენი მეთოდის სიახლე ანტიმონოპოლიურ მეთოდოლოგიაში Ro ინდექსის შემოტანაშიცაა, რომელიც ხარისხზე და არარეალიზებულ პროდუქციაზე მუდმივი დაკვირვების საჭიროებას უსვამს ხაზს.

მხოლოდ მაღალკვალიფიციურ ექსპერტთა დიდ ჯგუფებს ძალუძთ ასეთი დაკვირვება და ამ საქმიანობამ არ უნდა დააყოვნოს, რათა დროზე სათანადოდ ამუშავდეს არაკეთილსინდისიერად გამდიდრებული ფარული მონოპოლიებით დანგრეული ჩვენი (და არა მხოლოდ ჩვენი - განვითარებულ ქვეყნებშიც) უნიკალური დარგები, მ.შ. სოფლად.

19. რაციონალობა - სიახლე და გადაუდებელი საჭიროება კონკურენტთა რაოდენობისა და კონკურენციის ძალის მაქსიმალური უკუგებისთვის

ადამიანების განათლების დონე და ტექნიკის პროგრესულობა თუ განასხვავებს ადამიანების ეპოქებს შემოსავლებსა და ცხოვრების ხარისხში, ეს ყველაფერი შეიძლება წყალში ჩაგვეყვაროს, თუ რაციონალური კონკურენციის ინტერვალი ვერ შევინარჩუნეთ და მონოპოლიური აპატიტების ბიზნესს დავუთმეთ ასპარეზი.

ექსპერტული შეფასებებით ჩატარებულმა ჩვენმა კვლევამ გვაჩვენა, რომ კონკურენციის ინდექსები საქართველოს ეკონომიკის აბსოლუტურად ყველა დარგში ჯერ კიდევ დასაშვებზე ბევრად უარესია და ხსენებული საკითხის თვითდინებაზე მიშვება ან, მუდმივი მეტ-ნაკლები პრობლემების გამო, მობეზრება, აქტიური ქმედებების შესუსტება და ხელის ჩაქნევა არაფრით შეიძლება. ქრისტიანული მოძღვრებაც გვასწავლის, რომ გამრჯე შრომა ყველას მართებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითრეგულირება და მონოპოლიების შემყურე ყოფნა ვერაფრით გვიშველის. ამასთან, გასათალისწინებელია, რომ კონკურენტების ხელოვნური მცდელობით მატება ყოველთვის არ ნიშნავს

ეფექტიანი გარემოს შექმნას. გარკვეული რაციონალური რაოდენობის შემდეგ, კონკურენტების ქაოტური ზრდა ეფექტიანობის ძალზე სწრაფ ვარდნას იწვევს.

ამდენად, კონკურენციის დონეს მეტად კვალიფიციური მუდმივი დაკვირვება ესაჭიროება, რომ კონკურენციის დონე ისეთ რაციონალურ დონეზე შენარჩუნდეს, რომ ეკონომიკურ ზრდის პოსტკრიზისული ტემპები 10%-ზე დაბლა არ ჩამოვიდეს და მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევა და შენარჩუნება მოხერხდეს.

საზოგადოებას კარგად ახსოვს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში, ხელოვნურად გაჩაღებული საომარი კონფლიქტების პარალელურად, ქვეყანამ ქართული კუპონის არნახული ჰიპერინფლაცია როგორ იწვინა, რის გამოც, 1994 წელს, საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილზე აღმოჩნდა მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მიხედვით (მ.შ. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გათვალისწინებით). მას შემდეგ, საბედნიეროდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, ამასთანავე, შიდა რესურსების მობილიზებით, მოხერხდა ჰიპერინფლაციის მწვავე პრობლემის მნიშვნელოვანწილად გადაჭრა, თუმცა, ვალუტის რეალური სტაბილურობისათვის აუცილებელი წარმოებისა და მ.შ. ექსპორტის სათანადო დონეზე დაწინაურება ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემების რიგში რჩება.

ჩვენი აზრით, აღნიშნულის მთავარ მიზეზს უხილავი საერთაშორისო და შიდა არაკეთილსინდისიერი მონოპოლიები წარმოადგენს, რომლებიც უნიკალური სიმდიდრეების მქონე ქართულ სოფელსა და მთლიანად ეკონომიკას, შეიძლება ითქვას, ხრავს და ანადგურებს. ვიმედოვნებთ, რომ მონოპოლიების პრობლემა სახელმწიფოს ძალისხმევითა და საერთაშორისო დახმარებით აუცილებლად დაიძლევა. ოღონდ, ამ ძალისხმევამ არ უნდა დააყოვნოს, ვინაიდან, პრობლემა საგანგაშოდ გახანგრძლივდა და აუცილებელია ქართული ფენომენის პოტენიალის სწრაფად და შესაძლოდ სრულად ამოქმედება და მაკროეკონომიკური დაგეგმვისა და ზომიერი რეგულირების სხვა პროგრესული მეთოდების გამოყენება დასავლეთის ეკონომიკური “ლომებისა” და აზიური “ვეფხვების” გამოცდილებით.

როგორც საქართველოს საგადასახადო კოდექსით გადაჭარბებულად გამარტივებული ამორტიზაციის ნორმები, „კონკურენციის შესახებ“ კანონიც ჯერ კიდევ ძალზე უნიფიცირებულია. ეკონომიკის დარგებსა და რეგიონებს მკვეთრად განსხვავებული მრავალი სპეციფიკა ახასიათებს, რასაც კანონი მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს. შეიძლება, რომ სუპერთანამედროვე და მოძველებული მოდელის მანქანებს ერთნაირი ნორმები ჰქონდეთ, ან მაღალი მთისა და დედაქალაქის ბაზრებს ერთი საზომით ვუდგებოდეთ?

კონკურენციის ძალის შეფასების ჩვენი მეთოდოლოგიის საფუძველზე ექსპერტული შეფასებებით ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ კონკურენციის ინტეგრალური კოეფიციენტის რაციონალური საშუალოშეწონილი ინტერვალები, დარგების მიხედვით, მკვეთრად განსხვავებული შეიძლება იყოს:

რეგიონალური თვალსაზრისითაც, ის ნორმები, რომლებიც თბილისისა და სხვა მსხვილი დასახლებებისათვის ოლიგოპოლიურობის დაუშვებელი ხარისხის მანიშნებელი შეიძლება იყოს, პროგრესულ ნორმებად შეიძლება ჩაითვალოს მაღალმთიანი მცირედდასახლებული რეგიონებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ ქმედითი ანტიმონოპოლიური მექანიზმების განსაზღვრა და შემდგომი სრულყოფა კონკურენციის ახლადშექმნილი სააგენტოს სპეციალისტების დამატებით კვლევებს საჭიროებს.

საერთაშორისო მონოპოლიების მავნეობა თვალსაჩინოდ დადასტურდა ქართული სოფლის მაგალითზე. აქ ქართული სოფლისა და მისი პროდუქტების უნიკალობაზე აღარ შევჩერდები, ეს ისედაც კარგად არის ცნობილი მკითხველისათვის. არც კარგა ხანია მნიშვნელოვანწილად დაცარიელებულ ქართულ სოფლებზე და გადარიბებულ ფერმერებზე შეგაწყენთ - ვფიქრობ, ახლა არც ხუმრობის დრო არის და უპირველესად მეტი გონიერება გვმართებს ჭეშმარიტ რწმენაში მომძლავრებისა და არსებითის მოგვარებისთვის.

არის დრო, როცა საქმის გადადება და შეცდომები ყველაზე ძვირად ფასობს და ინფლაციური შოკებიც იმიტომ გვახსენებენ ხშირად თავს. სწრაფი მოქმედების დრო დადგა და მიზნები ოპერატიული და საუკეთესო უნდა

დავისახოთ - საქართველოს ისედაც ძალზე მრავლად ჰყავს მსოფლიო რანგის მოღვაწე და ჩემპიონი და კეთილსინდისიერ ბიზნესშიც მიზანდასახულობა უმაღლესი უნდა იყოს. რამდენი უნიკალური და ნიჭიერია ჩვენთან და ურთიერთპატივისცემამ და შრომისმოყვარეობის დაფასებამ რომ იმრავლოს, ბევრად უკეთ ვიცხოვრებთ. ამასთანავე, მცირერიცხოვან და რთული რელიეფის მთიან ქართულ სოფელში ადამიანს არაკეთილსინდისიერი მონოპოლიები როგორმე მალე უნდა მოვაშოროთ და კოოპერაციის ძალა და სიკეთე შევაშველოთ, თორემ, მარტოკა, ფერმერულ-გლეხური მეურნეობა ვერასდროს მოაგვარებს კონკურენტუნარიანი ფასების მუდმივად საჭირო მინიმუმებისა და ხარისხის შენარჩუნებისათვის აუცილებელი ტექნიკის პრობლემას. ამასთანავე, დამატებით, მიზანშეწონილია, ექსპორტიორების სახელმწიფო გარანტირებული დაზღვევისა და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი გადამამუშავებელი საწარმოების შეთავაზებაც პროგრესული ტექნოლოგიების იაფი ლიზინგის გამოყენებით.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საფუძვლებიდან ვიცნობ საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს, მათ შორის სამთავრობო სტრუქტურებში და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მრავალი წესიერი ადამიანი იღწვოდა ჩვენს ხელისუფლებაში, მაგრამ მათ არ შეეძლოთ და არ შეუძლიათ რესურსებზე დაუძლეველი ფასების ინფლაციის პრობლემის რეალური მიზეზების მოგვარება.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, მივყვეთ ლოგიკურ მსჯელობას, რომ ერთობლივი ძალისხმევით იქნებ როგორმე მოვაგვაროთ ინფლაციური შოკების სახიფათო პრობლემა. ქვეყანაში თუ წარმოება და კონკურენტუნარიანი ექსპორტი არ იქნება, ვალუტის გამყარების (მ.შ. ეროვნული ბანკის ინტერვენციები) ღონისძიებები მხოლოდ კოსმეტიკურ ეფექტს მოახდენს და, თუ მეზობელ ქვეყნებში მოთხოვნა გაჩნდება სტაბილურ ვალუტაზე, ჩვენი ისედაც მცირე სავალუტო რეზერვები გადადინებას დაიწყებს. ეს გადადინება უფრო და უფრო გაძლიერდება ფარული ნაკადების გაჩენის შემთხვევაში.

ამდენად, თუ განვითარებულ ქვეყნებში ექსპორტის ხელშეწყობა (ინვესტირება, დაბალპროცენტიანი და უპროცენტო კრედიტები და სუბსიდირება,

საგადასახადო მექანიზმები, სახელმწიფო სადაზღვევო გარანტიები, აგრესიულ მონოპოლიებთან კონკურენციისათვის ზემოაღნიშნული წილობრივი მონაწილეობით გადამამუშავებელი საწარმოების დაფუძნება პროგრესული ტექნოლოგიების იაფი ლიზინგის გამოყენებით და მრავალი სხვა) დასაშვებია, ჩვენთან სახელმწიფო ხელშეწყობა რატომღაც წარსულის რუდიმენტად არ უნდა ითვლებოდეს. ობიექტური სახელმწიფო ზრუნვა ყოველთვის იქნება პროგრესისა და კეთილდღეობის მასტიმულირებელი საფუძველი.

საქართველოში 90-იან წლებიდან მოქმედი საგადასახადო კოდექსი, ერთი შეხედვით, ხელს უწყობს ეკონომიკის გაძლიერებისათვის საჭირო ექსპორტს 0-ოვანი განაკვეთით, მაგრამ ეს და ბევრი სხვა ნორმაც აუცილებლად შესაცვლელია, თან რაც შეიძლება მალე. ქვეყანაში, სადაც ისედაც არ არსებობს ყველაზე აქტიური რეალური ეკონომიკა (მეცნიერებატევადი წარმოებები, მ.შ. უნიკალური სოფლის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობა), ნულოვანი განაკვეთით გაედინება მხოლოდ უნიკალური ბუნებრივი რესურსები, რაც ზოგ შემთხვევაში, სუპერგაძვირებული გვიბრუნდება და კიდევ უფრო გვადარიბებს. ამდენად, ექსპორტს ხელშეწყობა უნდა, მაგრამ დიფერენცირებულად. მხოლოდ მზა პროდუქტებზე უნდა დავაწესოთ ნულოვანი განაკვეთი, რაც რაციონალურად უნდა გაიზარდოს რესურსის მზარდი მნიშვნელობის შესაბამისად. სხვაგვარად შეუძლებელი გახდება უმძლავრეს არაკეთილსინდისიერ მონოპოლიებთან საჭირო რაციონალური პაექრობა.

დანართში მოყვანილ ცხრილებთან (NN1-14) დაკავშირებით, ჩატარებული კვლევების **სიახლისშემცვლელი მთავარი შედეგებიდან**, მიზანშეწონილია, აღინიშნოს, რომ კონკურენტულობის თვალსაზრისით, მკვეთრად დიფერენცირებულია დარგობრივი და შიგადარგობივი ბაზრები, მ.შ. განსაკუთრებულ დაკვირვებას საჭიროებს ბუნებრივი მონოპოლიების საკითხი და შესაძლო დეფორმაციები დროის ფაქტორის ცვლილებების გათვალისწინებით. მწირი სტატისტიკური ბაზისა და ექსპერტული შეფასებების პირობებშიც კი გამოვლინდა:

- დიდი ბუნებრივი განსხვავებები სამშენებლო კომპლექსის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მომსახურების სფეროს კონკურენციის ძალის რაციონალურ ინტერვალებს შორის (დასკვნა სახეზეა, ჩვენ დიდი რაოდენობის კონკურენტების ქაოტური ბაზრის „აშენება“ კი არ გვჭირდება, არამედ ბუნებრივი - რაციონალური კონკურენციის ინტერვალის დაცვა);
- სტრატეგიული ალიანსების რაოდენობის გარკვეული კანონზომიერება ეფექტიანობასთან მიმართებაში;
- პროგნოზული ექსტრაპოლირების მეთოდის გამოყენების აუცილებლობა ბაზრის კონკურენტულობის დონის მრავალფაქტორული ანალიზის პროცესში;
- საგადასახადო ტვირთის რეალურად დიფერენცირებული განსაზღვრა (არა „პოპულისტური“ ან ბევრად განსხვავებულებზე მიმსგავსებული, არამედ, კონკურენტუნარიანი რესურსული პოტენციალიდან და განვითარების დონიდან გამომდინარე);
- ადგილობრივი რეგიონთაშორისი სასაქონლო და საფონდო ბირჟების ინსტიტუციონალური გარემოს დეფიციტი, ადგილობრივი პირდაპირი და ირიბი საინვესტიციო ბაზრების სტიმულირების გადაუდებელი საჭიროება;
- რეგიონების მიხედვით ლორენცის მრუდსა და ჯინის კოეფიციენტზე დაკვირვების აუცილებლობა;
- „პიგუს ეფექტის“ მსგავსი სასიკეთო საგადასახადო „ინტერვენციების“ დეფიციტი და. საჭიროების შემთხვევაში, სუბსიდიები პოტენციურ უნიკალურ ბიზნესებს, მ.შ. კონკურენტუნარიანი მინერალური წყლების, ვაზის, ციტრუსის, ჩაის, ზღვის პროდუქტებზე, პერსპექტივაში - სუპერპროგრესულ ტექნოლოგიებზე.

დასკვნა

დასკვნისთვის, ვეცდები, წარმოდგენილი შრომიდან გამოვკვეთო ჩემი კვლევის უმთავრესი მიზანი და ადამიანის უკეთ ცხოვრებისათვის, ჩემი აზრით, განსაკუთრებით მწვავედ საჭირო შედეგები.

როგორც ეკონომისტი, საზოგადოების წინაშე, თავს მოვალედ ვთვლიდი კონცეფტუალურად დასაბუთებული აზრი გამომეთქვა, თუ როგორ უნდა დაძლიოს გონიერმა ადამიანმა სიღარიბის ჯერ კიდევ ძალზე მაღალი 80%-იანი დონე სულ უფრო მდიდარ მსოფლიოში, როგორი გამდიდრებაა ადამიანისთვის მორალურად გამართლებული (ეფექტიანი) და, შესაბამისად, როგორი კონკურენცია ეფუძნება ჭეშმარიტი სულიერების საწყისებს.

დიდი დეპრესიის ეპოქიდან, განსაკუთრებით გამწვავდა დებატები ადამ სმითის კონკურენციის ე.წ. „უხილავი ხელის“ მომხრე ნეოკლასიკოსებსა და რეგულირების მომხრე ქეინზიანელებს შორის. ზოგი საერთოდ სათუოს ხდის „უხილავი ხელის“ მოქმედებას, ახალი ნეოკლასიკური სინთეზი კი ერთგვარი შემრიგებლის როლში მოგვევლინა.

ჩემი მიზანი არ არის სმითის კრიტიკა - მიმაჩნია, რომ ის მისი ეპოქისთვის ნამდვილად გენიოსი იყო, მაგრამ, ბუნებრივია, ადამიანური შეცდომებით. ჩემი მიზანია აღმოვფხრა სმითის ეპოქიდან დაწყებული და ჰერფინდალ-ჰირშმანის თანამედროვე მეთოდშიც დამკვიდრებული გაგება, რომ ბაზარზე არაგავლენიან კონკურენტთა დიდი რაოდენობა განაპირობებს მეტად სრულყოფილ კონკურენციას. ასეთი მიდგომით, შეიძლება დავანაწევროთ ეფექტიანი ადგილობრივი მსხვილი ბიზნესები ან ხელი შევუშალოთ ბიზნესების წესიერი გზით საჭირო გაერთიანების მცდელობას, დავარღვიოთ მათი უდანაშაულობის პრეზუმფცია და უკეთესი პირობები შევუქმნათ არაკეთილსინდისიერ საგარეო ფარულ შეთანხმებებს.

ვფიქრობ, მკითხველს ახსოვს ეკონომიკური კონკურენციის ჩემი განსაზღვრება, ფიზიკაში დენის ძალის განსაზღვრის ($I = U / R$) ბუნებრივი მსგავსებით. ასეთი სახით, ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ კონკურენციის ძალა და

ოპტიმალური - კონკურენციის ყველაზე ეფექტიანი დონე ეკონომიკურად მდიდარი და ღარიბი ქვეყნებისათვის, საინფორმაციო-ტექნოლოგიურ კლასტერებსა და აგრარულ ბაზრებზე, მთასა და დაბლობში, შემცირებული ფასების დემპინგური თაღლითობისა თუ ფასების შემდგომი მონოპოლიური ნამატის შემთხვევებში. ეს განსაკუთრებით მალეღებს. აღნიშნულ საქმეში, ცალკეულ ქვეყნებს დამოუკიდებლად არ ძალუძთ დაძლიონ ფარული საერთაშორისო მონოპოლიების მზაკვრობანი და აუცილებელი ხდება პროგრესული ძალების უფრო მჭიდრო საერთაშორისო კონსოლიდაცია. აღნიშნული მწვავედ აუცილებელია როგორც მსოფლიო ეკონომიკის ეფექტიანი გამდიდრებისთვის, ასევე, სიღარიბის დაძლევისთვის.

კონკურენციის შესახებ გამოვაქვეყნე მრავალი მონოგრაფია და სხვადასხვა სახის შრომა ათასზე მეტ გვერდზე და ახლა წარმოგიდგენთ განზოგადებულ შრომას - შესაძლოდ შემჭიდროებულ ვარიანტს, საკითხთან დაკავშირებით, თანამედროვე ეკონომიკის უმწვავესი პრობლემების წარმოჩენით.

ჯერ კიდევ სმითიდან და რიკარდოდან დაწყებული, დღემდე, რატომღაც, ჩამოყალიბდა ყალბი წარმოდგენა სრულყოფილი კონკურენციის შესახებ, რომ, თურმე, უნდა გვქონდეს ძალიან დიდი რაოდენობა კონკურენტებისა, რომლებსაც ბაზარზე არავითარი გავლენა არ უნდა ჰქონდეთ. აი სწორედ ეს მოსაზრებაა ჩემთვის ყველაზე მეტად სათუო. ეს უტოპიაა და, ამასთანავე, ხელოვნურადაც რომ მოვაწყოთ ასეთი პირობები, ეს იქნება არაეფექტიანი ბაზარი. ვთვლი, რომ სრულყოფილ ვარიანტს უნდა ვეძიოთ არა გამოგონილ „პოზიციებში“, არამედ, რეალურ ბუნებაში.

უფალი და კონკურენციის „უხილავი ხელი“ არსებობენ, მაგრამ უფალი არ ითხოვს, რომ ადამიანი ხელეჩამოშვებული უნდა ცხოვრობდეს. სადღეისოდ, მწვავედ აუცილებელია გონივრული რეგულაციები.

ზოგიერთი თანამედროვე მეცნიერი, როგორც შესავალში აღვნიშნე, სათუოს ხდის ადამ სმითის „უხილავი ხელის“ თეორიის სამართლიანობას. არამც და არამც. „უხილავი ხელი“ მოქმედებს და, ამასთანავე, ძალზე ძლიერად, მაგრამ, ვთვლი, რომ მის გაგებას მნიშვნელოვანი ხარვეზები ახლავს და ფარული შეთანხმებებიც ხელს

უშლიან ამ უხილავ მოქმედებას. გახანგრძლივებულმა კრიზისებმა გვაჩვენა, რომ საჭიროა თამამი რეგულაციები ხელისშემშლელთა წინააღმდეგ.

კონკურენციის საკითხებზე მრავალწლოვანი დებატების მიუხედავად, არავინ შეხება, ჩემი აზრით მთავარ პოზიციას, რომ კონკურენციის კლასიკური ხედვა გულისხმობს სრულყოფილი კონკურენციის განსაზღვრას მონაწილეთა ძალზე დიდი რაოდენობით, როცა მონაწილეებს არ შეუძლიათ საბაზრო პროცესებზე გავლენის მოხდენა (უფრო დეტალურად განიხილება ჩემი წარმოდგენილი კვლევის შესაბამის ნაწილებში). მიმდინარე რეფორმებამდეც, აშშ-სა და საერთოდ მსოფლიო პრაქტიკაშიც, ბაზრების კონკურენტულობის შეფასების ყველაზე გავრცელებული მაჩვენებელი „ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი“ საუკეთესო მინიმალურ დონეებს სწორედ მცირე მეწარმეთა ძალზე დიდი რაოდენობის შემთხვევაში აღწევს. ეკონომიკური მეცნიერების კლასიკოსებისა და ზოგიერთი თანამედროვე პრაქტიკოსის დიდი პატივისცემის მიუხედავად, ყურადღების მოსაზიდად, უნდა გავაკეთო „სენსაციური“ განცხადება, რომელსაც, ვფიქრობ, გაითვალისწინებენ აშშ-სა და მთლიანად გაეროს საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების თანამედროვე ბრძენი რეფორმატორები. ჰერფინდალის ინდექსის შენარჩუნება შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ ამ მაჩვენებლის გამოყენება - უკიდურესად არასაკმარისი.

გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისები და უკიდურესი სიღარიბის არსებობა უჩვეულოდ შემოსავლიანი თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესის მიუხედავად, თვალსაჩინოდ განაპირობებს საერთაშორისო რეგულირების უფრო ეფექტიანი ეკონომიკური მექანიზმების გადაუდებელი შემუშავების აუცილებლობას, მათ შორის გაეროს ეკონომიკური სტრუქტურების მონაწილეობით, ეფექტიან საერთაშორისო ბიზნესთან ურთიერთხელსაყრელობის საფუძველზე.

თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესს უკვე კრიტიკულად არ შეესაბამება არამთლად „მწიფე“ წარსული - სხვა დიდი ეკონომისტების - მ.შ. დ. რიკარდოს, უ. პეტის, ე. ჩემბერლინის, ჯ. რობინსონის, პ. სამუელსონის "კლასიკური" ხედვები კონკურენციის შესახებ. ჩვენ არ გვჭირდება უსასრულოდ დიდი რაოდენობის "ჭიანჭველების" კონკურენცია ეკონომიკაში. ჩვენ გვჭირდება კეთილსინდისიერი კონკურენტების ბუნებრივი კონკურენცია, სადაც კონკურენციის ყველა მონაწილე (არა მხოლოდ მცირე, არამედ დიდი) აკეთებს თავის საჭირო (ეფექტიან) საქმეს.

ბაზრის მონაწილეების ძალზე დიდმა რაოდენობამ, ჩემი აზრით, შეიძლება გამოიწვიოს "მოკლე ჩართვა" და ეკონომიკის "გადახურება", შესაბამისად, ჰიპერინფლაციური სიჭარბე და უმძიმესი კრიზისული შოკი.

ჩემი აზრით, კონკურენციის ძალასა და ბაზრის უმსხვილესი მიმწოდებლის ზომას შორის უკუპროპორციული დამოკიდებულების გრაფიკის გადაკვეთაზე საწარმოს ზომასა და ეფექტიანობას შორის დამოკიდებულების გრაფიკთან, მიიღება კონკურენციის ძალის ოპტიმალური დონე ყოველი კონკრეტული სინამდვილისთვის. ეს გრაფიკული ინტერპრეტაცია წარმოადგენს 2015 წლის შრომაში წარმოდგენილი ჩემი ადრინდელი შესაბამისი მიდგომის განვითარებას.

მწვავედ საჭირო ცვლილებები კონკურენციის თეორიაში თანამედროვე რეგულირების ადექვატურ მექანიზმებს განაპირობებს. სახელმწიფო, როგორც სამართლიანი პარტნიორი, გლობალური კონტაქტების ზრდასთან ერთად, აუცილებლად უნდა ახერხებდეს ფარული შეთანხმებებით გამოწვეული ბაზრის დეფორმაციების კვალიფიციურ შეფასებას და, აუცილებლობის შემთხვევაში, აქტიურად (და არა ფორმალურად, დაახლოებით 50%-იანი თანამონაწილეობის ფარგლებში) უნდა ერთვებოდეს კერძო მეწარმეობაში, მათ შორის: 1) წილობრივი პარტნიორობის მექანიზმებით; 2) მეცნიერულ-ტექნიკურ უზრუნველყოფის მხარდამჭერი სუბსიდირებით; 3) უპროცენტო კრედიტებით მონოპოლიებისგან დაზარალებულ მეწარმეთათვის; 4) განსაკუთრებით კრიზისული რეგიონების (როგორც განაპირა, მ.შ. მაღალმთიანი, აგრეთვე საკვანძო) განვითარების პროგრამებში თანამონაწილეობითა და ე.წ. "სასათბურე" ზონალური გარემოს ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფით; 5) ამასთანავე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო, როგორც მზრუნველი მშობელი, აუცილებლად უნდა ზრუნავდეს როგორც კრიზისულ ობიექტებზე, ასევე, წარმატებულებზეც - პოტენციურ ექსპორტიორებზე, რომლებსაც არაკეთილსინდისიერი "საერთაშორისო" კონკურენცია შეიძლება ელოდებოდეს.

სახელმწიფო მონოპოლიების რეაქციული რეპრესიებისა და კერძო საკუთრების იგნორირების საბჭოთა კავშირისეული გამოცდილების შემდეგ, განსაკუთრებით უნდა გამოირიცხოს ამგვარი სახელმწიფო მონოპოლიის განმეორებითი ჰიპერტროფიის შესაძლებლობა, მაგრამ არ დავინახოთ მზრუნველი და კერძო

სექტორის მხარდამჭერი ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოს როლის შესაძლოდ არსებითი ზრდის ტენდენცია - არაშორსმხედველურია.

მაგალითად, დაზარალებულ მაღალმთიან რეგიონებს დამოუკიდებლად არ ძალუძთ დაძლიონ უმწვავესი ეკონომიკური და დემოგრაფიული გამოწვევები, ხოლო სახელმწიფო, თავის მხრივ, არ უნდა ელოდეს, როგორ ქრება ქვეყნის ესა თუ ის რესურსული პოტენციალი. ზოგს მიაჩნია, რომ სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს საბაზრო პროცესებში, თუმცა მათ ავიწყდებათ, რომ სახელმწიფოსაც უნდა ჰქონდეს თავისი უფლებები და ეს უფლებებიც გასათვალისწინებელია.

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მართვა და კერძო ბიზნესის მენეჯმენტი სხვადასხვა ცნებებია, მაგრამ მენეჯმენტის მომავალი - წარმატებულ სახელმწიფო მართვასთან გონივრულ კომბინირებაშია.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული კომბინირებულ-ქსელურის მსგავსი რეგულაციის პირველი შედეგები განსაკუთრებით შთამბეჭდავია დაწყებულ საგადახადო დათბობასა და ტექნოლოგიური კლასტერის სუბსიდირებაში (სილიკონის ველი, აშშ), ევროკავშირის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების სოციალურ ბაზარზე (გერმანია, შვედეთი, ბენელუქსის ქვეყნები), ე.წ. გეგმური ბაზრის მექანიზმების ეფექტიანი რეალიზებისას (იაპონია), თავისუფალ რეგიონულ ზონებში (ჩინეთი), «მეცნიერების ქალაქების» მაგალითზე (აკადემქალაქი და მსხვილი სახელმწიფო უნივერსიტეტების გამოცდილება, რუსეთი), დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვა და ა.შ.

ვცდილობდი, რომ ჩემი კვლევის შედეგები, პირველ რიგში, გამომეჩვენებინა სოციალურ ქსელებში, საიდანაც ვიღებდი განსაკუთრებით გამამხნეველ გამომხაურებებს კონკურენციის საკითხზე ჩემი მწვავედ საჭირო „სენსაციური“ ხედვების შესახებ. ჩვენ უკვე აღარ გვჭირდება გაჭიანურებული კამათი ეკონომიკური სისტემების სხვადასხვა „იზმებზე“ - ჩვენ გვჭირდება ეფექტიანი სისტემა დროისა და სხვა რესურსების მინიმალური დანაკარგებით ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში.

ანტიმონოპოლიური ორგანოების ხელოვნურმა "რბოლამ" დიდი რაოდენობის კონკურენტებისთვის ადგილობრივ ბაზარზე, შეიძლება მიგვიყვანოს მხოლოდ არარეალიზებული (ძირითად არახარისხიანი) პროდუქციის სიჭარბესა და ფარული

მსხვილი საგარეო მონოპოლიების გაძლიერებამდე, მათ შორის ინოვაციურ ტექნოლოგიებზე.

გონივრული "რბოლა" დასაშვებია მხოლოდ ეფექტიანობის კრიტერიუმის გათვალისწინებით, როგორც თვალსაჩინოდაა გამოხატული გრაფიკზე. სხვადასხვა კონკრეტულ სიტუაციაში, კონკურენციის ძალა იქნება ოპტიმალური უმაღლესი ეფექტიანობის შემთხვევაში, რაც შესაძლებელია სხვადასხვა ზომის და რაოდენობის კონკურენტების შემთხვევაში - ერთიდან (ბუნებრივი მონოპოლია საშუალოსაბაზროზე დაბალი ხარჯებით) უსასრულობამდე.

საკითხთან დაკავშირებით, საჭიროდ ვთვლი აღვნიშნო პარეტოს მიხედვით ეფექტიანობის შეფასება, რაც, ჩემი აზრით, მაქსიმალურად მარტივად წარმოდგენილი და იდეალურად საუკეთესო მეთოდია. პარეტოს ეფექტიანობა თეორიულად სრულად ავლენს ბაზრის პოტენციურ შესაძლებლობებს, რაც დადასტურდა ჩემს მიერ ეფექტიანობის მაჩვენებლების (მწარმოებლურობა, ROE, ევროკავშირის ფორმულირების ჩემი განვითარება) აბსოლუტურად ყველა პრაქტიკულ შემთხვევაში. მიმაჩნია, რომ პარეტოს ეფექტიანობის მეთოდი კონკურენციის ოპტიმალობის შეფასების დროსაც შეიძლება იქნეს გამოყენებული დუოპოლიის შემთხვევაში, საწარმოს ზომითი ეფექტიანობის შეფასებისას, დამატებით დამადასტურებელი გაანგარიშებების სახით.

კონკურენციის გააზრება კონკურენტების რაოდენობის კრიტერიუმით, ანტიმონოპოლიური სამსახურის მნიშვნელოვან დეზორიენტაციას იწვევს და, ფაქტობრივად, ძალზე მცირდებიან ბაზრის კეთილსინდისიერი სუბიექტები და მსხვილდება ფარული ბიზნესი (მათ შორის ტერორიზმის საფუძველზე), რაც, თავის მხრივ, სერიოზულ საფრთხეს უქმნის მსოფლიო წესრიგსაც. ბაზრის კონკურენტულობის შეფასებამ მხოლოდ ჰერფინდალ-ჰირშმანის მეთოდოლოგიით, შესაძლებელია, მცდარი წარმოდგენა შექმნას, რომ ბაზარზე ყველაფერი კარგადაა. ხოლო მცდარი წარმოდგენა ბაზარზე, მცდარ წარმოდგენას განაპირობებს უმნიშვნელოვანეს სამხედრო-პოლიტიკურ და დემოგრაფიულ პერსპექტივაზე.

1) ეფექტიანობა (ოპტიმალური დონის გაანგარიშება ზემოაღნიშნული ნახატის N3 საფუძველზე და, მნიშვნელოვანი სტრუქტურული ძვრების შემთხვევაში, სტრუქტურული ძვრების ეფექტიანობის ევროკავშირის მეთოდოლოგიის

განვითარებით ჩემს მიერ შემოთავაზებული ფორმულირების დახმარებით, გამოყენებული წყაროების სიაში აღნიშნული ჩემი შრომების საფუძველზე); 2) კონკურენციის ძალის რაოდენობრივი დონე (ჩემს მიერ ფორმულირებული ზემოაღნიშნული კანონი $I = U / R$); 3) ხარისხი (ინტეგრალური კოეფიციენტით $K = N I_R I_O$) - აი „ბუნებრივი“ კონკურენციისადმი ჩემი მთავარი "მოთხოვნების" სამება და, სხვადასხვა სიტუაციაში, შეიძლება მნიშვნელოვნად იცვლებოდეს მათი ფაქტობრივი პრიორიტეტები და შეფასებები.

მარეგულირებელ მექანიზმსაც თანამედროვეობისათვის უმწვავესად საჭირო მიმართულებების სამება აქვს საფუძველში: 1) კვალიფიციური საერთაშორისო ანტიმონოპოლიური ორგანოს შექმნის უმწვავესი აუცილებლობა, მათ შორის სხვადასხვა რეაქციული რეჟიმებით მოსახლეობის მასობრივი გადატაკების აღმოფხვრის მიზნით; 2) მაკროეკონომიკურ დონეზე, მომხმარებელთა დაცვის მიზნით, ადგილობრივი ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირება (შესაძლოდ მინიმალური სახელმწიფო დანაკარგებით); 3) მხარდაჭერა და, ზოგიერთ შემთხვევაში, უშუალო მონაწილეობა კერძო ბიზნესის მიკროეკონომიკურ მენეჯმენტში, დაზარალებულ მეწარმეთა გადაუდებელი დაცვისა და კრიზისული რეგიონების სწრაფი ზრდის მიზნით.

კონკურენციის ობიექტური კანონი, რომლის შესახებაც ადრე გამოვაქვეყნე, მაქსიმალურ ეფექტიანობას მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკის შესაძლოდ ბუნებრივი ფუნქციონირებისას ავლენს, ანუ ფარული შეთანხმებებისა და არაკეთილსინდისიერი მონოპოლიების მინიმალური დონის შემთხვევაში. მაგრამ მსოფლიო დონეზეც კი, კონკურენციის ფაქტიური ძალა მნიშვნელოვნად განსხვავდება კონკურენციის მიზანშეწონილი (ოპტიმალური, მაქსიმალურად ეფექტიანი) დონისაგან, რაც სხვადასხვა საერთაშორისო ბაზარზე მუდმივი დამატებითი დაკვირვებების საჭიროებას განაპირობებს.

ბაზრის კონკურენტულობის შეფასების მნიშვნელოვან პარამეტრად შეიძლება გამოგვადგეს მენეჯერული ხარჯების ხვედრითი წონაც მთლიანად ხარჯებში, იმდენად, რამდენადაც, მონოპოლიურობისკენ მიდრეკილების დროს, ჩვენი დაკვირვებით, სწორედ აღნიშნული ტრანზაქციული ხარჯები იზრდება განსაკუთრებით სწრაფად.

ეკონომიკაში მნიშვნელოვანია გადასახადების ან სხვა ეკონომიკური მექანიზმების მიკროსკოპული ცვლილებაც კი. მაგალითად, ჩემმა გაანგარიშებებმა მოულოდნელად აჩვენა, რომ, ექსპორტზე გადასახადის, ერთი შეხედვით, პოზიტიურ ნულოვან განაკვეთს შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი შედეგები, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც განუვითარებელია წარმოების მეცნიერებატევადი დარგები და დომინირებს ნედლეულის ექსპორტი.

კონკურენცია მოქმედებს არა მხოლოდ მეწარმეებს შორის, არამედ ეკონომიკის დარგებსა და რეგიონებს შორისაც. ჩემმა კვლევებმა აჩვენა, რომ ეკონომიკის რეგიონალური სტრუქტურა უფრო მკაცრი კრიტერიუმია ეკონომიკის განვითარებულობის შესაფასებლად, ვიდრე დარგობრივი. ქვეყანას, რომელსაც განვითარებული დარგობრივი სტრუქტურა აქვს, შეიძლება ჩამორჩენილი რეგიონები ჰქონდეს. მაგრამ, თუ რეგიონალური სტრუქტურაა განვითარებული, დარგობრივი სტრუქტურაც შესაძლოდ განვითარებული იქნება. ამ მიზეზით, კონკურენციის მაჩვენებლების მონიტორინგი საფუძველზე ფინანსური და საერთოეკონომიკური ინდექსების კონტექსტში, გთავაზობთ ქსელური მენეჯმენტის სხვადასხვა მექანიზმს, განსაკუთრებით ჩამორჩენილთა მხარდაჭერისა და წარმატებულთა დამატებითი სტიმულირებისათვისაც.

რატომღაც, სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში ფესვი გაიდგა ბუნებრივი მონოპოლიების მარეგულირებელი კომისიების პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენების ტრადიციამ. საკითხის მნიშვნელობა არ ნიშნავს დაუმსახურებელი პრივილეგიების საჭიროების ძალზე ცუდ მაგალითს. საშუალო ხელფასი ასეთ კომისიურ სტრუქტურებში არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს საშუალოსახელმწიფო დონეს. სახელმწიფომ "სასათბურე" პირობები უნდა შეუქმნას არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან "სასიკვდილოდ" დაზარალებულ მეწარმეებსა და რეგიონებს და არა თანამდებობის პირებს. "სასათბურე" პირობების გარეშე, აღნიშნული დაზარალებულები ვერ შეძლებენ ადგილობრივი ბაზრის ისევ გამოცოცხლებას, ხოლო "სასათბურე" პირობები სხვადასხვა სახელმწიფო მოხელეებს - თავისთავად, კეთილსინდისიერი კონკურენციის წესების დარღვევას წარმოადგენს.

გარკვეული ნაკლოვანებები კონკურენციის თეორიის ისტორიიდან, ჩემთვის არ წარმოადგენდა "სენსაციურს" - ყველა მოაზროვნეს და გენიოსებსაც მათ შორის,

შეიძლება ჰქონდეთ გარკვეული შეცდომები, რომელთა შესახებაც პერიოდულად ვაქვეყნებდი ჩემს "ორიგინალურ" ინოვაციებს. მაგრამ ფარული მონოპოლიზმისგან დაზარალებული ბიზნესის კრიზისმა მიიღო სენსაციური მასშტაბები ცალკეულ ქვეყნებსა და საერთოდ მსოფლიო ეკონომიკაში, რამაც მაიძულა მეფიქრა წარმოდგენილ გადაუდებელ რეგულაციებზე.

ჩემი თეორიული განზოგადებები კონკურენციის შესახებ მნიშვნელოვანწილად მიმართულია იმათ წინააღმდეგ, ვინც ფიქრობს ეფექტიანი მსხვილი ბიზნესისა და დიდი პროგრესული ქვეყნების განადგურებისა და დანაწევრების შესახებ. მათ უნდა გაიგონ, რომ პრობლემა ბიზნესისა და ქვეყნის ზომაში კი არ არის, არამედ გულწრფელობასა და პრაქტიკულობაში.

ჩატარებული კვლევების სიახლისშემცვლელი მთავარი შედეგებიდან, მიზანშეწონილია, ასევე აღინიშნოს, რომ კონკურენტულობის თვალსაზრისით, მკვეთრად დიფერენცირებულია დარგობრივი და შიგადარგობრივი ბაზრები, მ.შ. განსაკუთრებულ დაკვირვებას საჭიროებს ბუნებრივი მონოპოლიების საკითხი და შესაძლო დეფორმაციები დროის ფაქტორის ცვლილებების გათვალისწინებით. მწირი სტატისტიკური ბაზისა და ექსპერტული შეფასებების პირობებშიც კი გამოვლინდა:

- დიდი ბუნებრივი განსხვავებები სამშენებლო კომპლექსის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მომსახურების სფეროს კონკურენციის ძალის რაციონალურ ინტერვალებს შორის (დასკვნა სახეზეა, ჩვენ დიდი რაოდენობის კონკურენტების ქაოტური ბაზრის „აშენება“ კი არ გვჭირდება, არამედ ბუნებრივი - რაციონალური კონკურენციის ინტერვალის დაცვა);
- სტრატეგიული ალიანსების რაოდენობის გარკვეული კანონზომიერება ეფექტიანობასთან მიმართებაში;
- პროგნოზული ექსტრაპოლირების მეთოდის გამოყენების აუცილებლობა ბაზრის კონკურენტულობის დონის მრავალფაქტორული ანალიზის პროცესში;
- საგადასახადო ტვირთის რეალურად დიფერენცირებული განსაზღვრა (არა „პოპულისტური“ ან ბევრად განსხვავებულებზე მიმსგავსებული, არამედ,

კონკურენტუნარიანი რესურსული პოტენციალიდან და განვითარების დონიდან გამომდინარე);

-ადგილობრივი რეგიონთაშორისი სასაქონლო და საფონდო ბირჟების ინსტიტუციონალური გარემოს დეფიციტი, ადგილობრივი პირდაპირი და ირიბი საინვესტიციო ბაზრების სტიმულირების გადაუდებელი საჭიროება;

- რეგიონების მიხედვით ლორენცის მრუდსა და ჯინის კოეფიციენტზე დაკვირვების აუცილებლობა;

-„პიგუს ეფექტის“ მსგავსი სასიკეთო საგადასახადო „ინტერვენციების“ დეფიციტი და. საჭიროების შემთხვევაში, სუბსიდიები პოტენციურ უნიკალურ ბიზნესებს, მ.შ. კონკურენტუნარიანი მინერალური წყლების, ვაზის, ციტრუსის, ჩაის, ზღვის პროდუქტებზე, პერსპექტივაში - სუპერპროგრესულ ტექნოლოგიებზე.


ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ კონკურენტული ქსელური დელეგირება მენეჯმენტში ეკონომიკის ხსნისა და დემოგრაფიული კრიზისიდან სწრაფი გამოსვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზაა. ამასთანავე, რაც განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს - ჩვენმა კვლევამ თვალნათლივ გამოავლინა, რომ კონკურენციასაც კი რაციონალური საზღვრები აქვს და არ უნდა დავუშვათ კეთილსინდისიერი მსხვილი ობიექტების ხელოვნური დანაწევრება ან სხვა მეთოდებით „რეპრესიები“. დაცვა სჭირდება როგორც კონკურენციასა და მცირე ბიზნესს, ასევე კეთილსინდისიერ მსხვილ ობიექტებსაც (შეიძლება, უფრო მეტადაც, ვინაიდან, ის მეტად მოუქნელია და „ცხოვრების“ საშუალო ხანგრძლივობაც ნაკლები აქვს), რომლებიც ფასდაუდებელ საქმეს აკეთებენ ბაზრისა და ინოვაციური მწარმოებლურობისთვის. ჩვენ არ გვჭირდება მრავალრიცხოვანი ერთფეროვანი "ჭიანჭველების" ბაზარი - ჩვენ გვჭირდება მრავალფეროვანი დაცული ბაზარი, როგორც წელიწადის დროები და დღისა და ღამის ნაწილები ცვლიან ერთმანეთს.

დანართი (ნახატები NN1-14)

ნახატი N1

კაცობრიობა და სიღარიბე მსოფლიო ბანკის განზოგადებით

(ჩვენი აზრით, მხოლოდ რაციონალური კონკურენცია, რომელსაც საერთაშორისო თანამეგობრობის კვალიფიციური სტრუქტურა უნდა იცავდეს, დაძლევს მასობრივ სიღატაკს)



კონკურენცია და კერძო ინტერესი, როგორც უხილავი ხელი, რომელიც მართავს თავისუფალ ბაზარს

(ადამ სმიტის ხედვა და მისი თანამედროვე შეფასებები ლინკზე

[http://marketbusinessnews.com/financial-glossary/invisible-hand-definition-](http://marketbusinessnews.com/financial-glossary/invisible-hand-definition-meaning/?sa=X&sqi=2&ved=0ahUKEwjOya2N-MLYAhUGAZoKHddcD oQ_B0IHDA)


[meaning/?sa=X&sqi=2&ved=0ahUKEwjOya2N-MLYAhUGAZoKHddcD oQ_B0IHDA](http://marketbusinessnews.com/financial-glossary/invisible-hand-definition-meaning/?sa=X&sqi=2&ved=0ahUKEwjOya2N-MLYAhUGAZoKHddcD oQ_B0IHDA))



ნახატი N3

კონკურენციის ძალის ოპტიმალური - რაციონალური დონის შეფასება


(რევაზ ლორთქიფანიძის კვლევის საფუძველზე)



ნახატი N4

ეფექტიანობა პარეტოს მიხედვით და ევროკავშირის ექსპერტთა ფორმულირების განვითარება კონკურენციის ეფექტიანობის მრავალფაქტორული მონიტორინგისთვის

(რევაზ ლორთქიფანიძის კვლევის საფუძველზე)




ნახატი N5

პიგუს ეფექტი და მინერალური წყლის პირობით მაგალითზე

სახელმწიფო სუბსიდიის გაანგარიშება

(რევაზ ლორთქიფანიძის განზოგადება)



ნახატი N6

აქციის შემოსავლიანობა და მიზანშეწონილობა კორპორატიულ
პორტფელში ჩასართავად კონკურენციის ეფექტიანობის
მრავალფაქტორული მონიტორინგისთვის

(რევაზ ლორთქიფანიძის განზოგადება შემთხვევით სიდიდეებზე
დაკვირვების საშუალოკვადრატული გადახრის მეთოდის გამოყენებით)


კომპანია A საუკუნეში აქციის შემოსავლიანობა %	64,15	49,47	88,12	27,54	38,79
კომპანია B საუკუნეში აქციის შემოსავლიანობა %	21,63	25,12	11,19	98,24	52,76

ვარიაციის კოეფიციენტი

$$CV = \frac{\sigma}{\bar{R}}$$

$$\sigma = \sqrt{\frac{1}{N} \sum_{i=1}^n \sqrt{(x_i - \bar{x})^2}}$$

საშუალოკვადრატული გადახრა




მიზანშეწონილობა
პორტფელში
ჩასართავად

$$\frac{CV \text{ (ჩისკი)}}{\bar{R} \text{ (შემოსავლიანობა)}}$$


ნახატი N7

„პროგნოზული ექსტრაპოლირების“ გამოყენება კონკურენტული
 გარემოს მრავალსცენარული ეფექტიანობის შეფასებისთვის
 (რევაზ ლორთქიფანიძის კვლევის საფუძველზე)




ნახატი N8

საერთაშორისო შედარებები საგადასახადო ტვირთისა და მისი კავშირის
შესახებ კონკურენციასა და სიღარიბის დაძლევათან
(რევაზ ლორთქიფანიძის კვლევის საფუძველზე)




ნახატი N9

სტრატეგიული ალიანსების დადებითი და უარყოფითი ფაქტორების კავშირი კონკურენციასა და სიღარიბის დაძლევისათან (რევაზ ლორთქიფანიძის კვლევის საფუძველზე)




სტრუქტურული ძვრების ეფექტიანობა სტრუქტურული ელემენტის ეფექტიანობის უცვლელობის დაშვებით

(რევაზ ლორთქიფანიძის კვლევის საფუძველზე)



ეკონომიკის სტრუქტურული ძვრების ეფექტიანობის პირობითი მრუდი

(რევაზ ლორთქიფანიძის კვლევის საფუძველზე)



ეკონომიკის ტემპები მსოფლიოში

(<http://www.worldbank.org/en/publication/global-economic-prospects/summary-table>)

The Global Outlook in Summary

Forecast Table
(percentage change from previous year,
except interest rates)

	2012	2013	2017f
REAL GDP			
World	2.4	2.5	3.2
High income	1.4	1.4	2.2
United States	2.3	2.2	2.4
Euro Area	-0.7	-0.4	1.6
Japan	1.7	1.6	1.2
United Kingdom	0.7	1.7	2.2
Russia	3.4	1.3	2.5
Developing countries	4.9	5.1	5.4
East Asia and Pacific	7.4	7.1	6.6
China	7.7	7.7	6.9
Indonesia	6.0	5.6	5.5
Thailand	7.3	2.8	4.0
Europe and Central Asia	1.9	3.7	3.6

Kazakhstan	5.0	6.0	4.1
Turkey	2.1	4.2	3.7
Romania	0.6	3.5	3.5
Latin America and the Caribbean	2.9	2.7	2.8
Brazil	1.8	2.7	2.0
Mexico	4.0	1.4	3.5
Argentina	0.8	2.9	3.0
Middle East and North Africa	1.3	0.5	3.8
Egypt	2.2	2.1	4.8
Iran	-6.6	-1.9	2.0
Algeria	3.3	2.8	4.0
South Asia	5.4	6.3	7.5
India	5.1	6.9	8.0
Pakistan	3.5	4.4	4.5
Bangladesh	6.0	6.1	6.7
Sub-Saharan Africa	4.1	4.2	5.0
South Africa	2.5	1.9	2.4
Nigeria	4.3	5.4	5.5
Angola	8.4	6.8	5.1
MEMORANDUM ITEMS			
World real GDP (2010 PPP weights)	3.1	3.3	4.0
OECD real GDP	1.2	1.3	2.1

Non-OECD real GDP	3.8	2.6	3.2
Developing country real GDP excluding BRICS	3.5	4.3	4.6
BRICS real GDP	5.4	5.4	5.6
Low-income countries	6.5	6.2	6.6
World trade volume	3.1	3.3	4.9
Oil price	1.0	-0.9	4.7
Non-oil commodity price index	-8.6	-7.2	1.3
Manufactures unit export value	-1.2	-1.4	1.7
6-mo. US LIBOR interest rate (percent)	0.7	0.4	...
6-month Euro LIBOR interest rate (percent)	0.8	0.3	...
International capital flows to developing countries (% of GDP)			
Developing countries	5.0	5.9	4.8
East Asia and Pacific	4.6	6.4	4.6
Europe and Central Asia	8.0	7.5	6.5
Latin America and the Caribbean	5.4	5.9	5.2
Middle East and North Africa	1.9	2.5	2.2
South Asia	5.7	4.5	5.5
Sub-Saharan Africa	5.4	5.2	3.9

ნახატი N12

კეთილსინდისიერი კონკურენცია დაამარცხებს სიღარიბეს


The Fair Competition Will Win Worldwide Poverty

(<http://econ.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/EXTDEC/EXTRESEARCH/EXTWDRS/EXTNWDR2013/0,,contentMDK:23464>


061~pagePK:8261309~piPK:8258028~theSitePK:8258025,00.html)

More than 20 percent of the population in developing countries live on less than \$1.25 a day, more than 50 percent on less than \$2.50, and nearly 75 percent on less than \$4.00.

Worldwide Poverty




Poverty Rates, by Region



ნახატი N13

საერთაშორისო ბიზნესალიანსების რაოდენობისა
და ეფექტიანობის ურთიერთკავშირი -
ერთგვაროვანი პროდუქციის ბაზრის პირობითი სქემა
(რევაზ ლორთქიფანიძის კვლევის საფუძველზე)



ნახატი N14

რაციონალური კონკურენციის პირობითი დონეები დარგების მიხედვით
(რევაზ ლორთქიფანიძის კვლევის საფუძველზე)

ეკონომიკის დარგები	რაციონალური ინტერვალი
მშენებლობა	100-700
მრეწველობა	150-1000
სოფლის მეურნეობა	500-2000
მომსახურების სფერო	1000-5000

Competition theory's "sensational" implicit defects and urgent regulations

Summary

Before the publication of this monograph for the general society, as an economist, I considered myself like a debtor in developing a conceptually sound opinion on overcoming a very high 80% poverty level in an increasingly rich world, morally justified (effective) form of enriching a person and, accordingly, the true basis of a competition.

Since the Great Depression (30s of the 20th century), the debate between the neoclassical supporters of the "Invisible Hand" of Adam Smith's competition and the supporters of Keynesian regulation has become more acute. Some of them disclaimed the "invisible hand" in general and the new neoclassical synthesis came as an intermediary.

My goal - not a criticism of Smith - I think He was a genius for his era, but, naturally, with human errors. My goal is to remove the established understanding from the time of Smith and to the present method of Herfindahl-Hirschman that a large number of competitors determine the perfectness of competition. With such an imperfect method, we can erroneously divide the effective local big business or prevent the merger of business in a decent way, violate the presumption of innocence of the local entrepreneurs and create favorable conditions for secret collusions of external dishonest "businesslike" activities.

I think a reader remembers my definition of the Force of economic competition with the natural similarity of the definition in the physics of the Strength of electric current ($I = V / R$). Thus, it is possible to determine the strength of competition and the optimal - the most effective level of competition for the economically rich and poor countries, in the information and technological clusters and in agrarian markets, for the mountains and lowlands, in the conditions of the dumping adventures with understated prices and their subsequent monopoly overstatement. This worries me. In this case, individual countries are

not capable of overtaking covert international monopolies and a closer international consolidation of progressive forces is needed. This is urgently needed both for a more effective enrichment of the world economy and for poverty alleviation.

I published a lot of monographs and works about a competition for more than a thousand pages and now I present a generalized work - a squeeze with the most acute problems of the present economy.

From Smith and Ricardo to current times, for some reason, a false idea of perfect competition was formulated that we must have a very large number of competitors that do not affect the market. This opinion is most doubtful for me. This is a utopia and, to this, even if artificially to arrange such conditions, it will not be an effective market. I think that the perfect variant should be sought not in invented "positions", but in real nature.

Some modern scholars doubt the validity of Adam Smith's "Invisible Hand" theory. No and no. The "invisible hand" acts, and, to this, very strongly, but I believe that secret collusion hinders this hand and protracted crises show that bold regulations are needed against the disturbing ones.

God and the "Invisible Hand" of competition exist, but God does not require that a person should live with his hands down. Intelligent regulation is urgently needed.

As noted above, the classic view of competition implies the definition of perfect competition by a huge number of participants, when participants can not influence market processes. Until modern reforms, the most common indicator for assessing the competitiveness of markets in the United States and international practices is the Herfindahl-Hirschman index HHI, which achieves the best minimum level for a very large number of small entrepreneurs. With great respect from the classics of economics and some modern practitioners, a "sensational" statement must be made to draw attention, which I think will be taken into account by the modern wise reformers of the US economy and in general by the international economic organizations of the United Nations. The Herfindahl index can be preserved, but the use of this indicator alone is not enough.

The protracted economic crises and the existence of extreme poverty in the unprecedentedly profitable conditions of modern technological progress clearly make it necessary to urgently develop more effective economic mechanisms for international

regulation, including with the participation of UN economic structures, mutually beneficial with effective business management.

Not only the "mature" past, the "classic" vision of competition even of the great economist David Ricardo, does not critically correspond to modern international business. We do not need the competition of an infinitely large number of "ants" in the economy. We need a natural competition of diligent competitors, where all participants (not only small, but also large) of the competition do their necessary (effective) business.

A very large number of market participants, in my opinion, can cause a "short circuit" and "overheating" of the economy, as a result, a hyperinflation surplus and a severe crisis shock.

In my opinion, the intersection (Figure N3, Please see Appendix) of the feedback curve of the strength of the competition and the size of the largest market supplier with a timetable for linking the size of the enterprise and the level of efficiency, one can obtain the optimum level of the strength of competition for each concrete reality. This graphic interpretation presupposes the development of my early relevant approach outlined in the work of 2015 (see the sources used).

I am grateful that, after the recognition of American and British scientists, I received initial support in scientific research at St. Petersburg University (St. Petersburg State University), where I studied at different times (or worked in research), later the president of the American Economic Association, Nobel Prize winner Vasily Leontiev, the author of the empirical substantiation economic growth, the Nobel Prize winner Simon Kuznets, our great thinkers - Ilya Chavchavadze, Vazha Pshavela, Niko Mar and other worthy figures.

In the study of competition issues, the role of my American colleagues is unforgettable for me, among them I should especially mention the President of the New York Academy of Political Sciences D. Caraley, the former president of the American Economic Association, the Nobel Prize winner R. Fogel, direct business consultations and grants from practicing businesspeople, specialists - J. Sappia, D. Fetherlin, S. Powell, K. Reber, V. Porter, B. Smith, etc. In the development of the fundamental problems of the theory of competition, I should note a significant contribution directly e cooperation with well-known scientists of the former Soviet Union - L. Abalkin, D. Sorokin, E. Zhukov V. Loginov, A. Arkhipov, N.

Kuznetsova, S. Sutyurin, V. Ryazanov, etc. Desirable prospects were outlined in the field of initiating service reform competition of Georgia, for the general theory and practice of management and organization, Christian foundations and branch disciplines of science in the work of B. Ivanishvili, R. Asatiani, N. Chitanava, G. Kvirikashvili, N. Khaduri, Chichinadze, S. Fetelava, M. Djibuti, E. Kharashvili, G. Bedianashvili, G. Kvesitadze, R. Metreveli, G. Qashakashvili, M. Khazaradze, S. Pavliashvili, G. Sharvashidze, D. Kordzaia, S. Dalakishvili, M. Kakabadze, A. Prangishvili, O. Gelashvili, G. Tkeshelashvili, R. Qutateladze, E. Baratashvili, A. Abzalava, T. Kandashvili, M. Pirtskhalava, M. Meskhi, K. Benidze, S. Bolokadze, L. Aptsiauri, G. Dzagania, L. Zhvania, V. Botsvadze, G. Mdivnishvili, S. Vardosanidze, V. Sartania, Y. Ananiashvili, V. Papava, V. Charaia, P. Gugushvili, A. Gunia, V. Chantladze, L. Chiqava, G. Adeishvili, I. Meskhia, V. Advadze, R. Sarchimelia, L. Karchava, G. Khasia, G. Amkoladze, A. Tsertsvadze, D. Chlaidze, N. Bakashvili, G. Shikhashvili, G. Grigolashvili, L. Dgebuadze, A. Silagadze, R. Abesadze, R. Gogokhia, D. Mekvabishvili, R. Kharbedia, S. Veshapidze, L. Korghanashvili, B. Tsaava, L. Mgeladze, N. Paichadze, T. Kandelaki, K. Ghurtskaia, R. Abuladze, P. Koguashvili, T. Beridze, R. Kakulia, Z. Lipartia, T. Talakvadze and others.

